გამოდის ოთხშაბათობით

№16 (280)

# ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

22 – 28 აპრილი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## ადეიშვილს მფარველები ხელისუფლებაში ჰყავს?!



მე-2-3 გვ.

სისხლიანი სცენარი – როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია, ვინ იყო და რატომ გაქრა უგზოუკვლოდ დავით ცინდელიანი და რას მალავს პროკურატურა

## რა მასალები უნდა გადაეცა გენერალს ზვიად ჯანყარაშვილისთვის



მე-14-15 გვ.

ბორის ივანოვი: „რუსული სპეცსამსახურის თანამშრომელი ვიყავი!“

„ყველას ვერ დაგვიჭერენ!“ მე-9 გვ. – კანონპროექტი, რომელიც კომუნისტების ეპოქაში გვაბრუნებს

„ოქრუაშვილი ამ „მიწოლაში“ სააკაშვილის თანამონაწილე იყო!“ მე-8 გვ.

რატომ თქვა ია მეტრეველმა მოწმეთა დაცვის პროგრამაზე უარი

„ბატონო მოსამართლე, თქვენს წინაშეა ორი გიორგი სიბაშვილი: ერთი – ბრალდებული და მეორე – ადვოკატი!“

„ძალიან ამაზრზენი შეკითხვაა!“ – როგორ გაუმწარა სიცოცხლე კახეთის ყოფილმა ვიცეგუბერნატორმა გამომძიებლებს



მე-10-11 გვ.

ანი მიროტაძე: „ძალიან დიდი ქაოსია!“



მე-4 გვ.

„მაინც დიტოს დედად დავრჩები!“



მე-13 გვ.

რას ჰყვება ასმათ ტყაბლაძე კოტე თოლორდავაზე

თბილისის საშიში და მისტიკური სახლები მე-16-17 გვ.

№ 16 (280)
22-28 აპრილი 2015
ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# ადეიშვილს მფარველები ხელისუფლებაში ჰყავს?!

**სისხლიანი სცენარი — როგორ დაიგეგმა პრეზიდენტის ლიკვიდაცია, ვინ იყო და რატომ გაქრა უგზოუკვლოდ დავით ცინდელიანი და რას მალავს პროკურატურა**

**უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში ე.წ. ჩეჩნურ ხაზზე ლაპარაკს აგრძელებს და ერთობ სკანდალურ ინფორმაციასაც ასაჯაროებს. კერძოდ, ქართველი სპეცსამსახურელი 2005 წლის მაისში, საქართველოში აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ვიზიტს იხსენებს და ამბობს, რომ არშემდგარი ტერაქტი, რომლის გამოც ვინმე ვოვა არუთინოვს უვადო პატიმრობა შეუფარდეს, სინამდვილეში, სპეცსამსახურების დაგეგმილი იყო. ფორჩხიძის ვერსიით, რომლის გასამყარებლადაც ჩეჩენი ჟურნალისტის, საიდაევის მემუარებს იშველიებს, ტერაქტის ინსცენირების მიზანი საქართველოზე კრემლის მხრიდან სამხედრო აგრესიის მიტანა იყო... ამასთან, უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი ინტერპოლის მიერ ყოფილი მთავარი პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის წითელი ცირკულარით ძებნის მოხსნასაც ეხება და განმარტავს, რომ ეს ხელისუფლების უნიათობის შედეგია...**



**კონსტანტინე ფორჩხიძე:** — პანკისში დღეს შექმნილი ვითარება გამოძახილია, უფრო სწორად, ხეობაში, წლების განმავლობაში მიმდინარე რუსეთისა და დასავლეთის, ასევე, ირანული და თურქული სპეცსამსახურების ბრძოლის შედეგია. ამ ბრძოლას, რომელიც გავლენის მოპოვებასა და გაფართოებას ემსახურება, იარაღისა და ნარკოტიკების ტრაფიკი ახლავს.

**— დასავლური სპეცსამსახურები იარაღის და ნარკოტიკის ტრაფიკს ებრძოდნენ თუ ყველაფერ ამაში უშუალოდ მონაწილეობდნენ?**

— თავდაპირველად, ჩართული იყვნენ, რადგან ორგანიზებას ჩეჩნეთის ე.წ. წინააღმდეგობის მოძრაობას უწევდნენ. ეს მოძრაობა რუსეთისკენ იყო მიმართული.

**— დასავლეთში ევროპას გულისხმობთ, აშშ-ს თუ ორივეს ერთად?**

— უფრო — აშშ-ს... ყველაფერ ამაში არაბული სამყაროც, კერძოდ, საუდის არაბეთიც მონაწილეობდა. საერთოდ, ე.წ. ვაჰაბიტური მოძღვრების მთავარი ბაზა სწორედ საუდის არაბეთია.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ვაჰაბიტების უკან დასავლური სპეცსამსახურები დგანან?**

— თავის დროზე ასე იყო, მაგრამ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, რომელიც „ალ ქაიდამ“ ჩაიდინა, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და, შესაბამისად, ქართული სპეცსამსახურების დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა, თუმცა ჩვენმა სპეცსამსახურებმა, ფული რომ ეშოვათ, იმ აწყობილ „კანალებზე“, რომლებზეც წინა ინტერვიუებში ვისაუბრეთ, მოქმედება დამოუკიდებლად დაიწყეს, მაგრამ აქ მთელ სპეცსამსახურზე კი არა, ცალკეულ პირებსა და ემისრებზეა ლაპარაკი. ყველაფერი ეს კი, იმაზე მიანიშნებს, რომ წლების განმავლობაში, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ გვქონდა... ხაზს ვუსვამ: ყველაფერი ეს 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტამდე, ანუ მანამდე ხდებოდა, ვიდრე „ალ ქაიდას“ მიმართ „სი-აი-ეს“-ის, ანუ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დამოკიდებულება შეიცვლებოდა. არადა, „ალ ქაიდა“, უფრო სწორად, „ალ ქაიდას“ წინამორბედი თავის დროზე სწორედ დასავლურმა სპეცსამსახურებმა ავღანეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნეს.

მოკლედ, ჩეჩნეთში, საქართველოს გავლით, „სი-აი-ეს“-ის წარმომადგენლები მოქმედებდნენ. ერთ-ერთი ასეთი სეიმ ისლამი, ანუ მოჰამედ შაბაანი იყო, რომელიც წინა ინტერვიუებშიც ვახსენეთ და რომელსაც „ისლამის მახვილს“ ეძახდნენ. ის 1961 წელს ეგვიპტეში დაიბადა, ავღანეთში, სუდანსა და სომალიში აშშ-ის საფარქვეშ იბრძოდა. მოგვიანებით, „ისლამის მახვილმა“,

როგორც ადრეც გითხარით, ჩეჩნეთში ტერორისტული ორგანიზაცია „კავკასია“ დააარსა. ამასთან, ჩრდილოეთ კავკასიაში კურირებას „ალ ქაიდას“ ქსელსაც უწევდა და ჩეჩენ საველე მეთაურებს პარტიზანულ მოძრაობას ასწავლიდა.

**— „ისლამის მახვილი“ საქართველოში ნამყოფია?**

— ნამყოფი კი არა, წლების განმავლობაში, საქართველოში წინ და უკან დასეირნობდა! ყურადღება მიაქციეთ: „ისლამის მახვილი“ ავღანეთში „სი-აი-ეს“-ის ოფიციალური ინსტრუქტორი იყო და ეს, წესით, ჩვენს სამართალდამცავებს უნდა სცოდნოდათ.

**— შეიძლება, იცოდნენ, მაგრამ ამბობთ, რომ ყველაფერი სტრატეგიულ მეკავშირეებთან იყო შეთანხმებული. შესაბამისად, ჩვენი სპეცსამსახური რას გააკეთებდა?**

— ვანო, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ: არსებობს ორი მეგობარი ქვეყანა, მაგრამ არ არსებობს ორი მეგობარი სპეცსამსახური. მიუხედავად ამისა, საქართველოს გარკვეული ტერიტორიები, იქიდან გამომდინარე, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ გვქონდა, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურთა პოლიგონად გადავაქციეთ. ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ზოგიერთი მაღალჩინოსანი მერკანტილური მოსაზრებით უგულვებელყოფდა და დღევანდელი სიტუაცია სწორედ ამის შედეგია!

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ 2002 წელს, პანკისში დიდი სპეცოპერაცია ჩატარდა, სეიფ ისლამი, იგივე „ისლამის მახვილი“ თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ კაციშვილი არ შეხებია.

**— ჩვენმა ძალოვანებმა ამის შესახებ ეგებ, არაფერი იცოდნენ?**

— კარგი, რა?! სპეცსამსახურებს ადრეც და ახლაც ძალიან ბევრი ინფორმაცია აქვთ და გადასარევად იციან, პანკისიდან ხალხის სირიაში რეკრუტირებას ვინ და რა ჯგუფები აწარმოებენ. არსებობენ „ტიპები“, რომლებიც ამ საქმიანობას წლებია, ეწევიან. ერთ-ერთი ასეთი „ტიპი“ ვინმე მუსაა, რომლის გვარიც, სამწუხაროდ, არ ვიცი, თუმცა ვიცი, რომ მოსოლს ეძახიან. ის თურქეთში „კავკასიის ემირატის“ წარმომადგენელია. „კავკასიის ემირატის“ წინამორბედი ე.წ. ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტი იყო, რომლის სათავეშიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, რუსული სპეცსამსახურები იდგნენ, მაგრამ ამ პროექტმა არ გაამართლა. ამიტომ, ახალი პროექტი — „კავკასიის ემირატი“ „შემოაგდეს“, რომელსაც დოკუ უმაროვი ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის, დოკუ უმაროვი, წლების განმავლობაში, თბილისში, ატც-ს, ანუ ანტიტერორისტული ცენტრის წინ ცხოვრობდა... ზემოხსენებული მოსოლი თურქეთში სწორედ დოკუ უმაროვის პირადი წარმომადგენელია და, როგორც ვიცი, თურქეთიდან, ერაყსა და ქურთისტანიდან ჩეჩნეთის ე.წ. მეორე ომის დროს მებრძოლთა რეკრუტირებას ეწეოდა. გამორიცხავთ, რომ პანკისელების სირიაში წასვლაშიც სწორედ ეს ხალხი არაა ჩართული?

**— ყველაფერი ეს, შეიძლება, რუსეთის დასუსტებას ემსახურებოდა და ემსახურება...**

— არაა გამორიცხული, მაგრამ ამ სქემებში ჩართული ზოგიერთი ადამიანი პირდაპირ რუსებზე მუშაობდა და ამიტომ, სხვა შედეგი მივიღეთ, თან არ დაგავიწყდეთ, რომ რუსებისგან შემოჩეჩებულ „ტიპებს“ საქართველოს მოქალაქეობასაც აძლევდნენ.

**— ვის გულისხმობთ?**

— მაგალითად, ისმაილ საიდაევს... ერთი სიტყვით, ამ ადამიანებმა ქართული სპეცსამსახურები, პრაქტიკულად, დაანგრიეს. როცა ეროვნული უსაფრთხოების სამსახური გქვია, შენი ერის ინტერესებით უნდა იმოქმედო. გასაგებია, რაღაც თემებზე თანამშრომლობა აუცილებელია, მაგრამ იმაზეც უნდა იფიქრო, ამ თანამშრომლობამ 15-20 წლის შემდეგ, რა შეიძლება მოიტანოს...

**— ...ბატონო კოტე, არაოფიციალური საუბრისას, ე.წ. ჩეჩნურ კონტექსტში, 2005 წელს, ჯორჯ ბუშის თბილისური ვიზიტი და არშემდგარი ტერაქტი ახსენეთ. რატომ?**

— საიდაევის აღსარებას ვერ ვენდობი.

**— ეს რაღა შუაშია? მოდით, ყველაფერი თანმიმდევრულად მიამბეთ...**

— საიდაევმა საქართველოში თავის მოღვაწეობაზე მემუარები გამოაქვეყნა, სადაც საქართველოში ბუშის ვიზიტსაც იხსენებს და მიანიშნებს, რომ არშემდგარ ტერაქტში სპეცსამსახურებთან პირდაპირ თუ ირიბ კავშირზე მყოფი „ტიპები“ იყვნენ ჩართულნი.

**— ანუ, ტერაქტის მცდელობის უკან, რომლის გამოც ვინმე ვოვა არუთინოვს უვადო პატიმრობა მიუსაჯეს, სპეცსამსახურები იდგნენ?**

— არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ შესაძლოა, ასეც იყოს, მით უმეტეს, რომ ამ არშემდგარ ტერაქტზე ბევრი შეკითხვა არსებობს. სხვათა შორის, იური ვაზაგაშვილის აფეთქებისა არ იყოს, ამ ე.წ. ტერაქტშიც „ფ1“ ფიგურირებს. ეს „ფ1“ ტერაქტების განხორციელების ყველაზე კარგ იარაღად აქციეს!

**— ბუშის ვიზიტის დროს ხელყუმბარა არ აფეთქდა...**

— სწორედ ესაა საეჭვო.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ მილიონში ერთი შანსია, „ფ1“ არ აფეთქდეს.

**— ჰოდა, საქმე ეგებ, სწორედ ამ „ერთ შანსთან“ გვაქვს?**

— გამორიცხულია. ვეჭვობ, რომ ყველაფერი ინსცენირება იყო.

**— ინსცენირების მიზანი?**

— აქცენტი ე.წ. ჩეჩნურ ხაზზე უნდა გაკეთებულიყო, რაც რუსეთის საქართველოში შემოსვლის საბაბი გახდებოდა.

**— ასეთი ეჭვი რატომ გაქვთ?**

— საიდაევი, რომელიც, როგორც ირკვევა, არუთინოვის მეზობლად ცხოვრობდა, ამბობს, რომ მასთან ვინმე დათო ცინდელიანი მივიდა.

**„ადეიშვილთან დაკავშირებით ნურც „ნაცმოძრაობა“ და ნურც „ოცნება“ პოლიტიკურ მოტივებს ნუ „გვტენის“! ისე, არავინ იცოდა, რომ ადეიშვილს უნგრეთში, „ეფ-ბე-ერ“-ის სკოლასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა? ჰოდა, თუ იცოდი, ამ პირადი კონტაქტის გამოყენების საშუალება რატომ მიეცი? ადეიშვილი სპირტის კი არა, ისეთ საქმეში უნდა „შეტენო“, სადაც უტყუარი მტკიცებულებებია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბესო ხარძიანის ქონების გადაფორმება მაშინდელი მთავარი პროკურორის გარეშე მოხდა? თუკი ამაში ამერიკელებს დავარწმუნებთ, შეკითხვები აღარ ექნებათ და ადეიშვილის დაცვაზე ერთი ლობისტიც აღარ დასთანხმდება! თანამდებობაზე რომ ხარ, პრიორიტეტები უნდა შეარჩიო და, პირველ რიგში, „ნაციონალების“ მიერ შექმნილ პირამიდას თავი მოჰკვეთო!“**

ცინდელიანი, როგორც ვიცი, ზემოხსენებული ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო.

**— ცინდელიანი სპეცსამსახურელი იყო?**

— არ ვიცი, მაგრამ საიდაევმა, როგორც თვითონ ამბობს, ცინდელიანს თავის დროზე ურჩია, რომ სპეცსამსახურთან ურთიერთობაში შესულიყო, რათა სცოდნოდათ, უშიშროებას რა თემატიკა აინტერესებდა.

მოკლედ, საიდაევს ცინდელიანი სთავაზობს, რომ თავისუფლების მოედანზე წასულიყვნენ, სადაც ჯორჯ ბუშს ხალხისთვის უნდა მიემართა, მაგრამ საიდაევმა ფეხი აითრია...

ნიშანდობლივია, რომ მოგვიანებით, დავით ცინდელიანი უგზოუკვლოდ დაიკარგა. ამის თაობაზე ინფორმაცია საქართველოში, შესაძლოა, გარკვეულ ჯგუფს აქვს...

**— მაშასადამე, ეჭვობთ, რომ ცინდელიანი უშიშროებამ გააქრო?**

— ყოველ შემთხვევაში, სპეცსამსახურთან გარკვეული შეხება ჰქონდა...

**— ერთი სიტყვით, თქვენი ვერსიით, კოტე ბატონო, ვოვა არუთინოვი სპეცსამსახურმა „დაამუშავა“ და ტერაქტის მცდელობის ინსცენირება მოაწყობინა?**

— შეიძლება... არ ვიცით, არუთინოვს კონტაქტი ვისთან ჰქონდა, ან „ლიმონკა“ როგორ შეიძინა...

**— როგორც მახსოვს, გამოძიებამ დაადგინა, რომ მარტო მოქმედებდა...**

— ჯერ ერთი, ასეთ რაღაცებს მარტო ვერავინ აკეთებს, მეორეც, როგორც მახსოვს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ არუთინოვმა ციხეში წვერი მოუშვა და ისლამი მიიღო.

**— ამ დეტალს ხაზს რატომ უსვამთ?**

— იმიტომ, რომ ვიღაც ისრების ჩეჩნურ ხაზზე გადატანას ცდილობდა.

**— თქვენი ლოგიკით, რუსული სპეცსამსახურები ცდილობდნენ, ბუშის ვიზიტისას არშემდგარი ტერაქტი ჩეჩნებისთვის დაებრალებინათ და ანტიტერორისტული ოპერაციის საბაბით, საქართველოში რუსული არმია 2005 წელსვე შემოსულიყო, არა?**

— დიახ...

**— თუკი ასეა, საინტერესოა, რუსებმა არუთინოვს გამართული, ანუ ისეთი „ფ1“ რატომ არ მისცეს, რომელიც აფეთქდებოდა?**

— ალბათ, დიდ მსხვერპლს მოერიდნენ...

არაფერს ვამტკიცებ: უბრალოდ, ხაზს ვუსვამ, რომ არსებობს ინფორმაცია, რომელიც საიდაევმა გაავრცელა და ამ ინფორმაციას შესწავლა უნდა.

სხვათა შორის, არუთინოვის აყვანის სპეცოპერაციისას ჩემი მეგობარი, უგანათლებულ-

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22-28 აპრილი 2015 | № 16 (280) | 3

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

ესი ზურა ქვლივიძე შეეწირა, მაგრამ დღემდე არავის გაუცია პასუხი შეკითხვაზე: ზურა ვის პოლიტიკურ თამაშებს შეეწირა?

ისე, პრეზიდენტის დაცვის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა თავის დროზე განაცხადა, რომ არუთინოვი იმ დღეს თავისუფლების მოედანზე საერთოდ არ ყოფილა. მაინტერესებს, არაფეთქებულ „ფ1“-ს ექსპერტიზა ჩაუტარდა თუ არა, ანუ ექსპერტმა დაადგინა თუ არა, რატომ არ აფეთქდა და რა ტექნიკური წუნი ჰქონდა. ასევე, არავინ იცის, ხელყუმბარაზე დნმ-ის კვალი აღმოჩნდა თუ არა.

**— ბატონო კოტე, მახსოვს, ბუშის ვიზიტის დროს, თბილისში ყველა და ყველაფერი კონტროლდებოდა და ამ კონტროლს ამერიკელები კურირებდნენ. ასეთ დროს, ე.წ. მიტინგზე ხელყუმბარით შესვლა შესაძლებელია?**

— გამორიცხულია! ყოველ შემთხვევაში, ძალიან მცირე შანსი არსებობს, რომ მიტინგზე ვინმე ისე შეპარულიყო, რომ „ფ1“ შეეტანა.

**— არსებობს ალბათობა, რომ რუსებს მეკავშირეები იმ ამერიკელებს შორისაც ჰყავდათ, ვინც საქართველოში ბუშის ვიზიტს, ასე ვთქვათ, აკონტროლებდნენ?**

— თეორიულად ყველაფრის დაშვება შეიძლება და არსებობის უფლება ამ შეკითხვასაც აქვს...

ისე, საიდაევი ღიად მიანიშნებს, დავით ცინდელიანი იმიტომ გაუჩინარდა, რომ ბევრი ინფორმაცია ჰქონდაო...

**— ესე იგი, „კავკასიის იმარატის“ უკან კრემლი იდგა?**

— არა. რუსები ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის უკან იდგნენ. შემდეგ, საქართველოში „კავკასიის იმარატი“ დარეგისტრირდა. სხვათა შორის, ამ ხაზთან შეხება ბორის კაკუბავასაც ჰქონდა...

**— რუსულ სპეცსამსახურებს საქართველოში მსგავსი ორგანიზაციის დაფუძნება რისთვის სჭირდებოდათ?**

— ეს ჩვეულებრივი არასამთავრობო სექტორი იყო, რომლითაც ინფორმაციას იღებდნენ. ამ ჯგუფმა ჰუმანიტარული ორგანიზაცია „მილენიუმიც“ შექმნა, რომელმაც კავშირი იმ ამერიკულ ორგანიზაციასთან დაამყარა, რომელიც პანკისში ჩასახლებულ ჩეჩენ დევნილებს ჰუმანიტარულ ტვირთს აწვდიდა.

ყველაზე დიდი უბედურება კი ისაა, რომ ამ ტიპებთან თანამდებობის ძალიან მაღალი პირები, მაგალითად, ავთო იოსელიანის მოადგილე და სხვებიც კონტაქტობდნენ. ყოველ შემთხვევაში, საიდაევი ავთო იოსელიანის ერთ-ერთ მოადგილეს, გენერალ კიკნაძეს ასახელებს.

მთელი ამ ამბის შედეგი, იცით, რა არის?

**— რა?**

— პანკისიდან სირიაში ხალხის წასვლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, საქართველოს მუსულმანი მოქალაქეებისთვის, ანუ ტრადიციული მუსულმანებისთვის არატრადიციული რადიკალური ისლამი — სალაფიტური მოძღვრება, ანუ ვაჰაბიზმი შემოვიდა, რომელმაც პანკისის ხეობიდან ტრადიციული ისლამი, პრაქტიკულად, განდევნა. გასაგებია, რომ რუსებს, ამერიკელებსა თუ თურქებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ, მაგრამ საქართველოს სპეცსამსახურები ჩვენს ინტერესებს რატომ არ ატარებდნენ?

**— ბატონო კოტე, საქართველოში ვაჰაბიზმის შემოსვლა რომ დაიწყო, ჯერ კიდევ სპეცსამსახურში მუშაობდით და ეს შეკითხვა ახლა კი არ უნდა დასვათ, არამედ, თავის დროზე თქვენივე ხელმძღვანელებისთვის უნდა დაგესვათ!**

— ჯერ ერთი, სხვა ხაზით ვმუშაობდი. მეორეც, უფრო მწვავე შეკითხვებსაც ვსვამდი. ის ხალხი, ვისაც პასუხს ვთხოვდი, ცოცხალია და ზოგიერთი ისევ მუშაობს.

**— რა პასუხს იღებდით?**

— არ შეიძლება, თეთრი ყვავი იყოო და... ამის გამო სამსახურიდანაც გამიშვეს — ხუთი თვე უმუშევარი ვიყავი...

**— ისე, დღესაც უმუშევარი ხართ... ბატონო კოტე, ამ თემებთან დაკავშირებით დაკითხვაზე რომ დაგიბარონ, რა ჩვენებას მისცემთ?**

— რა ჩვენებას და, — საიდაევის მემუარებს დავუდებ და გამოიკვლიონ.

**— საიდაევი საქართველოს მოქალაქე აღარაა?**

— არ ვიცი...

ყველაზე საინტერესო ვახა იბრაგიმოვი, ადამ ფაშაევი და ისაა ადამოვი არიან, რომლებმაც „ნორდ ოსტის“ ტერაქტი მოამზადეს.

**— აქცენტს იმაზე აკეთებთ, რომ „ნორდ ოსტის“ ტრაგედიაც რუსულმა სპეცსამსახურებმა დაგეგმეს?**

— ამას ხელაღებით ვერ ვიტყვი, მაგრამ საიდაევი, ზემოხსენებული გვარების გარდა, კიდევ ორ პიროვნებას ასახელებს, რომელთაგან ერთ-ერთი, ვინმე „მუსლიმი“ მოსკოვში ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად, თბილისიდან ჩაფრინდა. ვინმე იასერი, მეტსახელად „პალესტინელი“ კი, ჩვენმა ატც-მ დააკავა, ერთი კვირა იზოლატორშიც იჯდა და, წესით, ამერიკელების ხელში უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ ალბათ, გარკვეული მერკანტილური ინტერესებიდან გამომდინარე, პანკისში გაუშვეს და იმ ჯგუფს შეუერთდა, რომელიც „ნორდ ოსტს“ ამზადებდა. იცით, ეს რისთვის გაკეთდა? — „ნორდ ოსტში“ ქართული კვალი გამოჩენილიყო და რუსეთს საბაბი მისცემოდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ღონისძიებები განეხორციელებინა.

**— თუკი საიდაევი რუსული სპეცსამსახურების საფარქვეშ მოქმედებს, მთელ საიდუმლოს რატომღა ასაჯაროებს?**

— არის მომენტები, როცა სპეცსამსახურს აგენტურა აღარ სჭირდება, თამაშიდან გაჰყავს და ინფორმაციის ლეგალიზაციის სრულ უფლებასაც აძლევს. ამით ვილაცისთვის გზა თავისუფლდება. საიდაევსა და ხიზრი ალდამოვთან დაკავშირებითაც ეს გაკეთდა, მეტი არაფერი, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს, საიდაევს ვინ მართავს, მისი იფორმაცია შესწავლილი უნდა იქნას! ამავე კონტექსტში, საგულისხმოა, რომ ისინი, ვისაც პანკისთან რაღაც შეხება ჰქონდათ, სხვადასხვა ძალოვან უწყებაში დღესაც მუშაობენ. მაგალითად, ლევან გაბუნია — თავდაცვის სამინისტროში, გია გაბუნია, რომელიც თავდაცვაში დაზვერვას ხელმღვანელობდა და ლევანის ბიძაშვილია — „გალფ“-ში. ის თავის დროზე იგორ გიორგაძის დაცვის წევრი იყო.

**— დაცვის წევრობა კომპრომატი არაა!**

— კარგი, რა, თქვენი ჭირიმე! დაცვაში ისეთ „ტიპს“ არ იღებენ, რომელსაც არ ენდობიან! გაიხედეთ, დღეს საკვანძო თანამდებობებზე ბიძინა ივანიშვილის დაცვის ყოფილი წევრები, ანუ ისინი არიან, ვისაც ყველაზე მეტად ენდობა!

**— ...ბატონო კოტე, მართალია, სირიაში ქრისტიანთა მასობრივ ხოცვაზე საქართველოში აჟიოტაჟია ატეხილი, მაგრამ ამ თემაზე მსოფლიო მედია დუმს. ისიც ითქვა, რომ კადრები, რომელიც ერთ-ერთმა ქართულმა არხმა გაუშვა, ორი წლის წინაა გადაღებული. ერთი ვერსიით, „ნაციონალები“ ცდილობენ, „სირიული ისტერიით“ „ოცნება“ არაჰუმანურობაში დაადანაშაულონ...**

— ნამდვილად არ ვიცი, სირიაში, რეალურად, რა ხდება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ საქართველოში, სირიელ დევნილებთან ერთად, ჩვენთვის არასასურველი პირებიც შემოვიდნენ... ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ეს კადრები როდისაა გადაღებული? — თუ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ, ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, უნდა დავეხმაროთ! საერთოდ, ასეთი თემები „ნაცმოძრაობისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანია.

**— რატომ?**

— ყველაფერს ხელისუფლებას შემოუტრიალებს და იტყვის, ვამპირების ხელისუფლებაო. ეს ჩვეულებრივი პიარია...

**— ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ ზურაბ ადეიშვილს ინტერპოლი აღარ ეძებს... ისე, ეკა ბესელიამ თქვა, ადეიშვილმა ამას პირადი კონტაქტებით მიაღწიაო...**

— უიმე, უიმე, უიმე!

ადეიშვილის ინტერპოლის ცირკულარიდან ამოღება, პირველ რიგში, ხელისუფლების უნიათობის დასტურია.

**— უკაცრავად, ინტერპოლთან ხელისუფლება რა შუაშია?**

— ხელისუფლებას, რომელსაც იმის თავი არ აქვს, რომ დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს, ხალხის ნდობას ნამდვილად არ იმსახურებს! ამასთან, ადეიშვილს მფარველები, როგორც ჩანს, მხოლოდ საზღვარგარეთ კი არა, საქართველოშიც ბლომად ჰყავს, სხვა შემთხვევაში, მის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე გამოძიება ორწლინახევრის განმავლობაში უნდა დასრულებულიყო და სასამართლოს გადაწყვეტილებაც დამდგარიყო. სწორედ ესაა მიზეზი, რომ ინტერპოლი ადეიშვილს აღარ ეძებს.

**— ანუ, სასამართლოს განაჩენი რომ გამოეტანა, ინტერპოლი ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა?**

— რა თქმა უნდა, ვერ მიიღებდა. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეეძლოთ, დაუსწრებლად გაესამართლებინათ? ისე, დევნილის სტატუსი ბევრს აქვს, მაგრამ საერთაშორისო ცირკულარით მაინც იძებნება.

**— თემურ ბასილაიამ განაცხადა, თავის დროზე ინტერპოლმა ძებნა არ მომიხსნა და მითხრა, ამ მოთხოვნით საქართველომ უნდა მოგვმართოსო...**

— ასეა...

**— ესე იგი, ჩვენმა პროკურატურამ დართო ნება, რომ ინტერპოლს ადეიშვილზე ძებნა მოეხსნა?**

— ალბათ... ისე, ინტერპოლი ვალდებულია, ძებნიდან მოხსნის გადაწყვეტილების მოტივაცია ძებნის ინიციატორ მხარეს, ამ შემთხვევაში, მთავარ პროკურატურას გააცნოს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მთავარმა პროკურატურამ გადაწყვეტილება, რომელიც 9 აპრილს მიიღო, უნდა გაასაჯაროოს, ანუ თავისი ინტერპრეტაცია კი არ უნდა დადოს, არამედ, ინტერპოლის სრული ტექსტი გამოაქვეყნოს, რომელიც პასუხს ბევრ შეკითხვაზე გასცემს. სხვათა შორის, თბილისის ყოფილმა პროკურორმა, მაია მწარიაშვილმაც ინტერპოლის სრული დოკუმენტის გასაჯაროება მოითხოვა. რა გამოდის? — ჩვენი დასავლელი მეგობრებისთვის, ადეიშვილი დამნაშავე არაა. დამნაშავე არც ყველაზე დიდი დამნაშავე მიხეილ სააკაშვილია. ესე იგი, მთავარი პროკურატურა სისტემურ დანაშაულში არ მონაწილეობდა. მაშინ, ვანოც გამოუშვან და გიგიც. რა, სისტემა მხოლოდ ვანომ და გიგიმ შექმნეს?! სისტემა მიხეილ სააკაშვილმა შექმნა და საბრალდებო სკამზე სწორედ ის უნდა დაჯდეს!

**— ამ სააკაშვილს ვერ იჭერენ და რა ქნან?!**

— ვერ კი არა, არ იჭერენ! რასაც ახლა გეტყვით, სიტყვა-სიტყვით დაწერეთ: თავის დროზე ირაკლი სესიაშვილს შევხვდი და მასალები ვაჩვენე, რომლითაც სააკაშვილის დაჭერა შეიძლება. ამ შეხვედრას დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე და ხუთი სხვა პირი, მათ შორის, სამხედროებიც ესწრებოდნენ. საუბრის დამთავრების შემდეგ, ბატონმა სესიაშვილმა თქვა, სააკაშვილი რომ დავიჭიროთ, ევროპა რას იტყვისო. ამას შეხვედრის ყველა მონაწილე დაადასტურებს!

**— ირაკლი სესიაშვილს როდის შეხვდით?**

— 2013 წლის სექტემბერში, ანუ სააკაშვილის მიმართ არდაჭერის პოზიცია მაშინვე არსებობდა. არადა, იმ სერიოზულ თემებზე, ანუ იარაღით უკანონო ვაჭრობაზე გამოძიება ნებისმიერ წესიერ ქვეყანაში აქამდე დამთავრებული იქნებოდა! ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ 2009 წლის ოქტომბერში, ბაჩო ახალაიამ ჰაერში 57 მილიონი გრივნა გაისროლა, მაგრამ არ იძიებენ. რატომ?.. ეს მასალები „ვიკილიქსმაც“ „გამოყარა“...

**— „ნაციონალებს“ „ვიკილიქსის“ მასალების უტყუარობაში ეჭვი ეპარებათ...**

— ამ მასალებში თავდაცვის სამინისტროს წერილის ნომრები, თარიღები და გვარებია მითითებული, თან ყველაფერი ეს მხოლოდ „ვიკილიქსის“ კი არა, უკრაინული მასალებითაც დასტურდება. ჩავიდნენ და იულია ტიმოშენკო დაკითხონ!

**— „ოცნების“ მომხრეთა არგუმენტით, დროა საჭირო, თორემ ყველა დამნაშავე დაისჯება...**

— გამოძიებას მკაცრად განსაზღვრული დრო აქვს — 9 თვე. თუ კანონმორჩილები ვართ, კეთილი ინებე და ამ ვადაში ჩაეტიე. თუ ამ ვადაში მტკიცებულებებს ვერ პოულობენ, მაშინ დაიხურონ ქუდები, სახლში წავიდნენ და ისეთები მოვლენ, ვინც დამნაშავეებს პასუხს აგებინებენ!

გაიძახიან, ადეიშვილი პოლიტიკური დევნილიაო. ჩაიხედონ საქართველოს კონსტიტუციაში, სადაც წერია, ადამიანის გამწესება პროკურორად, მოსამართლედ, შს და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლად, მას საჯარო მოხელედ აქცევს და ვალდებულია, პოლიტიკას ჩამოსცილდესო. ადეიშვილი საჯარო მოხელე იყო და ევროპელებს სწორედ ეს უნდა აუხსნან, ანუ შეიძლება, „ნაცმოძრაობასთან“ ასოცირდება, მაგრამ პოლიტიკურ საქმიანობას არ ეწეოდა და, შესაბამისად, არ შეიძლება, პოლიტიკური სტატუსი ჰქონდეს. ამათი უნიათობა სწორედ იმაშია, რომ ნორმალურად ახსნაც არ შეუძლიათ!

**— ამასწინათ, ერთ-ერთმა „ნაციონალმა“ განაცხადა, ჩვენ ცრუ მოწმეები მაინც მოგვყავდა, „ოცნებას“ კი, ესეც არ შეუძლიაო.**

— ეს აღიარებითი ჩვენებაა და ამ განცხადებით საგამოძიებო უწყებები უნდა დაინტერესდნენ.

**— ადეიშვილის ინტერპოლის ცირკულარიდან ამოღების გამო, ჩვენი რომელიმე ჩინოვნიკის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას?**

— პირველ რიგში, ინტერპოლის წერილი სრულად უნდა გასაჯაროვდეს. ამის შემდეგ გაირკვევა, ვისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს.

**— განაჩენის გამოტანის შემდეგ, ქართულ მხარეს შეუძლია, ადეიშვილზე ინტერპოლს ძებნის გამოცხადებით ხელმეორედ მიმართოს?**

— რა თქმა უნდა...

მოკლედ, ადეიშვილთან დაკავშირებით ნურც „ნაცმოძრაობა“ და ნურც „ოცნება“ პოლიტიკურ მოტივებს ნუ „გვტენის“! ისე, არავინ იცოდა, რომ ადეიშვილს უნგრეთში, „ეფბე-ერ“-ის სკოლასთან პირდაპირი კავშირი ჰქონდა? ჰოდა, თუ იცოდი, ამ პირადი კონტაქტის გამოყენების საშუალება რატომ მიეცი? ადეიშვილი სპირტის კი არა, ისეთ საქმეში უნდა „შეტენო“, სადაც უტყუარი მტკიცებულებებია. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბესო ხარძიანის ქონების გადაფორმება მაშინდელი მთავარი პროკურორის გარეშე მოხდა? თუკი ამაში ამერიკელებს დავარწმუნებთ, შეკითხვები აღარ ექნებათ და ადეიშვილის დაცვაზე ერთი ლობისტიც აღარ დასთანხმდება! თანამდებობაზე რომ ხარ, პრიორიტეტები უნდა შეარჩიო და, პირველ რიგში, „ნაციონალების“ მიერ შექმნილ პირამიდას თავი მოჰკვეთო!

**— ისე, ბატონო კოტე, ჩეჩნების არ გეშინიათ?**

— ჩეჩნების მე კი არა, მათ უნდა ეშინოდეთ, ვინც მათ იყენებდა და მერე, რუსებს გადასცა! ეს, მინიმუმ, არაკავკასიური და არაადამიანური საქციელია!

**— სპეცსამსახური და ადამიანობა? — გამაოცეთ!**

— ბოდიში, თქვენ შემოგევლეთ, რა?! რატომ გგონიათ, რომ სპეცსამსახურებში კაციჭამიები არიან?! სპეცსამსახურში სწორედ ისეთები უნდა იყვნენ, რომელთაც ქვეყანა უყვართ!

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**



ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უმრავლესობის ტრიბუნა

# ანი მიროტაძე: „ძალიან დიდი ქაოსია!“



**ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე იშვიათი შემთხვევაა, როცა ქვორუმის არარსებობის გამო, სხდომა ჩაიშალა. ეს ამბავი გასული კვირის ბოლოს მოხდა — დარბაზში იყვნენ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ წევრებმა, პროტესტის ნიშნად, რეგისტრაცია არ გაიარეს. რაც შეეხება უმრავლესობას, როგორც აღმოჩნდა, ქუთაისში, სხდომაზე დასასწრებად მხოლოდ ხუთი დეპუტატი ჩავიდა. პარლამენტში არ გამოცხადდა უმრავლესობის წევრი ანი მიროტაძეც, რომელსაც „ქართული სიტყვა“ ესაუბრა.**

**— ანი, პარასკევს პარლამენტის სხდომა ჩაიშალა, რასაც უპასუხისმგებლო უწოდეს. საერთოდ, დეპუტატების მისამართით ეს პრეტენზია ხშირად ისმის...**

— ეს შეკითხვა ორ ნაწილად უნდა გავყო. ერთი: ოპოზიციამ შესაძლებლობა გამოიყენა და რეგისტრაცია არ გაიარა. მეორე, სხდომათა დარბაზში არ იყო დეპუტატების საკმარისი რაოდენობა. ამის მიზეზი ისაა, რომ ზოგი მივლინებაში იყო, ზოგმა ქუთაისში ჩასვლა ვერ მოახერხა და, საბოლოოდ, ასეთი შედეგი მივიღეთ.

**— იმ დღეს ქუთაისში იყავით?**

— არა, მაგრამ მიზეზი მქონდა — ავად ვიყავი და შესაბამისი დოკუმენტები, რომ ვერ მოვახერხებდი ქუთაისში ჩასვლას, ჯერ კიდევ სამშაბათს წარვადგინე. როცა სხდომა ქვორუმის არარსებობის გამო ვერ შედგება, ეს საბოტაჟის ნიშნებს შეიცავს და ცოტა უპასუხისმგებლობასაც ნიშნავს. სხვა საკითხია, რამდენად სცემს პარლამენტარი პატივს, პირველ რიგში, საკუთარ თავს და მერე, — იმ მოსახლეობას, რომელმაც აირჩია. ისიც სხვა საკითხია, როცა იმყოფები დარბაზში და, აბსოლუტურად გაურკვეველი მიზეზის გამო, რეგისტრაციას არ გადიხარ, იმ საქმეს, რისთვისაც არჩეული ხარ, არ აკეთებ. ეს ძალიან ცუდია და ბრძოლის კარგი მეთოდი არაა.

**— ოპოზიცია ამბობს, რომ პროტესტის მიზეზი ჰქონდა..**

— ეს აბსოლუტურად გაუგონარი მიზეზია. როგორც ამბობენ, თურმე, ადამიანი, რომელსაც ბრალი მძიმე დანაშაულში ედება, საპატიმროში არ უნდა იჯდეს, თან თურმე, ზუსტად ისე უნდა მოიქცეს სასჯელაღსრულების მინისტრი, როგორც ეს იმ კონკრეტულ პატიმარს მოუნდება. საოცრებაა, როცა ამბობენ, რომ ადამიანი, რომელიც უკანონო ბრძანებას ემორჩილება, დანაშაულის თანამონაწილე არ არის.

**— ახალი კონსტიტუციით, პარლამენტი მაკონტროლებელი ორგანოა. ჩვენი პარლამენტი ამას ახერხებს? ვართ საპარლამენტო ქვეყანა? ხშირად ამბობენ, რომ პარლამენტი მთავრობის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევაზე თვალს ხუჭავს...**

— იმ აზრისგან, რომ პარლამენტი ნამდვილად ასრულებს კონსტიტუციით განსაზღვრულ ფუნქციებს, შორს ვარ. ყოფილმა ხელისუფლებამ თავდაყირა დააყენა კონსტიტუცია და ერთმანეთთან შესაბამისობაში ბევრი მუხლი აღარაა. გეთანხმებით, რომ პარლამენტი თავის კონსტიტუციურ ფუნქციას ვერ ასრულებს. ვთვლი, რომ პარლამენტი ბევრად უფრო მკაცრი უნდა იყოს და არა მხოლოდ ხელისუფლების მიმართ. ის ვალდებულება, რომელიც ამომრჩევლის მიმართ აქვს, ყველამ უნდა გაიაზროს... ისე, უპასუხისმგებლობაში ერთ დეპუტატსაც ვერ დავადანაშაულებ. უბრალოდ, ძალიან დიდი ქაოსია და ბევრი რამ ბუნდოვანია.

**— კანონმდებლობაა ბუნდოვანი?**

— დიახ. ხშირად გაურკვეველია, თუ ვის რა უფლებამოსილებები აქვს. ვიდრე ეს გასწორდება და ზუსტად გაიმიჯნება, ვისი უფლება სად იწყება და სად მთავრდება, ასე იქნება. მუშაობს კომისია, რომელიც კონსტიტუციის გადახედვითაა დაკავებული

**— კი, მაგრამ კონსტიტუციის შესწორებას ეს პარლამენტი მოასწრებს?**

— ვფიქრობ, მოხერხდება. როგორც ვიცი, კომისია შედეგს სექტემბერში დადებს.

**— მედია ხშირად ამბობს, რომ პარლამენტი უსაგნო კანონების მიღებითაა დაკავებული...**

— მინდა, მედიას ვკითხო, წინა მოწვევის პარლამენტების მიერ რომელი კანონი ახსოვს? ადრე განსაკუთრებული პარლამენტები გვყავდა. ავიღოთ მეშვიდე მოწვევის პარლამენტი, რომელიც ჩვეულებრივი ნოტარიუსი იყო. ახლა, ჩვენ ვმუშაობთ მაინც, ადრე ესეც არ ხდებოდა

**— რა, გაურკვეველი შინაარსის კანონებზე არ მუშაობთ?**

— შეფასების ნაწილში ყოველთვის შეიძლება კამათი, იმის მიხედვით, ვისთვის რა არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი კანონიც არ მახსენდება, რომელიც მნიშვნელოვანი არ იყო.

**— გაგახსენებთ: მაგალითად, პრეზერვატივების, ან როგორც უწოდებენ „ჩოხებისა და ჩიხტიკოპების“ კანონი?**

— რამდენადაც მახსოვს, კანონში ჩაიწერა, რომ სადაც თამბაქო იყიდება, იქვე უნდა გაიყიდოს სექსუალური პროდუქცია. ახალი არაფერი მიგვიღია, უბრალოდ, დავაზუსტეთ და კანონი ევროსტანდარტებს მოვარგეთ. რაც შეეხება ეროვნულ ტანსაცმელს, ლაპარაკი პარლამენტის დრესკოდზე იყო და დასაშვებად ეროვნული ტანსაცმელიც მივიღეთ. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, თუმცა ბევრია, რაზეც მუშაობა აუცილებელია.

ეს პარლამენტი ძველებისაგან კიდევ იმით განსხვავდება, რომ მუდმივად ფორმაში ყოფნა გვიწევს — ოპონენტი ჩასაფრებულია, ძლიერია და ასე შემდეგ. თუ „ნაცმოძრაობას“ უნდა, პარლამენტი, როგორც თვითონ ეძახის, უუნარო ხელისუფლების ქოლგის ქვეშ მოაქციოს, არ გამოუვა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვითონაც აქ არიან და მეორეც, პარლამენტი მუშაობს. უნარიანი პარლამენტი ვიცი, როგორიც იყო.

**— როგორი?**

— უნარიანი თუ იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს ფეხზე სიმძიმე შეაბა, ზღვაში ჩაყარო და მერე, ოჯახის წევრები მკვდრის დაბრუნებას იხვეწებოდნენ, ასეთი ხელისუფლება არ მინდა. კაცი, რომელიც გვამებს ითხოვს და ის შინაგან საქმეთა მინისტრია, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ეს უნარი! ასეთი უუნარობა მირჩევნია, როცა ზუსტად ვიცი, რომ ამ ქვეყანაში ორიენტირებულები ვართ ადამიანის სიცოცხლეზე.

**— პარლამენტში მუშაობა თქვენთვის კომფორტულია? — ჟურნალისტი ხართ და მოვლენებს ყოველთვის გარედან აკვირდებოდით...**

— ზოგადად, აქტიური ადამიანი ვარ და ხელს არავინ მიშლის, უფრო აქტიური ვიყო, არავინ იზღუდება. სოფლის მეურნეობისა და ფინანსურ საკითხებში ვერ ჩავერევი, რადგან ვერ ვერკვევი, მაგრამ რა საკითხშიც ვერკვევი და რაზეც, როგორც ჟურნალისტს, ხშირად მქონდა პრეტენზია, აქტიურობას არავინ მიშლის. არის შემთხვევები, როცა გამაქვს ჩემი პოზიცია, ზოგჯერ — ვერა, მაგრამ ესეც ჩვეულებრივი პროცესია. მინდა, უკეთესი ქვეყანა გვქონდეს. არ მინდა, ამ ქვეყანაში ახლა ვიწყებდეთ სასამართლო რეფორმას, არადა, ისეთი სასამართლო გვქონდა, რომ ასი შემთხვევიდან ასივეში გამამტყუნებელი განაჩენი დგებოდა.

წინა ხელისუფლება ძალიან ცდილობს, თავისი ნაკეთები საქმეები გადაფაროს, მაგრამ არ გამოსდის. ის თავისი სიძლიერის დემონსტრირებას მოსახლეობაზე ახდენდა ზეწოლით და ათასი უბედურების განხორციელებით. არ მინდა ისეთი სიძლიერე, თუ ქვეყანაში არ დამრჩება სრულფასოვანი, ჯანსაღი ადამიანი! ბევრი ოჯახი ვიცი, რომელიც ბავშვებისთვის წიგნებს ვერ ყიდულობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბავშვები განათლების უფლების გარეშე რჩებოდნენ.

**— დღეს ბავშვებს წიგნები, შეიძლება, აქვთ, მაგრამ ტანსაცმელი — არა. ამასაც თავი რომ დავანებოთ, პროდუქტი გაძვირდა...**

— ვინმე ამბობს, რომ ასე არაა? ეს კარგი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ, დღეს ბიუჯეტის ერთი მესამედი მიდის სოციალურ პრობლემებზე, ანუ სახელმწიფო აფინანსებს ადამიანის გადარჩენას. ეს ადვილი არაა, რადგან მდიდარი ქვეყანა არ ვართ. დღეს მთავარი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენაა, არადა, ასეთი პრობლემის წინაშე ვიდექით. რა თქმა უნდა, ბევრი პრობლემაა — ვერ გავზარდეთ პენსიები, სამარცხვინოა საარსებო მინიმუმი, გვაქვს პრობლემები ინვესტიციების საკითხში, ასევე, — შეცდომებიც, მაგრამ თუ ფიქრობთ, რომ ამას ვერ ვხედავთ, ასე არაა.

**— ანი, კარგია, რომ ხედავთ, მაგრამ თქვენი ზოგიერთი კოლეგა გვარწმუნებს, რომ ყველაფერი კარგადაა...**

— ზოგი ხედავს და არ გამოხატავს, მე კი, პირიქით, ვხედავ და გამოვხატავ. კომფორტული არაა, მაგრამ როცა გაჭირვებული ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენელი ხარ, იმის განცდა, რომ ყველაფერი კარგადაა, არ უნდა გაგიჩნდეს, თორემ შენც დაიღუპები და ქვეყანაც!

**— „ოცნების“ ხელისუფლებამ ფუნდამენტური შეცდომა დაუშვა?**

— არ მგონია. 2005 წელს, თავისივე გუნდის წევრი მოკლეს და ეს გუნდი როგორ ამბობს, რომ ჩვენ, თურმე, უუნაროები ვართ და თვითონ მაგარია?!. არ გაინტერესებს, სად იყრიდა თავს ის ფული, რომელსაც ადამიანებს ძალით ართმევდა ძველი ხელისუფლება? ორ — „საქართველოს ბანკსა“ და „თი-ბი-სი ბანკში“ მილიონებს ათეთრებდნენ. ძალიან ბევრი გვარი ვიცი, ვინც ამ საქმეებში იყო გარეული. ახლა ისინი უდანაშაულობას ამტკიცებენ და თვალებს აფახულებენ. შეიძლება, კონკრეტული ადამიანების სახელები და გვარები არ ვიცით, მაგრამ ის ხომ ვიცით, რომ მილიარდი ლარი საპროცესო შეთანხმებებით იკრიბებოდა? ხომ არ არის ზურაბ ადეიშვილი დამნაშავე? ვამბობ, რომ ეს იყო მისი გეგმა და ამის მოკითხვა ბანკებში შეგვიძლია.

**— „ნაცმოძრაობა“ ცილობს, ხალხი დააჯეროს, რომ უდანაშაულოა და „ნაცებზე“ პოლიტიკური დევნა მიმდინარეობს...**

— შეიძლება, ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს და ჩვენს ამომრჩეველს დიდი პრეტენზია აქვს, მაგრამ ერთ რამეში ზუსტად ვარ დარწმუნებული: ხალხი არასდროს ცდება და მეხსიერებაც იმაზე კარგი აქვს, ვიდრე „ნაცმოძრაობას“ ჰგონია. ვიცი, ხალხი რას პატიობს და რას — არა. სულ ვცდილობ, რომ არ ვილაპარაკო ცხრა წელზე, არ მინდა რევანშიც, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ამ სიტუაციის მძევლები აღმოვჩნდით — ადამიანები პასუხს მთხოვენ, თუ რატომ არ მოხდა ზურაბ ადეიშვილის დაპატიმრება. ჩემთვის ეს სახელი კრებითია და „ნაციონალურ“ ხელისუფლებას ნიშნავს. ჩემთვის, პიროვნულად, არაფერი დაუშავებიათ, მაგრამ ქვეყანაში, სადაც 30 ათასი პატიმარი და 300 ათასი პრობაციონერი იყო, ეს იმას ნიშნავდა, რომ ისინი ყველას ოჯახში შევიდნენ, შეიტანეს უბედურება და ამით კეთილდღეობა მოიწყვეს. ძალიან ხშირად მაქვს იპოთეკით დაზარალებულებთან შეხვედრები. მათი სამი კატეგორია არსებობს: ერთი, ვისაც დაუპატიმრეს ოჯახის წევრი და სხვა გზა არ ჰქონდა, კრედიტი უნდა აეღო; მეორე, ვისაც ოჯახის წევრი ჰყავდა ავად და მესამე, რომელსაც ჰქონდა ბიზნესი, აიღო თანხა, მაგრამ იმდენი წაართვეს, რომ ვალი ვალად დარჩა და ბიზნესიც დაკარგა.

**— „ნაციონალები“, ფაქტია: ახერხებენ, დასავლეთს თავი პოლიტდევნილებად მოაჩვენონ, რასაც ხშირად თქვენი ხელისუფლების მხრიდან კომუნიკაციის ნაკლებობასა და შესაბამისი მტკიცებულებების არქონას უკავშირებენ...**

— ვინც ამას ამბობს, ერთშიც ვეთანხმები და მეორეშიც. იცით, ასე რატომ მოხდა? — როდესაც გავიმარჯვეთ, 1-დან 25 ნოემბრამდე ძალიან ბევრი მტკიცებულება, უბრალოდ, განადგურდა. ვიცით, როგორ გამოდიოდა დოკუმენტები „მოდულ“-ის შენობიდან და როგორ ხდებოდა განადგურება. არიან ამის თვითმხილველები და მათ უნდა მოჰკითხოს შსს-მ. ძალიან კარგი იქნება, თუ ამოიღებთ დარბევების შემდეგ გაცემული პრემიების ნუსხას. მიხვდებით, როგორი იყო ის ხელისუფლება — პრემიებს იმ ადამიანების გალახვისთვის არიგებდა, ვისაც განსხვავებული აზრი ჰქონდა. ეს იმ ხელისუფლების ყველაზე მახინჯი ფორმა იყო და ამას აკეთებდნენ იმ გუნდის წარმომადგენლები, რომლებიც დღეს ამბობენ, რომ პოლიტიკურად დევნიან.

**— ისე, „ოცნების“ ცალკეულ წევრებს „ნაცმოძრაობასთან“ გარიგებაშიც ადანაშაულებენ...**

— როგორ შეიძლება, შეკრული იმ ძალასთან ვიყო, რომლის სახეც რომან შაფათავაა? როგორ შეიძლება, გავურიგდე ძალას, რომლის ხერხემალი იყო კაცი, ვინც გვამებში პრემიებს არიგებდა? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, 21-ე საუკუნეში დამოუკიდებელი მედიასაშუალება გაასწორა მიწასთან. ეს არის ძალა, რომელიც ბედავს და აქვს პრეტენზია, რომ ისევ ხელისუფლებაში იყოს.

არ მაქვს უფლება, ვინმეს ხელები გადავუგრიხო და ჩემსას ასე მივაღწიო. ამიტომ კანონი ისეთი უნდა იყოს, რაც ყველაფერს ჩარჩოში მოაქცევს.

**— ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ნეპოტიზმის კანონი ჩააგდო. ამბობენ, რომ იგივე ელის სხვა კომიტეტებზეც. არასამთავრობოებმა თქვეს, რომ ამ კანონს პარლამენტი მხარს იმ უბრალო მიზეზის გამო არ დაუჭერს, რომ ყველას ახლობელი სახელმწიფო სამსახურშია დასაქმებული, მათ შორის, თქვენი დაც...**

— ვიცი, რომ ჩემი დის საქმეში არ ჩავრეულვარ. ჩემს დას კონკურსშიც არ მიუღია მონაწილეობა — დარჩა ვაკანტური ადგილი და რადგან ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, 11 წელი სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა და კონტროლის პალატიდან მხოლოდ იმიტომ წამოვიდა, რომ პოლიტიკაში წავედი — გვქონდა სააგენტო, რომელსაც მიხედვა სჭირდებოდა. ახლა ისიც აღარ გვაქვს და რადგან ჩემი დაა, არ უნდა იმუშაოს? გადახედეთ, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების ახლობლები სად მუშაობდნენ, სიტყვა-სიტყვით დაწერეთ: ყველა ვიცი და არ ვიკადრებ, რომ გადმოვდგე და ამის შესახებ ვილაპარაკო. შეიძლება, პროფესიონალია და მხოლოდ იმიტომ უნდა აეკრძალოს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, რომ ჩემგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანის ოჯახის წევრია?! რა თქმა უნდა, — არა.

**„ჩემი დის საქმეში არ ჩავრეულვარ. ჩემს დას კონკურსშიც არ მიუღია მონაწილეობა — დარჩა ვაკანტური ადგილი და რადგან ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, 11 წელი სახელმწიფო სამსახურში მუშაობდა და კონტროლის პალატიდან მხოლოდ იმიტომ წამოვიდა, რომ პოლიტიკაში წავედი — გვქონდა სააგენტო, რომელსაც მიხედვა სჭირდებოდა. ახლა ისიც აღარ გვაქვს და რადგან ჩემი დაა, არ უნდა იმუშაოს? გადახედეთ, ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების ახლობლები სად მუშაობდნენ, სიტყვა-სიტყვით დაწერეთ: ყველა ვიცი და არ ვიკადრებ, რომ გადმოვდგე და ამის შესახებ ვილაპარაკო. შეიძლება, პროფესიონალია და მხოლოდ იმიტომ უნდა აეკრძალოს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა, რომ ჩემგან განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანის ოჯახის წევრია?! რა თქმა უნდა, — არა“.**

ესაუბრა ნათია ვერძეული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
22-28 აპრილი 2015 № 16 (280)



ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოეზია

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

# ბედი ქართლისა

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებრ მლხენი ევლინებოდა მტერსაც განგმირად!
და რაც საყვარლის ჩვენის ირაკლის ჟამმან მეფობის
მოუვლინა აწ გამოხატვასა ჩემს ყმაწვილობის, —
მეც, ძმანო კახნო, თქვენ შემოგიძღვნით მას არმაღანად,
ერთსულობისა, ვაჟკაცობისა, ლხინის საგანად.
როს თქვენებურად მამულის ღვინით გულს ახარებდეთ,
ხელთ ჯამის მპყრობნი წარსულსა დროებს მოიხსენებდეთ
და მორიგისად სმიდეთ წინაპართ შესანდობარსა,
მოიგონებდეთ ყარიბს მგოსანსაც, თქვენდა მბობარსა!



### კარი პირველი

„მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპყრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!“
ასე ილოცდა მეფე ირაკლი
ბანაკსა თვისსა გულით მხურვალი.
ცათა წინაშე დიდია მსხვერპლი
მამულისათვის მეფისა ცრემლი!
ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად!
პატარა კახი აღა მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.
ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი.
ცა მოწმენდილი, ცა მშვენიერი
ზე-დანათლიდა ბრძოლისა ველსა,
და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის ხმით:
„ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრბების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარი:
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, ძმანო, მამული!“
„შენი გამჩენის ჭირიმე, შენი,
რომ გაგვაგონე კვლავ ხმა სალხენი!“
შებღავლა მეფეს ჯარმა ერთის ხმით.
„ჩვენ თუნდ სულ ერთ დღეს დავიხოცებით,
ოღონდ შენ იყავ, მეფევ, დღეგრძელი!
მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ხედავს;
მისთვის სიცოცხლეს ვინღა დაზოგავს!“
ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!
დაჰკრეს ნაღარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.
ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა
ვით არ აღგანთებს, გმირო ქართლისა!
მხდალსა განამხნევს, მხნეს განაღვიძებს
და მიჯნურსაცა სულს შეუშფოთებს!
შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი,
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენისენთ მოურავის ძე,
და იოანნე, კახთ აბაშიძე,
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა;
მეფის ირაკლის ღვაწლი ყოველთა
შთაუდგამს სულსა ვაჟკაცობისას, —
მაინც ვერ ხედვენ ბოლოს ბრძოლისას.
რა ნახეს ქართველთ, გაჭირდა საქმე,
მყის ჩაიკეცეს ქუდები თურმე,
ხრმალს ხელი იკრეს მამაპაპურად
და დაერივნენ თავისებურად!
ბინდმა გაყარა მებრძოლნი მტერნი,
გამარჯვებულნი დარჩნენ ივერნი;
მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
ძვირად დაუჯდა იგი ირაკლის!
მრავალთ ყმაწვილთ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდვეს აქ თავი მამულისათვის!
აწ საფლავიცა არსად ჩანს მათთვის;
ჰაერში განქრა მათი სახელი
და არსად ჟამთა მოწამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!..
მაგრამ, ჰოჲ, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად-ხანს ვიდრე ახსენებს!
მეფემ უბრძანა თვისთა მოხელეთ:
„გვიჯობს, რომ ახლავ ქალაქს მივიქცეთ
და ციხე ჩვენი მსწრაფლ გავამაგროთ,
თვარემ ხვალ სიმხნით ვერა გავაწყოთ,
აღა-მაჰმად-ხან რა აქა გვნახავს;
ხომ იცით, ჯარი დიდ-ძალი ახლავს,
და იქნება, რომ ციხეში დავხვდეთ,
ჩვენის ძალისა ფიქრი მიეცეთ.
ძველთაგან ასე ნაამბობია,
რომ ზოგჯერ ხერხი ღონეს სჯობია“.
ყველა ეთანხმა ამაზედ მეფეს;
ქალაქს მოიქცნენ იმავე ღამეს,
და მსწრაფლ ზღუდენი ნარიყალისა
ექმნათ საჭურედ ჯართა ქართლისა!
გათენდა დილა მზისა აღმოსვლად;
მაგრამ მნათობმან შუქისა ნაცვლად
ბნელი მოჰფინა ტფილისის არეს:
აღა-მაჰმად-ხან მოადგა ციხეს,
სამი დღე და ღამ ადგა მას ჯარით,
მაგრამ ვერა რა ავნო ვერსაით.
დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და თურმე ყოვლით იმედმიხდილი
ქართლითგან წასვლას დააპირებდა;
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა, მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!
სცნა რა ირაკლიმ ესე მუხთლობა,
მოყმეთა თვისთა ეზდენ დამცრობა,
მყისვე აღენთო ხელმწიფე-გული,
მტერზედ ამაყად გამზადებული!
მაგრამ ცუდ იყო ყოველი ღონე:
აღა-მაჰმად-ხან, კვლავ თავმომწონე,
შემოეპარა ციხისა კართა
და მოევლინა მსწრაფლ ქართველთ ჯართა.
გაფოთებული ეძიებდა მას,
ვინცა ჰერანის ტახტს, ხელმწიფებას
ქართველთა შორის წაართვა ძალა;
მაგრამ ირაკლიმ უკვე გაქუსლა
მთიულეთისკენ თავისი ცხენი
და შეუმცირა სპარსთ ტკბილნი დღენი!

### კარი მეორე

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!
მზე დამავალი მოჰფენს სიამეს
მთიულეთისა ხეობის არეს,
და ამ მშვენიერ არაგვის პირებს
ძველი ჩარდახი ზედ გარდმოჰყურებს.
მუნ ბრძანდებოდა მეფე ირაკლი,
მოწყენის თვალით გარდმომზირალი;
დაფიქრებული თვისთა ზრახვათა
გაცაართობდა ქარვის მარცვალთა.
თან ახლდა მეფეს თავის მსაჯული,
ნიჭთა კეთილთა უხვად მორჭმული.
ვის არა გახსოვთ სოლომონ ქველი,
მეფის შინაყმა, ყმათ საყვარელი!
სადღა არიან აწ ესე კაცნი,
რომ არ გვალხენენ თათბირნი მათნი?
დიდხანს უჭვრეტდა მეფე მდუმარედ
არაგვის წყალთა, მდენთა მჩქეფარედ;
ბოლოს მახვრალმან უბრძანა მსაჯულს:
„შენ იცნობ კარგად, სოლომონ, ჩემს გულს,
შენ უწყი ქართლის აწ ვითარება,
მისი აწ ძალა, ყოფა, ცხოვრება;
ბევრჯერ რჩევანი შენნი, ვითა წყლულს,
მსალბუნებიან მე შეწუხებულს;
აწც ჩემს სულის ტვირთს, ჩემს გულის წადილს,
შენ გაგიმჟღავნებ, ვით საყვარელს შვილს!
არ მითვისებდა ქართველთა გული,
რომ ვიყავ მათი მეფე ეული;
ჩემი მეფობა ზე დავასრულე,
რომ ძლივს იგინი გავიერთგულე!
და ახლა, ოდეს ჩემს ხელმწიფობას
განუმზადებდი ჟამ-კეთილობას,
აი, მის ნაცვლად რაი მომაპყრეს
მე ჩემთა ძეთა და ვინ ახარეს!..
ამიერითგან გაქეზებული
მაჰმად-ხანისა მოსისხლე გული
არ დაგვაწყნარებს სიამაყითა:
მას ჟამი შესწევს ყოვლის ღონითა;
ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყანებს;
ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს,
და მტერნი ძლიერ მაშინ მოგვატყდნენ,
როს ყმანი ჩემნი ურთიერთს ბძარვენ!
მე თუმც კიდევ ვჰგრძნობ სულის სიმტკიცეს,
გარნა ღონენი წელთ წარმიტაცეს;
შენი ირაკლი ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ!
აბა, რომელს შვილს ვხედავ ღირსეულს,
რომ ექმნას კვერთხად მამულს
დარღვეულს?..
ჰოჲ, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად
ნუღარ განსწირავ ქართველთა ტანჯვად!
„აბა, რას მირჩევ, ჩემო მსაჯულო?
კარგად იფიქრე, შვილო, ერთგულო:
აწ განთქმულია რუსთა სახელი,
ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი,
დიდი ხანია გვაქვს ჩვენ ერთობა,
მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება, —
მას მსურს, რომ მივცე მემკვიდრეობა,
და მან მოსცეს ქართლს კეთილდღეობა!“

№ 16 (280)
22-28 აპრილი 2015
ქართული მწერლობა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პროზა

# სისხლი



## ეკატერინე გაბაშვილი

ენკენისთვის დასასრული იყო. ღამის თერთმეტი საათი. ბადრი მთვარე ისე ანათებდა ქვეყანას, თითქო ყველასთვის ცხოვლად უნდა დაენახვებინა, თუ რამდენი საცოდაობა ხდება ქვეყანაზედ. ცა მოკამკამებული იყო მუქ ლაჟვარდისფრად და გადაჭედილი ვარსკვლავებით. მე ვიჯექ ბალკონზედ და ვსტკბებოდი მშვენიერის სურათით, რომელიც ჩემ თვალწინ გამოიხატებოდა. მაღლობზედ პატარა ქვითკირის ოთახი, იმის გვერდით ცალის მხრით, ზემოდან ქვემოთ გადმომჩქეფარობდა ნაკადული, რომლის პირიც ვერცხლის ზოლივით პრიალებდა მთვარეზედ. მეორე მხრივ ღობეჩამორღვეული ვენახი დამკვრახებულის ყურძნით და დიდროვანი კაკლის ხეებით. ირგვლივ სრული სიჩუმე. ყოველ სულდგმულს ჩასძინებოდა, თუ განაბული იყო, რომ დამტკბარიყო ამ მშვენიერი, სიტკბოებით სავსე საღამოთი. მხოლოდ პატარა ქვითკირის ოთახიდგან ფეხის აკრეფით გამოდიოდა ორი დედაკაცი შავებით და ისევ ფეხის აკრეფითვე შედიოდა ვენახში; იქიდგან გამოჰქონდათ ყურძნით სავსე კალათები და ვენახის გვერდით მიყუდროებულ მხარეს, დიდს გოდორში ჰყრიდნენ. გოდრის გვერდით იჯდა ახალგაზრდა გლეხი და ჩაფიქრებული დედამიწას ჩასცქეროდა. დედამიწას მაშინ, როდესაც ცა ისე მეფურად იყო მოკაზმული!

მაგრამ ცის სიმშვენიერით მხოლოდ დამშვიდებულის კაცის ოცნებას შეუძლიან ისარგებლოს და პავლიკა კვინიკაძეს კი თავის შავი ფიქრები ისეთ ნაღველს ასმევდნენ, რომ მარტო დედამიწისთვის შეეძლო მათი გაზიარება. კაშკაშა მთვარე კი არ ანათებდა, არა, უფრო ცხოვლად უჩვენებდა იმ მიზეზების სიბნელეს, რომლების მოწყალებითაც ეს ეხლა ქურდულად ჰკრეფდა თავის პატარა ვენახს.

ქართველ კაცს ლხინით უყვარს რთველი. ის ყოველთვის ახალი ღვინის კეთებას ძველი ღვინით შეზარხოშებული შეუდგება ხოლმე. პავლიკაც მხიარული, გულუხვი კაცია, მაგრამ დღეს კი არ ემხიარულება. წრეულს ყანები კალიამ მოუძოვა და ერთადერთი პასუხისმგებელი ათასის ამის მოთხოვნილებისა ეს პატარა, ნახევარ დღის ვენახია!

— რომელ ერთს გაუძლევე ათი კოკა ღვინით? — ბუტბუტებდა პავლიკა, — პური ვიყიდო, ხემწიფეს ხარჯი მივცე, თუ ჩემს მოვალეებს პირნათლად გავუსწორდე? ეჰ, ღმერთო, შენ იყავ გაჭირვებული კაცის შემწე! — და მხოლოდ ეხლა შეხედა პავლიკამ უმანკო, მოკაშკაშე ღვთის ტაძარს. მერე ნელა წამოდგა, ძალზედ გაიზმორა და პირამდი სავსე გოდორს გადახედა. სიამოვნების მაგივრად მწარე ღიმილმა გაუელვა პირისახეზედ და ნელ-ნელა დაიწყო ფეხსაცმელების ხდა.

დედაკაცმა ისევ ფეხაკრეფით და სიჩუმით ლიტრით წყალი მოიტანა, ქმარს ფეხებზე გადაავლო და შემდეგ გოდრის ქვეშ ხარის ტყავი გაასწორა, მტვერი გადასწმინდა.

პავლიკამ პირჯვარი გადიწერა და უჩუმრად ყურძენზედ შესდგა. კარგა ხანს, შეჭმუხვნილის შუბლით, თავის მძლავრი ღონით სჭყლეტდა ყურძენს; დედაკაცებიც თანდათან უმატებდნენ. მარტო ტკბილს გაუდიოდა შეუწყვეტლივი შხრიალი ქვევრში, რომელსაც გოდრის ძირას ერთი წლის სიცარიელის შემდეგ ხარბად დაეღო ჩაშავებული პირი.

უცებ მოისმა ცხენის ფეხის ხმა, მალე გამოჩნდა მთვარის კაშკაშზედ თვით ცხენიც. ცხენზედ იჯდა მოხუცი დედაკაცი და წინ აღვირით ხელში თორმეტ-ცამეტის წლის ბიჭი მოუძღოდა. რამდენიმე წამის შემდეგ ცხენი პავლიკას კარზედ შესდგა. დედაკაცი მარჯვედ გადმოხტა და საჩქაროდ ვენახისკენ გასწია. პავლიკა მალე შენიშნა კუნჭულში და მეხივით მოულოდნელად თავზედ დაეცა. არც ერთი და არც მეორე ხმას არ იღებდნენ. აქ მყოფი უფრო სისწრაფით სჭყლეტდა ყურძენს და მოსული დაკვირვებით შესცქეროდა იმას. ბოლოს, ამის თვალების ნესტარს ვეღარ გაუძლო პავლიკამ და ამოოხვრით უთხრა: — რას მიყურებ... შეგატყობინეს?..

— შემატყობინეს! შემატყობინეს, შე წუწკო, შე ავაზაკო, — დაიბაყბაყა ბებერმა, — გინდოდა მოგეტყუებინე! მერე ჩემ პატარა ობლებს რაღას ეუბნებოდი? შხამად შეგერგოს ის სიმინდი, რომელიც შენ წამოიღე და ზამთარში მშიერი ცოლ-შვილი გამოიკვებე! აგერ მეხვეწებოდი, ოღონდ მამე და, ორ კოდში კოკა ღვინოს მოგცემო! აი, ლაფი კი დავასხი შენ პირობას! — ამ სიტყვებთან ძალზედ გადააფურთხა გაასპიტებულმა დედაკაცმა.

— კარგი, კარგი, მაიავ! გეყოფა მაგდენი გინება. განა, მე ეხლა კი უარს გეუბნევი. აი, ეს ღვინო და ეს შენა; ესე კი, ჩემო მაიავ, რომ ნახევარი უნდა დამაცალო, ყელამდინ ვალში ვარ, ხომ იცი, სიკვდილმაც დამაზარალა. ჭირნახულიც, ი რაღაც კალიაა, იმან მომიძოვა, და, აბა, ვის როგორ გავწვდე...

— როგორ თუ დაგაცალო! გინდოდა ქურდულად დაგეწურა, ცარიელზედ დაგესვი და ახლა რაღა პირითღა მეხვეწები.

— არა, მაიავ, მაგას ნუ იფიქრებ. მე შენ თავის დღეში არ მოგატყუებდი! მე თვითონვე მოგიტანდი ღვინოს სახლში! არა, შენ კი არა, ადამიანო, — წყნარის და მწუხარების ხმით ეუბნებოდა პავლიკა, — ი ოხერი ნიკუა გალუსტოვი მინდოდა გამეცურებინა. გუშინ აქ იყო, ჩემს ვენახს შემოუარა, ყურძენი მუშტრის თვალით დაათვალიერა და დამემუქრა, ხვალ პრისტავს მოვიყვან და ასე ფეხზედ აგიწერ ვენახსო. მეც ვიფიქრე, ვაი თუ ერთი ურჯულოა, მუქარა აასრულოს-მეთქი და ასე მოვახერხე, რომ შენთან მაინც პირი არ გამეშავებინა.

— ოჰ, ის ქრისტეს მტერი! — გულში ჩაიკრა ხელი მაიამ, — საპრისტაო რა არის. არა სჯობია ძმურად მოგირიგდეს? რამდენი გმართებს, ბიჭო? — ჰკითხა სრულიად დაწყნარებულმა და პავლიკას სიმართლეში დარწმუნებულმა დედაკაცმა.

— რამდენი და, განა არ იცი კინტუას საქმე, ადამიანო, ხუთი თუმნის თამასუქი აქვს და ხუთი თუმნის პირობის წერილი; თუ დროზე არ ჩავაბარე, დღეში ათი შაური „ტრაფი“ უნდა ვაძლიო.

— მერე, შვილო, დიდიხანია ვადა გადავიდა? ეგეები რომ სულ წაგართვას?

— წამართმევს, რაღა ჩიჩინი უნდა, თუ მიპოვნა რამე, მაგრამ რას წამართმევს, ქვეყანაზედ ე ოხერი ბაღის მეტი არა გამაჩნია რა და ამას კი ვერ წამართმევს.

— რატომ, შვილო, ვენახს კი არა, ტყავსაც გაგაძრობს და გაგი ყიდის. განა არ ვიცი, რა სისხლის მწოვრებიც არიან. სჯობს შიმშილით სული ამოგძვრეს და კინტუა ვაჭრისაგან ვალი არ უნდა აიღო.

— მა რა მექნა, ჩემო მაია, რომ არ ამეღო, ვაჟკაცი ძმა უცებ გამიფუჭდა, ცხედარი სახლში მედო და რითი დამემარხა? განა არ იცი, მაგათ მეტს კაცი ვის მიმართავს? იმანაც ნახა, რომ მიჭირს, იმის აქეთ გზა არსაღა მაქვს და მაგეთი მუხრუჭი შემიყარა. განა არ ვიცოდი, რომ ეგ ვალი დამღუპავდა, მაგრამ ძმას დამარხვა უნდოდა!

●

— აი, შე გუდამშიერო, შენა! შენ გინდა მაჯობო და ეშმაკობით ხელიდგან გამიძვრე! აქ მომეცით! ბიჭებო, აქ მოდით, მოიტანეთ გოდრები!

ეს სიტყვები წარმოსთქვა სირბილით გულამოვარდნილმა ერთმა ბაჯაჯღანა კინტომ, რომელიც თავისის ხნის შესაფერად მომეტებულად ჩასუქებული იყო. ახალუხი, ტიტველა ფეხებზედ ჩუსტებწამოცმული, სიბრაზისაგან და დაღალულობისაგან გაყვითლებული პირის სახით და ხელების კანკალით დეეტაკა დედაკაცებს და ორთავეს ხელიდგან წაჰგლიჯა ყურძნით სავსე კალათები. იმის ძახილზე მალე მოცვივდნენ ორი თუ სამი მოჯამაგირე და მოტანილ გოდრებში დაუწყეს კალათებს ცლა. თითონ ნიკუა კი მივარდა პავლიკას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაუწყო ნჯღრევა. — დაწურე, დაწურე! დაწურულსაც კარგად წავიღებ, დაგიყენებ თვალებს. მეხი კი დავაყარე შენ ბიჭობას, ჰოდა, ასე მითომ მამატყუე რაღა?! ვენახი ჩუმად დაკრიფე! ვა, რა ბიჭია, ტუტუცი და! ტყუილად, ძმობილო, ტყუილად! აგრე ადვილად ვერ გადმირჩები, სულს ამოგაძრობ, სულსა! — და ამასთან ერთი ყუათიანი მუჯლუგუნი წაჰკრა გვერდში.

პავლიკა აქამომდი გაქვავებული იდგა. მაგრამ ახლა კი მოთმინებიდგან გამოვიდა. სიბრაზე და მწუხარება ახრჩობდა საცოდავს, იმან საჩქაროდ ისკუპა გოდრიდგან და ერთ წამზე ქვეშ ამოიდო ვაჭარი.

— სულს მართმევ, მაგას არა სჯერდები და ცემასაც მიბედავ! აბა მაშ ცემაზე თუა და, ვნახოთ, ვინ გაიმარჯვებს.

— მიშველეთ! — საცოდავად ღრიალებდა ერთის წამის წინათ გმირივით დიდგულა კინტუა. — მიშველეთ! მომკლა ამ მამა ოხერმა. ვა, გაგონილა, ფულიც ჩემი დაიკარგოს და ცემაც მე შევჭამო? მიშველეთ! ვა, ხალხნი არა ხართ!!

ნიკუას საჩქაროდ მიეშველნენ ბიჭები, პავლიკას — დედაკაცები და გაიმართა საშინელი ბრძოლა. ვინ ვის სცემდა, აღარავის ესმოდა, ხან ერთი იყო ქვეშ და ხან მეორე. ხელს და კეტს გაუდი ოდა ჟაპაჟუპი ადამიანის თავ-პირზედ. მთვარემაც გადიწია და ამ საშინელ სურათს ჯოჯოხეთურ ბნელ ფერს აყენებდა.

ამათ ხმაურობაზედ სოფელმა გაიღვიძა, მეზობლებიც სან თლებით მიეშველნენ და რის ვაი-ვაგლახით ჩხუბი შესწყდა. ძალზე გაბერტყილი და თავ-პირდასისხლიანებული გალუსტოვი თავის მსახურებით მალე გაეშურა სახლისაკენ და თუმცა დიდგულად იგინებოდა, მაგრამ ცალი თვალი კი ხალხისგან გაკავებული პავლიკასკენ ეჭირა და გულით თრთოდა.

პავლიკასაც თავი ჰქონდა კეტით გატეხილი და ორტოტად სისხლი გადმოსდიოდა; მარჯვენა ხელით სისხლს იწმენდდა და ჩოხის კალთებზე იგლესდა, ბოლოს ცოლი ტირილით მივიდა და თავის შეხვევა დაუწყო:

— რა იყო, ბეჩა, რომ ჩხუბი არ გაგემართა? — ესაყვედურებოდა ქმარსა. — აბა, რომ მოეკალი იმ უსულოს, მაშინ რაღა გვეშველებოდა; მუშა კაცი თავს გვადგიხარ და ლამის შიმშილით გავწყდეთ და შენ რომ არა გვყვანდე, მაშინ რაღა გვეშველება?

— იქით გამეცალე, ნუ ღრიალებ, უშენოდაც გულს ცეცხლი მეკიდება. ჩხუბი კი არა, რომ მომეკლა, კარგს ვიქმოდი. ჰოი, რამდენი ჩემისთანა უბედურია მაგის ხელში, რამდენის სული ტრიალებს მაგის გაქონილ ჯიბეში! აი დაიქცეს ის დღე, როდესაც ეგენი გადმოსახლდნენ ჩვენს სოფელში!

●

ნახევარ საათის შემდეგ, როდესაც ხელმეორედ გადავიხედე ბალკონიდგან, შემდეგ სურათს წარმოადგენდა ბრძოლის ველი: მთვარეს ძალზე გადაეწია და სრულიად აღარ ანათებდა ჩემ წინ მდებარე არე-მარეს. ვარსკვლავები მთვარის მოშორებით თითქო უფრო ბრწყინავდნენ, მაგრამ კი ვერ ანათებდნენ ჩაბნელებულ ღამეს. გოდორს გვერდით უდგა მაია დიდი კვარის ნაჭერით ხელში და ანათებდა პავლიკასაც და თავის დაღმეჭილ, მაგრამ ძრიელ მეტყველ პირისახესაც. ამას ეცვა მწვანე მაუდის ქათიბი, მხარზედ ყურთმაჯებშეყრილი, მიხაკისფერი კაბა ყვითელის მოკლე სარტყელით, თავზე ეხვია ჭრელი დიდი ქალაღაია და იქიდგან გამოწეწილი ძალზე ჭაღარა კავები; ეს გაშტერებით შესცქეროდა პავლეს ძირდაღებულს პირისახეს და თითქოს სცდილობდა ამოეკითხა იმაზედ, თუ რა შავი აზრები ტრიალებდნენ იმის გულში. გოდორში იდგა პავლე თეთრი ჩვრით თავშეხვეული და სახეზედ ორ კვალად სისხლის წრეები ჰქონდა ჩავლილი. მშვენიერი შავი თვალები, ლამაზი ცხვირი და შავი ხშირი ულვაშები თითქო უფრო შვენოდნენ წითელი სისხლის ზოლებით.

ის ღრმად ჩაფიქრებული ჩასცქეროდა გოდორს და ისეთის გაშმაგებით სჭყლეტდა ყურძენს, თითქო ყურძენი კი არა, იმის ფეხქვეშ ათასი ნიკუები იყვნენ და ეშურვებოდა იმათ დასრესას. შორიდგან, სურათის დასასრულებლად, სიბნელეში მოჩანდა ვენახი თავისის ახოვანი ხეხილებით და მოისმოდა სევდიანი ჩუხჩუხი პატარა ნაკადულისა, რომლის ტალღებშიაც გვერდიდგან გამოიჭვრიტებოდა ციაგი ჩამავალი მთვარის სხივები და რაღაც მოძრავ ბრჭყვიალა ქმნილებას მიაგავდა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22-28 აპრილი 2015

№ 16 (280)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## ახალი ლექსები

### საით მივექანებით

ირგვლივ ისევ ბინდია,
ქრიან შმაგი ქარები...
გზები საით მიდიან,
საით მივექანებით?
ულიმღამო სიცოცხლეს
ვუმზერ ეჭვის თვალებით,
ღმერთო, ნეტავ, ვიცოდე,
საით მივექანებით?
ქართულ ენას ვიწუნებთ
სასაუბროდ, სამღერად...
უცხო ქვეყნებს მიველტვით
გასართობად, სამზერად.
დედა დედინაცვალში
უსინდისოდ გავცვალეთ...
სხვის ენაზე ვსაუბრობთ,
ვმღერით, ვროკავთ,
ვბანცალებთ.
ჩვენი ერის სიწმინდეს
ვრყვნით და განგებ ვამცირებთ,
ყველაფერი ქართული
დასაღუპად გავწირეთ.
სადღაც ეშმა ხარხარებს,
ქრიან შმაგი ქარები...
ქართველებო, შეჩერდით!
საით მიექანებით?!

### გლოვობს კლავიში

მსხვრეულ სტრიქონში იტირებს მუზა,
ღამენათევი რიჟრაჟი მოვა...
ძველ მონატრებას ვერაფერს ვუზამ,
გულში დამრჩება ფარული გლოვა.
კვლავ მესმის შენი თბილი სიმღერა,
ჩვენს განშორებას გლოვობს კლავიში...
სინამდვილე კი, უხეში ხელით
მოვა და შენზე ფიქრებს წამიშლის!

### სიბრიყვე მეფობს

ჩამავალმა მზემ ზღვის ტალღებში თავი დაიხრჩო,
საღამომ ბნელი ბალდახინით დღე გაასვენა...
სიბრიყვე მეფობს! სიყვარული ველარ მაისობს,
ნეტავი, წყვდიადს ჩვენი თავი რამ გაახსენა?
გრიგალი გვიტევს ყველა მხრიდან, შმაგობს, ბობოქრობს,
ხალხი შემკრთალა, ირგვლივ ყველგან გლოვის ზარია,
კვლავ გაგვითენე!.. და იმედის სხივს ნუ ჩაგვიქრობ,
შენს წილხვედრ მიწას შეეწიე, წმინდა მარიამ!

### ღამის მეკობრე

მეწვია დარდი — ღამის მეკობრე,
სევდის მუსიკას უკრავს ვაგნერი...
წრფელ სიყვარულს და ერთგულ მეგობრებს
ვეძებდი, მაგრამ ვერ მივაგენი.
ჩემთვის ეს ღამეც ჯვარზე გაკვრაა,
არ ველოდები სასწაულს ბედის...
ეს აწმყოც ისევ შენი ნატვრაა,
ეს ლექსები კი, — სიმღერა გედის.

## პოლიტიკური პოეზია

### „დანამატი“

*(მთავრობის წევრის მონოლოგი)*

მთავრობაში გამამწესეს, რაა ცუდი ამაში?
დამიჯერეთ, მადა, მართლაც, იბადება ჭამაში,
ამიტომაც საჭიროა დიდი შემოსავალი,
კუჭი ჭამას ეჩვევა და ხარჯი ჩნდება მრავალი.
პორტფელი რომ ჩავიბარე, მაშინ ასე დადგინდა:
ჭამა — მშრომელს!.. უმუშევრებს ჭამა, აბა, რად გინდათ?
რად სჭირდება მხარ-თეძოზე წოლას საჭმელ-სასმელი?
უშაქროდაც გაგიბერავთ კუჭებს პიტნის სასმელი.
ჩვენთვის ვიდრე მოხდებოდა „კუჭის რევოლუცია“,
პიტნის ჩაის ვაყოლებდი მხოლოდ... კონსტიტუციას.
ახლა ქონი სძალავს კისერს, მეჭედება ხალათში,
ვინც არ შრომობს, ბუს კვერცხს ჩადებს საარსებო კალათში,
ხელფასსზევით რასაც ვიწერ, იმდენს ვშრომობ, არ ვითვლი,
ამას ჰქვია „დანამატი“, პრემიად ნუ ჩამითვლით!

### P.S. ანუ ავტორის დანამატი:

გაგახსენებთ ძველ კონტრასტებს სოციალურ სფეროში —
სულ მცირენი ნებივრობდნენ, როგორც ლომი — ჩეროში,
ერთეულებს — მილიონი, მილიონებს — წყვდიადი,
წყვდიადმა კი, შვა ლენინის „ოქტომბერი დიადი“!..
ერთი ფენა დიდ ხელფასს რომ იხლაფორთებთ თავისთვის,
გგონიათ, რომ ის „ავრორა“ მეტჯერ აღარ გაისვრის?!
მოისურვებს ლენინივით ვიღაც ზღვარზე გადასვლას
და ეცდება მასებს შორის განსხვავების გადაშლას.
ამიტომაც, ხელფასებში ჩადეთ მცირე სხვაობა,
გააწვდინეთ ჯამაგირებს ხელმძღვანელი თაობა.
ჯობს, პირდაპირ ხელფასებს თუ დაინიშნავთ ნამეტანს,
ერთხელ გულში მოგიკითხავთ... სხვა რა ძალგვიძს,
რამე ვთქვათ...
თაყაიშვილს განძი ჰქონდა და... ნაცვეთი პიჯაკი...
დღეს წმინდანად შევრაცხეთ და მასზე ლოცვებს ვიძახით...
თქვენ კი, ამდენს როგორ მოგთხოვთ, ცისკარს ხვდებით
„ბაკლებით“,
დღე და ღამე შრომაში ხართ, რესტორნებს არ აკლდებით!
...ჯერ ქვეყანა აგვიშენეთ, მთელი გულით რომ განდეთ,
მერე ჰქმენით „დანამატი“, თან ჭკვიანურს რომ ჰგავდეს!

### „ნაცების“ მოდგმას

ნეტავ, რა ჯიშის ხალხი ხართ,
დედამ რადა გკრათ ხელი?
ბოლმადქცეულნი დარბიხართ,
თითქოს ნიუნბერგს ელით.
ქვეყნად რაც ზიზღი წარმოშვით,
ისე იბარტყა თქვენში,
როგორც იმ წიხლმა, საჯდომში
რომ გკრეს ოქტომბრის თვეში.
თქვენ საქართველო მოთხარეთ...
ამდენს ვერ იქმდა მტერი.
რამ შეგაზიზღათ, მითხარით,
ჩემი ტანჯული ერი?
ხოცავდით მრავალ კაცის წინ
ქართველ ვაჟკაცთა მოდგმას,
როგორც ებრაელს — ნაცისტი,
ზიზღი ჯიშში რომ მოსდგამს.
რუსები შემოაბრუნეთ,
წასვლა აცალეთ არც კი,
თქვენ მათ სოფლები არგუნეთ,
ჩვენ გვაზეიმეთ მარცხი.
...ყირიმს რომ ჰკარგავ, არ ნიშნავს
რუსთან მოგებას ომის.
თქვენ ამას მაინც აღნიშნავთ,
წილსაც დაიდებთ ლომის.
თქვენვე, უძღებმა სვავებმა,
მანდაც განაგრძეთ ხოცვა,
ზღულაძე „გაგიპრავებთ“ და
სანდრო დაგაწევთ ლოცვას.
მაგათ უხვად აქვთ, ხომ, ზღვები,
გამოიყენებთ რაში?
ამჟღავნეთ პატრიოტები,
ხოცეთ და ყარეთ ზღვაში...
ჩაახშეთ აქ ზედმიწევნით
მეცნიერება, სპორტი.
ბიუჯეტს თქვლეფდით ისე, ვით
სალაფავს — ღორის კოლტი.
მიტინგებს ისე არბევდით,
ვით სააკაძე — თურქებს,
ბიზნესსა და ცოლსაც ართმევდით
თქვენს მარგებელს თუ ურგებს.
მიწები ისე არიგეთ
შინაურზე თუ მტერზე,
მოჰგავდით მართლა „ბარიგებს“...
თქვენ რა მოგიყვანთ ფერზე!
ტაძრებთან ბრძოლამ აჩვენა,
უფალს ებრძოდით ამით,
მიტომ მოგკვეთეს მარჯვენა
პირველ ოქტომბრის ღამით.
ვისაც თქვენ ხოტბას მეასედ
ასხამთ, მიხვდება შტერიც,
თქვენ რომ გულდაგულ შეაქებთ,
ისაა ქვეყნის მტერი.
მტრებს გვერდები არ აუდგათ,
თქვენგან ვართ ურიცხვ ვალში,
კვიციანს ჩვენ ძეგლს დავუდგამთ,
თქვენ გეჩხირებათ თვალში.
ბედუკაძე რომ გმირია,
აქსიომაა თითქოს,
თქვენგან არგასაკვირია,
როცა მის დასჯას ითხოვთ.
არც ხატი გწამთ და არც — ღმერთი
და არც — სახატე მხარე,
სანთლებს მიშტრელზე ანთებდით,
მზეც ეგ გყავდათ და მთვარეც.
რა ხატმა უნდა შეგინდოთ,
ხალხს რომ აშორებთ ღმერთთან?
მითხარით, მსგავსი ქცევის დროს
თქვენ თითს ვინ გაძლევთ ერთგან?
„ფიურერს“ ანებივრებდით
წამების კადრთა ხილვით,
თქვით, პოროშენკოს იმედით,
მანდაც გვამებზე ივლით?
ისე აწყობდით არჩევანს,
გეკიდათ არადანი,
ხმას რომ ვაძლევდით გარსევანს,
გაიმარჯვებდა ნანი!
მერე ბიძინას ეძგერეთ,
მოსულს ნოხით და ფარჩით,
დამარცხდით, თუმცა შეძელით,
ოპოზიციად დარჩით.
ხალხი თქვენ მალე დაგიფრენთ,
ნუ ეჩხირებით თვალში,
თუ მოგიხელთეს, ვაი, თქვენ,
ჩაგიდგებიან კვალში.
თუ გადაურჩით, ხომ, ციხეს,
თუ დაგტოვებენ ცოცხლებს,
უნდა იმ ადგილს კოცნიდეთ,
სადაც ურჭობდით ცოცხებს.
...ახლა მიშა ჰგავს თანამგზავრს,
ორბიტაზე რომ დაფრენს,
ეგ დამბრუნებელს აღარ ჰგავს,
აქ ვერ დაუშვებს აფრებს!

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სისხლიანი საქმე

# „ოქრუაშვილი ამ „მიწოლაში“ სააკაშვილის თანამონაწილე იყო!“

**მთავარმა პროკურატურამ 2004 წლის 24 ნოემბერს, დიდუბეში მოკლული ბუტა რობაქიძის დედას, ია მეტრეველს მოწმეთა დაცვის პროგრამაში ჩასმა შესთავაზა, რის მიზეზიც პატიმრობაში მყოფი ლაშა შავიძის განცხადება გახდა, რომელიც იური ვაზაგაშვილის მკვლელობის მერე გააკეთა. ლაშა შავიძე სასჯელს იხდის, როგორც ნარკოტიკების მომხმარებელი. ამასთან, კრიმინალურ საქმეებშიც იყო შემჩნეული. შავაძის თქმით, სურვილი აქვს, წინა ხელისუფლების პოლიციის მაღალჩინოსნების უკანონო ქმედებებს ფარდა ახადოს. პატიმრის თქმით, 2008 წელს პირადად შეახვედრეს აფხაზეთის შს სამმართველოს მაშინდელი უფროსის მოადგილე ირაკლი ფირცხალავას, რომელმაც ია მეტრეველის მოკვლა დაავალა. სცენარის მიხედვით, მაღაზიაში შესული ქალბატონის დაყაჩაღების ინსცენირების დროს, მისთვის ტყვია პირდაპირ შუბლში უნდა დაეხალა. გარდა ამისა, ლაშა შავიძეს ისეთი პიროვნება უნდა ეპოვნა, ვინც იტყოდა, ზურა ვაზაგაშვილმა გამიტაცა, დამჭრაო და ა.შ. სამაგიეროდ, შავიძეს ციხეში საუკეთესო პირობები, ანუ ე.წ. მწვანე ბილეთი ექნებოდა და არც ნარკოტიკი მოაკლდებოდა. თუ ამ დავალებების შესრულებაზე უარს იტყოდა, პატიმარს ოცწლიანი სასჯელი ელოდა. როგორც ლაშა შავიძე აცხადებდა, დავალებას ირაკლი ფირცხალავა, კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსი გიორგი ხიზანიშვილი და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსი კახა ლეგაშვილი აძლევდნენ. ყველაფრის საქმის კურსში კი, ვანო მერაბიშვილის მოადგილე, გია ლორთქიფანიძე იყო, თუმცა გეგმის განხორციელებას ხელი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა შეუშალა... „ქართული სიტყვა“ ია მეტრეველს ესაუბრა:**



## რატომ თქვა ია მეტრეველმა მოწმეთა დაცვის პროგრამაზე უარი

— ლაშა შავიძე თვალით არასოდეს მინახავს — მხოლოდ სატელეფონო საუბრები გვაქვს. იური ვაზაგაშვილის სიკვდილის მერე, პირველად დამირეკა და კატეგორიულად გამაფრთხილა, რომ ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. როგორც აღმოჩნდა, სათანადო სტრუქტურის წარმომადგენლებს ჩემი ლიკვიდაცია ჯერ კიდევ 2008 წელს ჰქონდათ დაგეგმილი. სწორედ ამ მიზნით „დაამუშავეს“ — ყველა დეტალი შეათანხმეს, მაგრამ ომმა ხელი შეუშალათ და უთხრეს, ახლა მაგისთვის არ გვცალიაო. ასე გადაიდო ჩემი მოკვდინების საკითხი. ამის მერე ეს ბიჭი ქვეყნიდან იყო წასული, იმალებოდა კიდეც, მაგრამ ნარკოტიკების მოხმარებისთვის დააკავეს და ახლა საპატიმროშია.

**— ბოლოს როდის დაგიკავშირდათ?**

— ხშირად მირეკავს. სხვათა შორის, ახლაც მეუბნება, რომ ფრთხილად ვიყო.

**— მასში ეჭვი არ გეპარებათ?**

— არა. მის დაცვაზე პირადად ვიზრუნე, სასჯელაღსრულების უწყება და კახი კახიშვილი მარწმუნებს, რომ მისი უსაფრთხოება დაცულია.

**— საფრთხის შეგრძნება გაქვთ? შავიძის სკანდალური განაცხადის მერე ფარული თვალთვალი ხომ არ შეგინიშნავთ?**

— განსაკუთრებული არაფერი შემინიშნავს, მაგრამ დღეს უსაფრთხო ვისი სიცოცხლეა? ერთადერთი შვილი მომიკლეს და ათი წელია, არ ვჩერდები, სამართალს ვითხოვ.

**— პროკურატურის მიერ შემოთავაზებულ მოწმეთა დაცვის პროგრამაზე უარი რატომ თქვით?**

— იცით? — უკვე იმ ზღვარზე ვარ, რომ არაფრის აღარ მეშინია, რაღა ფასი აქვს ჩემს სიცოცხლეს?! დღესაც ვერ ვივიწყებ იმ დღეს, თუ როგორ გაივსო ჩემი სახლი ნიღბიანი სპეცრაზმელებით, რომლებსაც, თურმე, ტყვიების „ჩადება“ უნდოდათ, რათა თავიანთი მხეცური საქციელის მოტივი გაემყარებინათ. ვერ ვივიწყებ, თუ როგორ ვეძებდი საავადმყოფოში, როგორც მითხრეს, დაჭრილ ჩემს ერთადერთ შვილს, რომელიც ცოცხალი აღარ იყო. დიდი ხანია, ყველაფრისთვის მზად ვარ, ამიტომაც მოხდეს, რაც მოსახდენია. სიკვდილის აღარ მეშინია!

**— გამოძიებაში მოგვიანებით ჩაერთეთ, თავიდან ბუტას ბაბუა აქტიურობდა. ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა?**

— ბუტას ბაბუა სიმსივნის დიაგნოზით გარდაიცვალა.

**— ქალბატონო ია, „ქართული ოცნების“ დაპირებული ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენა არ შეგეხოთ, არა?**

— ჩემთვის სამართალი ნამდვილად არ აღდგა, თუმცა პროკურატურა, ასევე, სასამართლო ისეთი აღარაა, როგორიც იყო. ახალგაზრდა სპეციალისტები თავს არ ზოგავენ და იმედი მაქვს, სამართალი საბოლოოდ გაიმარჯვებს, მაგრამ სასამართლო დარბაზში, პროცესებზე ჯდომა გაუსაძლისია — ყველა პროცესი მომაკვდინებელია, მაგრამ ჩემზე აღარაა ლაპარაკი, ახლობლები ისე ცუდად ხდებიან, რომ სამედიცინო დახმარება სჭირდებათ.

**— რას გულისხმობთ?**

— იმ ავაზაკების ქცევებს.

**— და როგორ იქცევიან?**

— ფირცხალავას და მიქაძის ადვოკატები, ამაზრზენი დემაგოგიით, მოსამართლეებსა და პროკურორებს შეურაცხყოფას აყენებენ. თავს ისე გრძნობენ, თითქოს ისევ ძველი დროა, თითქოს ქვეყანა მათია და შეტევაზე გადმოდიან, მაგრამ რა ვქნა, ვუძლებ, ჩემი შვილის ხსოვნისა და ბუტას მეგობრების გამო, რომელთაც ცხოვრება დაუმახინჯეს.

**— ანუ, ამ სისტემაში არაფერი შეცვლილა?**

— ზუსტად მაგის მეშინია, რომ მათ სტრუქტურებში, სისტემაში მფარველები ჰყავთ და სწორედ მათი ხელშეწყობით მოკლეს იური ვაზაგაშვილი. მიკვირს, სტრუქტურები ამ საშინელი ამბის მერე მაინც რატომ ვერ გაწმინდეს, ვერ გამოაცხადეს დამნაშავე რეჟიმად სააკაშვილის მმართველობის ცხრა წელი, ვერ გაასამართლეს მთლიანად სისტემა? იქამდე მივედით, რომ „ნაციონალები“ ძალას ახლიდან იკრებენ. მათ დიდძალი ფული აქვთ — ქვეყნის შიგნით ბიზნესებს ფლობენ, თანხები უცხოეთიდანაც შემოსდით და ამის საშუალება მათ დღევანდელმა ხელისუფლებამ მისცა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ „ნაციონალები“ ისევ დაბრუნდნენ, დარწმუნებული ვარ, სიცოცხლის ფასად რომ დაუჯდეს, ამას ხალხი არ დაუშვებს. როგორი იმედით ვუყურებდი ხელისუფლებაში მოსულ „ქართულ ოცნებას“, როგორ მინდა, რომ ყველაფერს თავი გაართვას. „ოცნების“ გვერდით ვიდექი, მაგრამ რეალობა ასეთია — ქუჩებში ისევ ღიად გვხოცავენ. ამისთვის მეც და ბატონი იურიც მთელი ცხრა წელი მზად ვიყავით, მაგრამ ის, რაც მაშინ ვერ გაბედეს, ახლა გაბედეს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მკვლელობების სერია გაგრძელდება, ოღონდ არ ვიცი, შემდეგი ვინ იქნება. ის, რაც ქვეყანაში დღეს ხდება „ნაციონალების“ ხელწერას ჰგავს. მსოფლიოს აჩვენებენ, რომ კრიმინალი გაიზარდა, დესტაბილიზაციაა და ამ ქმედებებით ქვეყანას მტრობენ. სამწუხაროდ, თითქმის ყველა ტელევიზია ერთმანეთს ეჯიბრება, მსოფლიოს დაანახოს, თუ როგორი არადემოკრატიულია საქართველო.

**— რაც დრო გადის, ბუტა რობაქიძის საქმეში სიმართლის დამტკიცება უფრო არ ძნელდება?**

— ამ საქმეში ყველაფერი, შავზე თეთრით, გარკვევით წერია. საზოგადოებისთვის ცნობილ ბოლოდროინდელ კადრების ავთენტურობაზე შუალედური დასკვნა მოვიდა, რომლის მიხედვითაც, კადრები გაყალბებულია. ასეც რომ არ იყოს, რამდენი წელია, ბუტას მეგობრებს ებრძვიან, ცდილობენ, როგორმე დაიყოლიონ, რათა თქვან, რომ მანქანაში თითქოს ერთი იარაღი მაინც იდო.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ერთი იარაღი იყო, მაგრამ იმ კადრებს რას უშვრებიან, სადაც მთელი არსენალი — ავტომატი, საიდანაც ვითომ ბუტა ისროდა, „ლიმონკები“, ტყვიები, ნიღბებია წარმოდგენილი?

**— საკუთარ ტყუილში გაიხლართნენ?**

— სწორედ ასეა. ამ ერთი იარაღის თემას ებღაუჭებიან. კადრებში კარგად ჩანს, თუ როგორი დაბნეულები არიან. თავად ბაშალეიშვილი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ გახლდათ, მაგათი დასაწვავი „ვარდების რევოლუციის“ წლისთავი იყო და ყველანი ნაქეიფრები იყვნენ. ბაშალეიშვილს პათოლოგიური სიმთვრალე ჰქონია — დათვრება და იარაღს ეტანება, თურმე. სხვა დროსაც, სიმთვრალეში, კაცი დაუჭრია, რომლის შესახებ ბუტას ბაბუამ იცოდა. მაიზერ ლიპარტელიანს ბაშალეიშვილზე ბუტას მამისთვის უთქვამს, ასე უაზროდ ისვრის და ამის შესახებ ბევრჯერ ვთქვი, მაგ პათოლოგის პოლიციაში გაჩერება არ შეიძლებაო. ეს იმ კატეგორიის ხალხია, რომელსაც შეცდომის აღიარების უნარი არ აქვს.

**— ბუტას მკვლელობის მონაწილე პოლიციელები არ გაწირეს და ამით საპატრულო პოლიციის იმიჯი დაიცვეს, არა?**

— პატრული „ნაციონალების“ ყველაზე საუკეთესო პროექტი იყო, რითიც თავს იწონებდნენ. ბუტას მკვლელობის მერე, მიხეილ სააკაშვილმა პატრულის დღეც დააწესა და მადლობას უხდიდა. დიახ, პოლიციის იმიჯი არ უნდა შელახულიყო და ბრძანებაც გასცეს, ამ საქმეს ბოლომდე მიაწექითო. ვიცი, რომ ოქრუაშვილიც ამ „მიწოლაში“ სააკაშვილის თანამონაწილე იყო.

**— იმასაც ამბობდნენ, რომ ბაშალეიშვილმა შემთხვევით გაისროლა...**

— გრიგოლ ბაშალეიშვილმა ჩემს შვილს დამიზნებით ესროლა!

„ვარდების რევოლუციას“ ჩვენც სიხარულით შევხვდით — მაშინ სხვა განწყობა მქონდა და ვფიქრობდი, რომ ჩვენს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. ბუტაც მეუბნებოდა: „იცი, დედა, რა კარგები არიან პატრულის თანამშრომლები? — ზრდილობიანები, თავაზიანები“. იმ ღამეს გიორგობის მისალოცად, პატივისცემის გამოსახატავად გადმოვიდა მანქანიდან და ტყვია დაახალეს. თავიდან მჯეროდა, რომ სააკაშვილი მანიაკ მკვლელს სამაგალითოდ დასჯიდა, მაგრამ ამას სააკაშვილის ისტერიული განცხადებები მოჰყვა ნულოვან ტოლერანტობაზე და ახალგაზრდებს ქუჩაში ახვრეტინებდნენ. სააკაშვილის მერე, ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ხელი არ აგიკანკალდეთო. მეორე დღესვე თბილისში, პეკინის ქუჩაზე, საკუთარ სადარბაზოსთან ბიჭი მოკლეს, ამას მოჰყვა გამცემლიძის მკვლელობა. იმავე პერიოდში, ქუთაისში, ოცი წლის ბიჭი, რომელსაც შვილი შეეძინა და ნასვამი შინ ბრუნდებოდა, სარდაფის ძარცვის ბრალდებით, ადგილზე დახვრიტეს. იური ვაზაგაშვილს ქუჩაში მოკლული 160 ახალგაზრდის მონაცემები ჰქონდა შეგროვილი. ვინც ვაჟკაცობით გამოირჩეოდა, ყველა „მიაჩმორეს“, დააგლახავეს, ციხეში ჩასვეს, გააუპატიურეს, დააქციეს.

**— დღეს სხვა სურათია „დაჩმორებული“, დაჭრილი და მოკლული პოლიციელების სახით.**

— ვერ ვიტყვი, რომ დღეს პოლიცია „დაჩმორებულია“. პოლიცია აღარაა პოლიტიზირებული და არ აქვს ბრძანება: „დახოცეთ!“ ეკა ბესელიას შეწყალებულ პატიმრებს ტყუილად აბრალებენ დანაშაულების ჩადენას, კრიმინალი „ნაციონალებისგან“ მოდის, თუ ვინმე ავაზაკი და მკვლელი იყო, ციხეებიდან მათ გამოუშვეს.

**— ოდესმე ირაკლი ოქრუაშვილი შეგხმიანებიათ?**

— არც შემხმიანებია და ბოდიშიც არასდროს მოუხდია. არადა, იმ დროს შს მინისტრი იყო და თუნდაც ამიტომ ეკისრება პასუხისმგებლობა. 2012 წელს, როცა პოლიტპატიმართა კომისიის წევრი გახლდით, ოქრუაშვილის თაობაზე მკითხეს და ვთქვი, რომ ყველა ქართველს უნდა მიეცეს უფლება, თავის ქვეყანაში ჩამოვიდეს და თუ რამე სამართალგადაცდენა აქვს, აქ გასამართლდეს-მეთქი.

**— ოქრუაშვილისთვის სტატუსის მინიჭებაში თქვენი სიტყვა გადამწყვეტი იყო?**

— არა...

**— ზურა ადეიშვილს ინტერპოლმა ძებნილის სტატუსი მოუხსნა. თავის დროზე თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ადეიშვილს ხომ არ შეხვედრია?**

— მაგ ნაძირალაზე რა უნდა ვთქვა?! მასთან შეხვედრას ბუტას ბაბუა ცდილობდა, მაგრამ ვერ მოახერხა — თავს არიდებდა.

**— შს მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის მონაწილე თანამშრომლებზე თქვა, რახან სხვის დავალებას ასრულებდნენ, მსუბუქად უნდა დაისაჯონო...**

— ეს აღმაშფოთებელი და არასწორია. რას ნიშნავს „მსუბუქად დაისაჯონ“? აქციების დარბევისას, სპეცრაზმელები სურათებს იღებდნენ, თუ როგორ სცემენ წაქცეულ, დაშავებულ მოქალაქეებს, შემდეგ, უფროსებს წარუდგენდნენ და ამაში პრემიებს იღებდნენ. გამოდის: რომ უბრძანონ, ბავშვსაც მოკლავენ?! სპეცრაზმელი ისეთივე დამნაშავეა, როგორც — ბრძანების გამცემი. გამიხარდა, როცა ბიძინა ივანიშვილის კომენტარი მოვისმინე, მსუბუქად კი არა, როგორც ეკუთვნით, ისე უნდა დაისაჯონო.

**— თქვენს საქმეში ვინ დაისაჯა?**

— არავინ. ბაშალეიშვილი, არასწორი მუხლით, სამი წლით იჯდა, გამოვიდა და გარეთ დასეირნობს. დანარჩენები გირაოთი არიან გამოსულები, ბუტა რობაქიძის მკვლელობის საქმეში არაფერია გამოსაძიებელი, შემსრულებლები დააკავეს, მაგრამ შემკვეთები ჯერ არ ჩანან. სასამართლო პროცესების სამართლიანი განაჩენით დასრულებას მოთმინებით ველი.

**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

ადვოკატის ტრიბუნა

# „ყველას ვერ დაგვიჭერენ!“ — კანონპროექტი, რომელიც კომუნისტების ეპოქაში გვაბრუნებს

**საქართველოს პარლამენტი აპირებს, ქვეყანაში შუღლის გაღვივების კანონზე იმსჯელოს, რომლის თანახმადაც, მარტივად რომ ვთქვათ, გარკვეული შინაარსის მოსაზრების (პოზიციის) საჯაროდ დაფიქსირების საფუძველზე, პირის, ან პირთა ჯგუფის (ასევე, იურიდიული პირის) მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება გახდება შესაძლებელი, რაც, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, 2 წლამდე პატიმრობით დასრულდება. რას მოგვიტანს სოციალური აქტივობის დანაშაულად შერაცხვა, შესაძლებელი იქნება თუ არა ზემოხსენებული ნორმის ისე ინტერპრეტირება, რომ უდანაშაულო ადამიანი დამნაშავედ გამოცხადდეს და ყველაფერ ამას კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების უფლება ხომ არ შეეწირება? — „ქართული სიტყვა“ აგრძელებს საუბარს ადვოკატ ელზა ჯმუხაძესთან.**

## „თმას რატომ არ იწეწავთ?!“ — ადვოკატ ელზა ჯმუხაძის საგანგებო მიმართვა უმრავლესობის წევრ ჟურნალისტებსა და უფლებადამცველებს

**— ელზა, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა რას მოგვიტანს, მალე ყველას დაგვიჭერენ?**

— თავიდანვე ახალი ხელისუფლება ძველს ისე გულიანად ჩაეხუტა, რომ მგონი, „ხარი ხართან დააბი“ დაემართა. ვფიქრობ, ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილება ან „გადამდებია“, ან ამ სავალალო „გადახრას“ მაღალი თანამდებობა და თბილი სავარძლის დაკარგვის შიში იწვევს. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ასეთი საკანონმდებლო ინიციატივა „ნაციონალებს“ რომ წამოეყენებინათ, როგორ „გაიწეწავდნენ თმას“ საპარლამენტო უმრავლესობის ის თვალსაჩინო წარმომადგენლები, რომლებიც, ვიდრე პარლამენტარები გახდებოდნენ, ჟურნალისტები, ან უფლებადამცველები იყვნენ. დღეს კი, ამ კანონპროექტთან დაკავშირებით არათუ ჩუმად არიან, მგონი, ოცნებობენ, თავიანთი მალე გაიტანონ და ჩვენი სოციალური აქტივობის, ან თამამი აზრის გამოხატვის გამო ყველანი „ჩაგვაყუდონ“!

**— ანუ, კანონპროექტი, მართლაც, ყველას ხელის ერთი მოსმით დაპატიმრებას გულისხმობს?**

— ყველას ხელის ერთი მოსმით დაჭერა, ვინც ხელისუფლების მოსაწონ აზრებს არ აფრქვევს, ძალიანაც რომ უნდოდეთ, არ გამოუვათ, რადგან სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველოში არაერთი ისეთი უცხოელი დამკვირვებელია, რომლის აზრიც ყველა დონეზე ანგარიშგასაწევია. საბედნიეროდ, დღეს იმის საშუალება აღარაა, ერთი ფეხი დემოკრატიული ღირებულებებისკენ, მეორე კი, აშკარა ტოტალიტარიზმისკენ ისე გადადგა, „ცენტრიდან“ უხერხული დასანახი არ გახდე! მსოფლიოში არის ქვეყნები, სადაც არათუ საკუთარი აზრის საჯაროდ გამოთქმა, სხვის მიერ საჯაროდ გამოთქმული მოსაზრების გაცნობა და ინტერნეტიც კი აკრძალულია. საქართველომ კომუნისტური წარსული გამოიარა, სადაც ცენზურის სიმკაცრის მიუხედავად, ხალხი წარმატებით ახერხებდა საკუთარი აზრის ქვეტექსტით გადმოცემას. მართალია, ამისთვის იჭერდნენ, მაგრამ მათ, ვინც სიმართლეს შეფარვით, ალეგორიით ამბობდა და ვისაც ამ სიმართლის გაგონება სწყუროდა, რისკად ულირდათ, ტოტალიტარიზმს ამ გზით დაპირისპირებოდნენ. საბედნიეროდ, მჯერა: ჩვენი ქვეყანა ასეთ ბნელსა და უკუნში ველარასოდეს აღმოჩნდება, მაგრამ საამისოდ მხოლოდ გულის მოფხანის მიზნით ლაყბობა შედეგს ვერ მოგვიტანს. ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ როდის ამბობდა, გულის ფხანა რაღა დარდუბალაა, ფხანა ქეცმა იცისო. მოკლედ, თუ არ გვინდა, „პოლიტიკური ქეცი“ შეგვეყაროს, მეტად უნდა გავაქტიურდეთ და ხელისუფლებას ჩვენი „საინფორმაციო ღრუს“ დახშობის საშუალება არ უნდა მივცეთ! ვიღაცის არმოსაწონი სოციალური აქტივობის გამო, სასჯელის დაწესება იმ დროს, როდესაც ძალოვანი უწყების შესაფასებელი იქნება, ვისი და როგორი საჯაროდ გამოთქმული მოსაზრება შეიძლება შეფასდეს დანაშაულად, არათუ წარსულში დაგვაბრუნებს, იმ შავ-ბნელ წარსულს იქითაც გადაგვისვრის. თვით კომუნისტებიც კი, რომელთაც ლამის ჩვენი სიზმრების გაშიფვრაში ბადალი არ ჰყავდათ, ნებისმიერ კანონპროექტსა და ამ კანონპროექტის შესახებ სპეციალისტების, ასევე, საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლების მოსაზრებებს ჯერ გაზეთში აქვეყნებდნენ და კანონად მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებდნენ...

**— ნებისმიერ და ამ კანონპროექტთან დაკავშირებითაც აქტიურად გამოითქმის მოსაზრებები, ანუ ჯერ კიდევ გვაქვს დრო საკუთარი აზრი გამოვთქვათ, არა?**

— მოსაზრებები კი გამოითქმის, მაგრამ უბედურება ისაა, რომ მხოლოდ ერთმანეთს შევჩივით და რეალურად, ამ მოსაზრებებს კენჭისყრის დროს არავინ ითვალისწინებს. სამწუხაროდ, პარლამენტში ყველაფერს ერთი, ე.წ. გუნდური პრინციპით განიხილავენ: გუნდი თუ შეთანხმდა, რომ ამა თუ იმ კანონპროექტს მხარი უნდა დაუჭიროს, დაუჭერს კიდეც. ასეთი მიდგომა სავალალოა, რადგან საბოლოოდ, არაერთი უკანონობის და სისულელის დაკანონება ხდება. პოლიტიკური გუნდი ერთ აზრზე უნდა იდგეს პრინციპულ პოლიტიკურ და არა — ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. თუ ყველაფერი ერთი „დირიჟორის“ ჯოხის აქნევაზეა დამოკიდებული და პოლიტიკური გუნდის წევრები მხოლოდ ამ „ჯოხს“ ხედავენ, ამას პოლიტიკური გუნდი კი არა, მწყემსის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ცოცხალ არსებათა სიმრავლის გამომხატველი სხვაგვარი სახელი ჰქვია, რის დაკონკრეტებასაც ახლა, უბრალოდ, საკუთარ თავს არ ვაკადრებ, თორემ ამ კანონპროექტის ძალაში შესვლისა კი არ მეშინია!

**— ეს კანონპროექტი უკანონობას და სისულელეს აკანონებს?**

— როდესაც არსებობს და მოქმედებს კანონმდებლობა, რომლითაც ნებისმიერი სახის მუქარა, ასევე, ყოველგვარი ომის, ძალადობის, ხელისუფლების დამხობის, ყველა სახის დისკრიმინაციის და სხვა ძალადობრივი ხასიათის დანაშაულობების ჩადენა და ამ დანაშაულისკენ მოწოდება, ასევე, შეკვეთა-ორგანიზება ისედაც დასჯადია, საჭირო ნამდვილად აღარაა სპეციალური ნორმის შემოღება. მასმედიის საშუალებებმა ძალიან კარგად იციან, რომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების გამოყენება ამა თუ იმ სახის შუღლის გასაღვივებლად და დანაშაულის ჩასადენად არ შეიძლება. ამიტომაც გაზეთი, რადიო, ტელევიზია თუ საინფორმაციო სააგენტო ასეთი შინაარსის განცხადების გაკეთების საშუალებას არავის აძლევს. ეს ძალიან კარგია, რადგან ქვეყანაში ყველა ჯურის, ზნისა და ხასიათის ადამიანის თავის ნებაზე მიშვება სერიოზულ პრობლემებს ქმნის, მაგრამ ის, რის დაკანონებაც ახლა უნდათ, ნამეტანია და, მე თუ მკითხავთ, საზოგადოებაში შუღლს, დაპირისპირებას და ქაოსს სწორედ ეს კანონი გამოიწვევს.

**— ელზა, ამას რატომ ამბობ?**

— ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ადამიანებს აქვთ და უნდა ჰქონდეთ თავისუფალი სიტყვის საჯაროდ თუ კულუარულად თქმის საშუალება. გამოხატვის თავისუფლება დემოკრატიულ ღირებულებათა შორის ერთ-ერთი უმთავრესია. ამ კანონპროექტის ყველა დეტალს ახლა ვერ ჩავუღრმავდები, მაგრამ მთავარზე აუცილებლად უნდა ვთქვა და ეს „მთავარი“ ისაა, რომ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, ჩვენი ნებისმიერი მწვავე გამონათქვამი შესაძლებელია, სანანებელი გაგვიხდეს. სიტყვა ისეთი რამაა, რომლის უკან დაბრუნებაც ჭირს, თორემ სხვადასხვაგვარად გაგება თავისუფლად შეიძლება. როგორც წელან გითხარით, სოლიდური და თავმოყვარე მედიასაშუალებები ყოველთვის მშვენივრად აკონტროლებენ, რომ ვინმე გადარეულმა ეს საშუალებები ომის გამოსაცხადებლად და ძალადობრივი ხასიათის მოწოდებებისთვის არ გამოიყენონ, მაგრამ თუ ამ მედიასაშუალებებში, ასევე, სოციალურ ქსელებში გამოთქმული მოსაზრებების შეფასების კანონიერი უფლება ძალოვან უწყებებს მიეცემათ, ნებისმიერ მწვავე გამოსვლაში შეიძლება, დანაშაულისა და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების ნიშნები დაინახონ, ანუ გამოვა, რომ ან ხალხი დაშინდება და დადუმდება, ან ჩვენს სასამართლოებს მეტი საქმე აღარ ექნებათ, გარდა იმისა, რომ ხალხი საკუთარი აზრის გამოთქმის გამო კონა-კონა გაასამართლონ და ყველას ორ-ორი წელი ჩამოგვირიგონ. „ზეციური საქართველო“ გამიგია, მაგრამ ამ კანონის ამოქმედების შემთხვევაში, ჩვენ, ყველას „სატუსაღო საქართველოში“ გადასახლების დიდი პერსპექტივა გაგვიჩნდება! ბარემ, ადგნენ და სამზარეულოებშიც ჩამოგვისხდნენ, სადაც, სტატისტიკურად, პოლიტიკური ამბები ყველაზე აქტიურად ირჩევა...

**— ადამიანმა თამამი აზრი სუფრაზე, ანუ გარკვეულწილად საჯაროდ რომ გამოთქვას და ეს ვინმემ ფარულად ჩაიწეროს, რა მოხდება?**

— პაპაჩემი, სოლომონ ჯმუხაძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცული ძმების თანამზრახველი იყო და სულით ხორცამდე სძულდა კომუნისტები. ერთხელ, სუფრიდან ამდგარა და ნასვამს ჩაულაპარაკია, წავალ, კომუნისტებს გადავაფსამო. ნახევარ საათში თავზე დაადგნენ და იმ სუფრიდანვე აიყვანეს! ასე რომ, თუკი ეს უკვე ავადსახელგანთქმული კანონი ძალაში შევა, ნებისმიერი ფორმით გამოთქმული ნებისმიერი დაუფიქრებელი სიტყვა შეიძლება, შარად გვექცეს. მალე, ალბათ, იმასაც მოახერხებენ, რომ ასეთი შინაარსის ფარული ჩანაწერი კანონიერად სცნონ ისევე, როგორც ეს სხვა, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის შემთხვევაში, დღესაც შესაძლებელია.

**— მაგალითად?**

— ვიცით, რომ მუქარა, თუ ის რეალურია, კანონით დასჯადია, ამიტომ, თუ ადამიანმა მოახერხა და მუქარა, თუნდაც, ფარულად ჩაიწერა, ამ ჩანაწერის პროცესუალურად დამაგრება შესაძლებელია. არაერთხელ შევსწრებივარ, როდესაც ქორწილში, გასვენებასა თუ ავტობუსის გაჩერებაზე მყოფი ხალხი ერთმანეთს შესჩივის გაჭირვებას და ამ დროს ბევრჯერ ხელისუფლების მისამართით საკმაოდ ხმამაღლა ამბობს, ეს პარლამენტიც და მთავრობაც თავპირისმტვრევით გასარეკიაო. კანონმა რომ მოგვცეს საშუალება, ჩავეძიოთ და სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით გავშიფროთ ეს გამონათქვამი, შესაძლოა, თავისუფლად მივიდეთ დასკვნამდე, რომ ამის მთქმელს არეულობისა და რევოლუციის მოწყობა უნდა, ამიტომ დასაჭერია.

**— ფილმი „მონანიება“ გამახსენდა: ყველამ ლონდონდან ბომბეიმდე გვირაბის გათხრა დავიბრალოთ, მთელი მოსახლეობა რომ ბრალდებული აღმოჩნდება, ხელისუფლება მიხვდება, რომ მისი ბრალდებები აბსურდამდეა მისული და თავს დაგვანებებენო...**

— ნამდვილად კარგი პარალელია: იმ შემთხვევაში, თუკი ეს კანონპროექტი კანონად გვიქციეს, სხვა გამოსავალი აღარ დაგვრჩება, გარდა იმისა, რომ ჩვენს მოქალაქეობრივ მოვალეობად მივიჩნიოთ, ვისაც ქვეყანა გვიყვარს, ყოველდღიურად თითო ისეთი „პოსტი“, ან კომენტარი მაინც „დავაგდოთ“ „ფეისბუქზე“, რომელზედაც პროკურატურა იძულებული იქნება, რეაგირება მოახდინოს. მერე ვნახავთ, როგორ მოასწრებენ ყველა კონკრეტულ „ფაქტზე“ გამოძიების ჩატარებას, მთელი საქართველოსთვის ბრალდებების წარდგენას, ამ ბრალდებების სასამართლოში მხარდაჭერას და ბოლოს, ამდენი პატიმრის შენახვას!

**— მოკლედ, ისე იქცევიან, ადამიანს ეგონება, ამ ქვეყანაში სამართალდამცავებს სხვა საქმე არ აქვთო, არა?**

— ისე იქცევიან, რომ საშუალება მიეცეთ, ყველას, ვისაც რამე არ მოსწონს, ხმა ჩააკმენდინონ, იმის ნაცვლად, რომ მაქსიმალურად ეცადონ, ხალხს სალაპარაკო არ მისცენ! დარწმუნებული ვარ, ამ კანონპროექტის შემოქმედთ და მის მხარდამჭერებს იმის იმედი აქვთ, რომ ამ გზით ხალხს გააჩუმებენ, რაც, კიდევ ვიმეორებ, არ გამოუვათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამწარებული ადამიანი ისეთია, პირი რომ ამოუკერო, ლაპარაკს სხვა ადგილით დაიწყებს!

**— ნეტავ, ისინი, ვინც ეს კანონპროექტი შექმნეს ან ვინც მის მხარდაჭერას აპირებენ, მარსზე ხომ არ ცხოვრობენ, საკუთარ ხალხს არ იცნობენ?**

— ხანდახან მგონია, პარლამენტსა და სხვაგანაც სპეციალურად ხდება ისეთი ამბები, რაც წყალს პირდაპირ ყოფილი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ვინც პერიოდულად და პერმანენტულად ასეთ „სიბრძნეებს“ გვახვევს, ნამდვილად იმისთვის ირჯება, რომ ხალხმა „მეოცნებეების“ ხელისუფლებაში მოყვანა ინანოს. ვისაც ასეთი იმედი აცოცხლებს, ერთი რამ კარგად უნდა იცოდეს: ხალხს, შესაძლოა, ახალი ხელისუფლება არ მოსწონდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნაციონალების“ მობრუნება უნდა!

**— არ შემიძლია, დღევანდელი საუბარი ისე დავასრულოთ, განსახილველი კანონპროექტის ერთ ძალიან საჩოთირო პასაჟზე, კერძოდ, იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესაძლებლობაზე არ გკითხო: ამ კონტექსტში სიტყვა „ლიკვიდაცია“ რას ნიშნავს?**

— კანონპროექტის მიხედვით, შესაძლებელი იქნება იმ იურიდიული პირის ლიკვიდაცია, რომელსაც ამავე კანონის მიხედვით, დაუმტკიცდება ისეთი რამის საჯაროდ თქმა, რაც შუღლსა და დაპირისპირებას გამოიწვევს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ შუღლისა და დაპირისპირების გამოწვევა შეუძლია არა სიტყვას, არამედ, იმ სიტუაციას, რომელშიც და რომლის გამოც ეს სიტყვა ითქმება. შესაბამისად, თუ სამართლიანობაზეა საუბარი, მაშინ ისინიც უნდა დავსაჯოთ, ვინც თავისი ქმედებითა თუ უმოქმედობით ასეთ დაძაბულ სიტუაციას შექმნის. ასეთ შემთხვევაში, თუ ლაპარაკი იქნება თამამი აზრის და პოზიციის გამო ადამიანის, ან იურიდიული პირის დასჯაზე, ავტომატურ რეჟიმში დაისჯებიან ისინიც, ვინც ადამიანი ან ორგანიზაცია მდგომარეობიდან გამოიყვანა და ხმამაღალი სიტყვა ათქმევინა. ეს ისე, ლირიკისთვის, ახლა კი, რაც შეეხება იურიდიული პირის ლიკვიდაციის თემას, კანონით, სამოქალაქო ურთიერთობაში ჩვენ, ყველანი ფიზიკური პირები ვართ, მაგრამ თუ ჩვენი საქმიანობა რაიმე ორგანიზაციის სახელით მოვინდომეთ, საამისოდ უნდა გავიაროთ სათანადო რეგისტრაცია, რის შემდეგაც, უკვე იურიდიული პირები ვიქნებით. შესაბამისად, თუ გავაკეთე რაიმე არასასურველი, საკანონმდებლო ნორმის შეუსაბამო განცხადება, უნდა მომისაჯონ ორი წელი, ხოლო თუ ვარ იურიდიული პირი, ანუ მაქვს ორგანიზაცია და განცხადება გავაკეთე ამ ორგანიზაციის სახელით, ორ წელსაც მომისჯიან და ორგანიზაციის ლიკვიდაციას (გაუქმებასაც) მოახდენენ. ასე რომ, მოსალოდნელია, დაიხუროს მედიასაშუალებები და სხვადასხვა სახის ორგანიზაციები მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცას ამ ორგანიზაციის სახელით და საშუალებით საჯაროდ გამოთქმული პოზიცია არ მოეწონება. ამ კანონპროექტის კონტექსტში „ლიკვიდაცია“, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, სიკვდილით დასჯას, მაგრამ როდესაც კაცს გაუუქმებ ორგანიზაციას, რომლითაც ეს კაცი არსებობს და სულდგმულობს, ყველანაირი გაგებით, ეს, რეალურად, სიკვდილის ტოლფასია. მოკლედ და კონკრეტულად: ამდენი „მახათის გაყრას“ ურჩევნიათ, სისხლის სამართლის კოდექსში არსებული ის ნორმა აამოქმედონ, რაც კომპიუტერულ დანაშაულს შეეხება და მას სჯის, ვინც უკანონოდ შეაღწევს სხვის კომპიუტერში და მოიპოვებს პერსონალურ ინფორმაციაზე უკანონოდ წვდომის საშუალებას. ამის გაკეთება არ უნდათ, რადგან იციან, რომ ნახევარი საქართველო მეორე ნახევრის კომპიუტერში დაძვრება, უსმენს „სკაიპს“, შიფრავს „ფეისბუქში“ პირად მიწერ-მოწერას და შემდეგ, ყველაფერ ამას ადამიანის დისკრედიტაციისთვის იყენებს!

**ესაუბრა მარიკა კახაძე**

№ 16 (280)
22-28 აპრილი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პირისპირ

# „ბატონო მოსამართლე, თქვენს წინაშეა ორი გიორგი სიბაშვილი: ერთი — ბრალდებული და მეორე — ადვოკატი!“

**...ყველაფერი 2012 წლის პირველ დეკემბერს დაიწყო — ბრალი თანამდებობრივ უფლებამოსილების გადამეტებასა და კიდევ რაღაც-რაღაცებში დასდეს. ჯერ დაკითხვებზე დადიოდა, მერე, თელავის რაიონული სასამართლოს კარი აატალახა. ბოლოს, ბორკილები ნებით დაიდო და „ტრუბა კვადრატისგან“ დამზადებულ საკანში ჩაჯდომასაც გეგმავდა, მაგრამ... ერთი აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების, 3 წინასასამართლო და 45 არსებითი სხდომის შემდეგ, სასამართლომ უდანაშაულოდ სცნო... ახლა საქმე, როგორც იტყვიან, მეორე ინსტანციაშია. ეს-ესაა, შესაგებებელი დავამთავრეო, — მითხრა კახეთის ყოფილმა ვიცეგუბერნატორმა, ამჟამად კი, იურიდიული კომპანია GS&BARRISTERS-ის ხელმძღვანელმა და მოქმედმა ადვოკატმა გიორგი სიბაშვილმა. ისე, მსოფლიოში, ალბათ, არ ყოფილა პრეცედენტი, როცა ბრალდებული სხვა საქმეში ადვოკატის სტატუსით მონაწილეობდა. სიბაშვილი კი, ბოლო ორი წელია, სასამართლოში მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, სხვებსაც იცავდა... რაღა ბევრი გავაგრძელო და, „ნაციონალების“ გულშემატკივარი პირისპირ სასაუბროდ სწორედ ზემოხსენებული არგუმენტის გამო გამოვიწვიე...**

**— ბატონო გიორგი, წინა ხელისუფლების, მგონი, ერთადერთი წარმომადგენელი ხართ, რომელსაც ბრალი წაუყენეს, 50-მდე სასამართლო სხდომა გაიმართა. ამასობაში, რა აღარ მოხდა — მბრალდებელი სასამართლოში ხან ტრენინგზე ყოფნის გამო არ ცხადდებოდა, ხან — ფეხის მოტეხვის. ბოლოს, ბორკილები დაიდეთ და პირველი ინსტანციის სასამართლომაც გაგამართლათ. მოკლედ, მთელმა ქვეყანამ გაგიცნოთ. არადა, როცა კახეთის ვიცეგუბერნატორი იყავით, თქვენი არსებობა მედიამაც კი არ იცოდა...**

— მგონი, სპეციალურად „გამაპიარეს“ და ამისთვის ბრალდების მხარეს შემიძლია, მადლობა გადავუხადო. გამოძიება 2012 წლის პირველ დეკემბერს დაიწყო. მანამდე, რამდენჯერმე მოწმის სახით დამკითხეს, 2013 წლის 29 იანვარს კი, კახეთის ე.წ. ფინანსურ პოლიციაში, სადაც ბრალი უნდა შეეფარდებინათ, მეგობართან ერთად მივედი...

**— ადვოკატი რატომ არ აიყვანეთ?**

— სერთიფიცირებული ადვოკატი ვარ. სხვათა შორის, პროკურატურისა და მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდებიც მაქვს ჩაბარებული.

**— ჰოდა, „წვენებში“, ანუ ხელისუფლებაში რაღას მიდიოდით?**

— აი, საქმეც სწორედ მაგაშია... მოკლედ, მოსამართლეს ვუთხარი, ორი გიორგი სიბაშვილია წარმოდგენილი: ერთი ბრალდებული და მეორე — მისი დამცველი-მეთქი. საერთოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ კრძალავს, რომ ბრალდებულმა თავი თვითონ დაიცვას, მით უმეტეს, თუკი შესაბამისი კვალიფიკაცია აქვს. სხვათა შორის, ბრალდებული რომ ვიყავი, სხვა საქმეებზე ისე დავდიოდი, როგორც ადვოკატი.

**— ესეც სიბაშვილის „ორმაგი სახე“... ისე, დაჭერის გეშინოდათ?**

— წარმოიდგინეთ, ამისთვის მზად ვიყავი.

**— ე. ი. ცოლმა „საციხე თეთრეული“ გაგიმზადათ?**

— არაფერი გაუმზადებია, მაგრამ ჩემი მეუღლე ყველაფერს ძალიან მხნედ შეხვდა. არ ვიცოდი, რომ დაკავებაზე შეტანილ შუამდგომლობაზე მოსამართლეს უარი ჰქონდა ნათქვამი. ამიტომ, დაკითხვაზე მეორედ რომ წავედი, შინ გავაფრთხილე, შეიძლება, დამაკავონ-მეთქი. სხვათა შორის, იმავე საღამოს ჩემმა მეუღლემ, ჩემთვის ბრალის წაყენების პარალელურად, გამომძიებლებს, რომლებიც ჩემი სახლი გაჩხრიკეს, სიამაყით უმასპინძლა...

**— დავიჯერო, არც გლდანის ციხის გეშინოდათ?**

— რომ მშინებოდა, ბორკილებს არ დავიდებდი.

**— ბორკილები, ვფიქრობ, პიარისთვის დაიდეთ — მიშას ხალხი ხომ პიარის დიდოსტატია!**

— არა...

**— დაკითხვაზე მიმავალ ადვოკატ სიბაშვილს ბრალდებული სიბაშვილის დაცვის სტრატეგია შემუშავებული ჰქონდა?**

— ჩემი თავის ადვოკატი მორალურად ვიყავი. ისე, არ ვიკვეხნი, მაგრამ მოკრძალებით აღვნიშნავ, რომ ამ სისხლის სამართლის საქმეში მხოლოდ ჩემი თავის კი არა, ირიბად, სხვების ადვოკატიც აღმოვჩნდი და ეს ოქმებიდანაც ჩანს. დაკითხვაზე ხუთ საათზე დამიბარეს. სამ საათზე უკვე თელავში ვიყავი და გამომძიებელს დავურეკე, იქნებ, ახლა მოვიდე-მეთქი, მაგრამ დაიბნა, არა, არაო და ამით მივხვდი, რომ დაკავებას თუ არა, მინიმუმ, ბრალის წაყენებას მიპირებდნენ. ჩემს თანმხლებ პირს მანქანის გასაღები და საფულე მივეცი — მანქანას სახლში მიიყვანდა, საფულეს კი, მეუღლეს გადასცემდა, ანუ რომ დავეკავებინე, ვიდრე ადვოკატი შემოვიდოდა და ოჯახთან რამეს დავაბარებდი, დრო დაიკარგებოდა. ამიტომ, ეს პროცედურა წინასწარ გავიარე და ხუთ საათზე დაკითხვაზე შევედი. ბოდიში მომიხადეს, ბრალი უნდა წაგიყენოთო.

**— ხედავთ, ძალოვანი უწყებები როგორ გაჰუმანურდნენ?!**

— კი არ გაჰუმანურდნენ, არამედ, ისინი, ვინც ბრალი წამიყენეს, ზუსტად იმ სამუშაოების არაოფიციალური ზედამხედველები იყვნენ, რაზეც მედავებოდნენ, ანუ ქოჩების ტბის, მანავისა თუ თელავის სტიქიის დროს, ყველა სამშენებლო კომპანიას პასუხისმგებელი პროკურატურასა და ფინანსური პოლიციიდან ჰყავდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ფორსმაჟორული სიტუაცია იყო და არაოფიციალურ ზედამხედველობას ეწეოდნენ, რადგან ვინმეს ფული არ მოეპარა.

**— ამ არაოფიციალური ზედამხედველების ზედამხედველი იყავით?**

— 2012 წლის 19 ივლისს, კახეთში სტიქია მოხდა, რის გამოც შტაბი შეიქმნა და ყველა — პრეზიდენტით დაწყებული გუბერნატორით დამთავრებული ამ შტაბის წევრი იყო...

**— გამოძიება სტიქიის შედეგების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი ფულის შეჭმას გედავებოდათ?**

— მე კი არა, თითქოს ვიღაცამ შეჭამა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არავის შეუჭამია.

**— თუ არავის შეუჭამია, აბა, ბრალი რატომღა წაგიყენეს?**

— ბრმა რას ჩიოდა და, ორთავ თვალსაო — მეც მაგას ვჩივი, რომ დანაშაული არ დადგინდა. გინდათ, ერთი ეპიზოდი გიამბოთ?

**— კი ბატონო, მაგრამ ჯერ მითხარით, ბრალი რომ წაგიყენეს, „დაჩმორდით“?**

— აპ-პა-პა-პა... პირდაპირ ვიკითხე, სულ ეს ხართ-მეთქი?!

...რაღაცას გეტყვით, მაგრამ ხიბლში ჩავარდნილი არ გეგონოთ.

**— ჯერ თქვით და მერე გადავწყვეტ, მეგონებით თუ არა..**

— დაკითხვაზე რომ შევედი, გამომძიებელს წინ დაწერილი შეკითხვები ედო... სპეციალურ ოთახში ვისხედით.

**— უფანჯრო?**

— არა, მაგრამ ვიდეოთვალი იყო, ვიცოდი, ვინც მიყურებდა და ზუსტად შესაბამისი ტექსტით ვლაპარაკობდი... გამომძიებელი, პერიოდულად, გადიოდა და ბრუნდებოდა — კითხვებს ათანხმებდა და ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ საქმე სხვა რამეშია: ვისთვის სამწუხაროდ და ვისთვის საბედნიეროდ, უკუღმა კითხვა შემიძლია. ჰოდა, პირველ შეკითხვას რომ მისვამდა, უკვე ბოლოც წაკითხული მქონდა, მივაყოლე და ყველაფერზე პასუხი გავეცი, გაგიჟდა... სხვათა შორის, სასამართლოში, როგორც ბრალდებულმა, გამომძიებელი დავკითხე. მეორე სხდომაზე მეორე გამომძიებელი მოვიდა და მკითხა, ვაიმე, მეც იმ დღეში უნდა ჩამაგდოო. მოკლედ, მტრისას და ავისას — სასამართლოზე გამომძიებელს ვეკითხები, ფონდის წესდების ესა და ეს მუხლი წაკითხული გაქვს-მეთქი. არაო. აბა, თუ წესდება წაკითხული არ გაქვს, წესდების დარღვევაში როგორ მედავებით და ბრალს იმაში რატომ მდებთ, რომელიც შესწავლილი არ გაქვთ-მეთქი...

ყველაზე საინტერესო კი, მანავის ეპიზოდია: სტიქიამ კახეთი დაანგრია, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ მანავში სამი გზა დაზიანდა, აღარ გაივლება. სოფლის რწმუნებული დახმარებას მუნიციპალიტეტს სთხოვს, გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე კი, — საკოორდინაციო შტაბს. მე, როგორც კოორდინატორი, დავალებას ვიღებ, დააფინანსეო, თან ამ დროს გიორგი ღვინიაშვილი კენჭს გურჯაანის მაჟორიტარად იყრიდა და 24 აგვისტოდან, პრაქტიკულად, გუბერნატორის მოვალეობას ვასრულებდი, თუმცა გადაწყვეტილი იყო, არჩევნებს მოვიგებდით თუ წავაგებდით, ჩემს საქმეში, ანუ ადვოკატურაში უნდა დავბრუნებულიყავი.

**— ბატონო გიორგი, ადამიანი რომ შემოგხედავთ, სოლიდური კაცი ხართ, წინდახედულებას არ უნდა უჩიოდეთ და, იმის ეშმაკი გამხადა, გავიგო ადვოკატობა ჩინოვნიკობაზე რატომ გაცვალეთ? თან, 2008 წლის ბოლოს, როცა კახეთის ვიცეგუბერნატორი გახდით, „ნაციონალები“ უკვე ათას უბედურებაში იყვნენ მხილებულ-ეჭვმიტანილნი...**

— სხვათა შორის, როგორც ადვოკატი, ძალიან ბედნიერად ვცხოვრობდი — უზარმაზარი დეკლარირებული შემოსავალი მქონდა და არაფერს ვუჩიოდი, მაგრამ გადაწყვეტილება პიროვნულმა და მეგობრულმა ურთიერთობებმა მიმაღებინეს, თან თავიდან შეთანხმება იყო, რომ სამი თვით უნდა წავსულიყავი, მაგრამ ვანო, არ ვიცი, მიზიდულობის ძალა გამოგიცდიათ თუ არა...

**— სკამის მიზიდულობის ძალა არასოდეს გამომიცდია!**

— სკამი არ მიკვირდა, რადგან გურჯაანის გამგებელი იმ დროს ვიყავი, როცა გამგებელი გამგებლობდა, ანუ 2002 წლამდე. მოკლედ, სხვა ხიბლი და ნარკოტიკია, როცა საკუთარი ხელით აშენებ და იცი, რომ ეს დარჩება.

**— ეს გავიგე, მაგრამ იმ ხელისუფლებაში წახვედით, რომელსაც ლამის კანიბალად აცხადებდნენ.**

— ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართლა კანიბალი იყო.

**— შეიძლება, მაგრამ ოჯახზე, შვილზე,**

გაგრძელება მე-11 გვ.



„ძალიან ამაზრზენი შეკითხვაა!“ — როგორ გაუმწარა სიცოცხლე კახეთის ყოფილმა ვიცეგუბერნატორმა გამომძიებლებს

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22-28 აპრილი 2015 | № 16 (280)



„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## პირისპირ

მე-10 გვერდიდან

**მომავალზე რატომ არ იფიქრეთ? მიშასთან რომ არ წასულიყავით, ახლა ხომ ყველი და პურივით იქნებოდით?**

– ცუდ დღეში იმიტომ ვარ, რომ ბრალდებული ვიყავი?! – სულაც არა, პირიქით...

**– ისე, „ნაცებს“ კომპრომატები თქვენზეც აქვთ?**

– გამორიცხულია... ან რა კომპრომატი უნდა ჰქონდეთ?

**– რა ვიცი, ვინმეს ლოგინში გამოგიჭერდნენ!..**

– (იცინის) ისეთ დღეში ვიყავით, ლოგინში ჩასაწოლად სად მეცალა?! – ოთხი წელი, გუბერნიაში ვათენებდი და ვაღამებდი...

**– „ნაცმოძრაობის“ რომელი კლანის წევრი ხართ?**

– არ ვიცი, „ნაცმოძრაობაში“ რა კლანებია, მაგრამ არასოდეს მიფიქრია, რომ იმ 4 წელიწადში რამე ცუდი გავაკეთე. იცით, საკუთარი ღირსებით ყველაზე მეტად როდის ვამაყობდი? – 2012 წლის პირველი დეკემბრის შემდეგ, როცა დაკითხვებზე სიარული დავიწყე და ვიდრე გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა, ცხოვრებაში ასეთი წელგამართული არ ვყოფილვარ! არასოდეს ვინანებ, რომ სააკაშვილთან ერთად, თელავის კორპუსების სახურავებზე დავძვრებოდი! თუ ვინმე იმ ხელისუფლებას ბავშვისმჭამელს ეძახდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მართლაც, ასეა!

**– რა, უარყოფთ, რომ „ნაცებმა“ სანდრო გირგვლიანი მოკლეს?**

– გირგვლიანის ამბავზე შესაბამისი განაჩენი დადგა.

**– კი ბატონო, მაგრამ თქვენს მორალურ პასუხისმგებლობაზე გელაპარაკებით! ციხის კადრები რომ ნახეთ, როგორ განწყობაზე დადექით?**

– დღესაც არ მჯერა, რომ ციხის კადრები არსებობს! რა, გჯერათ, რომ ციხეში ვინმეს ამას უკეთებდნენ?

**– რა თქმა უნდა, მჯერა!**

– შეგიძლიათ, ერთი ადამიანი მაჩვენოთ, რომელსაც ცოცხი ჰქონდა გაკეთებული?!

**– ბატონო გიორგი, აბა, რას ამბობთ? – საჯაროდ ვინ იტყვის, რომ გააუპატიურეს?**

– იმ ხელისუფლებას შეცდომები ჰქონდა, მაგრამ ეს ისეთი შეცდომები არ იყო, რომელიც ამ ხელისუფლების უთავბოლობას, უნიათობას გადაწონის და რომლის გამოც უნდა მრცხვენოდეს, რომ იმ ხელისუფლებაში ვმუშაობდი!

**– ვიდრე ვიცეგუბერნატორი გახდებოდით, როგორც ადვოკატს, როგორი საქმეები გქონდათ?**

– გახმაურებული საქმეები არ მქონია...

**– კლიენტს საპროცესო გარიგების გაფორმებას ხშირად ურჩევდით?**

– ასეთი შემთხვევაც მქონია...

**– ამბობთ, არ მრცხვენია, ვიცეგუბერნატორი რომ ვიყავიო, მაგრამ ერთი მითხარით, კახეთისთვის რა გააკეთეთ?**

– კარგია, რომ არ მეუბნებით, რაღაც გააფუჭეო. ბოლო წლებში, კახეთში, ბევრი რამ გაკეთდა, რაც შემიძლია, დაუსრულებლად ჩამოგითვალოთ...

**– მაინც? ბოლოს და ბოლოს, ჩემი სოფლის, ე.წ. ქოჩების ტბა ვერ გააკეთეთ!**

– ქოჩების ტბის რეაბილიტაცია 2012 წლის 12 სექტემბერს დაიწყო, ხადურმა კი, საამისოდ გამოყოფილი 800 ათასი უკან, ბიუჯეტში გადარიცხა. სხვათა შორის, ახტალის რეაბილიტაციაც იყო დაგეგმილი – პირველი 3 მილიონი დაიხარჯა კიდეც და ტყე-პარკის რეაბილიტაცია მოხდა.

**– ამ 3 მილიონიდან პირადი ინტერესებისთვის რამდენი გამოიყენეთ?**

– თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ!

**– მაპატიეთ და, თქვენს სულიერ სიმშვიდეზე ზრუნვა ჩემი მოვალეობა არაა!.. ადეიშვილს თქვენც ჰარი პოტერს ეძახდით?**

– არა.

**– გეშინოდათ?**

– სულაც არა?!

**– არ მგონია, მასთანაც ასეთი ენაწყლიანი ყოფილიყავით.**

– თქვენ წარმოიდგინეთ, ვიყავი... ახლა კი, იმიტომ, რომ ბიუჯეტი ვერ სრულდება, ახტალა საპრივატიზაციო ნუსხაში შეიტანეს, რაც ცუდია. არ დაგვცალდა, ახტალა რომ დაგვემთავრებინა...

**– კიდევ კარგი, არ დაგცალდათ, თორემ მთელ საქართველოს გლდანის ციხეში გაგვიშვებდით!**

– თავისთავად, ვინც დასაჭერი იყო, უნდა დაჭერილიყო!

**– კარგი, რა?! ბატონო გიორგი, გამოცდილი ადვოკატი ხართ და გჯერათ, ადამიანებს შუაღამისას სურვილი უჩნდებოდათ, რომ თავიანთი ქონება და ბიზნესი სახელმწიფოსთვის გადაეფორმებინათ? აი, ახლა, უცებ მოგინდებათ, რომ თქვენი საადვოკატო ბიურო მაჩუქოთ?**

– არა! ისინი კი, ამ ნაბიჯს მოსალოდნელი მძიმე სასჯელისგან თავის არიდების მიზნით დგამდნენ.

**– გამოძიება დიდი სასჯელით რომ დაგმუქრებოდათ, ქონებას დათმობდით?**

– გამოძიებამ ღირსების დათმობა მომთხოვა...

**– ურიგო არ იქნებოდა, „ნაციონალებს“ ღირსებაზე ადრევე გელაპარაკათ...**

– ორწელიწადნახევრის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს – ფეხიც კი მოიტეხეს იმიტომ, რომ ნერვიული სისტემიდან „ამოვმხტარიყავი“ და მეთქვა, ან განრიდება გამიკეთეთ, ან საპროცესო-მეთქი, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ. რომელ სამართლიანობის აღდგენაზეა ლაპარაკი? – ფინანსურ პოლიციაში თანხების არასწორ ხარჯვაზე საქმეები სხვებზეცაა აღძრული, მაგრამ მავანისა და მავანის გამო, თაროებზეა შემოდებული...

მოკლედ, ისევ მანავის ეპიზოდს უნდა დავუბრუნდე: გადაწყდა, რომ სტიქიისგან დაზიანებული სამივე გზა უნდა დაფინანსებულიყო და ხარჯთაღრიცხვა მოვითხოვე, რომელიც ელექტრონულ ფოსტაზე გამომიგზავნეს, სადაც 55 ათას რაღაც ლარი ეწერა, რომელიც 3 გზისთვის აბსოლუტურად ნორმალურია... საგარეჯოს გამგეობამ გზის მოხრეშვა ვიღაც ასლანას დაავალა.

**– ტენდერი რატომ არ გამოცხადდა?**

– ასეთი ფორსმაჟორის დროს ტენდერი არ ცხადდება... ამ ვიღაც ასლანმა მუშაობა დაიწყო, მაგრამ მის ანგარიშს ყადაღა ედო, ამიტომ, მეზობელი მოძებნა...

**– კლასიკური ნეპოტიზმი!**

– ნეპოტიზმი კი არა, ბიზნესია!

**– რაღა ისეთი „ვიღაც ასლანა“ მოძებნეს, რომლის ანგარიშსაც ყადაღა ედო?**

– იმიტომ, რომ სოფელ იორმუღალნოში მუშაობდა და უთხრეს, ბარემ, მანავშიც გადმოდიო.

**– ეს „ვიღაც ასლანა“ ვისი ახლობელი იყო?**

– არ დადგენილა, ვინმეს ახლობელი იყო თუ არა. ამ კაცის მეზობელმა 17 სექტემბერს, საგადასახადოში განცხადება დაწერა, ინდმეწარმედ დამარეგისტრირეთო, 18-ში რეგისტრაციაში გაატარეს, 19-ში კი, დილით, 11 საათსა და 20 წუთზე, „ლიბერთი ბანკში“ ანგარიში გახსნა, შუადღეს ყველა ეს საბუთი საგარეჯოს გამგეობამ გადმომიგზავნა და 20-ში ფონდის აღმასრულებელ დირექტორს დასაფინანსებლად გავუგზავნე.

**– და ყველაფერი ეს გაგანია საარჩევნო კამპანიის დროს ხდება, არა?**

– დიახ, სექტემბერია... ამ დროს ვიღაც ასლანას სამუშაოები დაწყებული აქვს, მაგრამ საგარეჯოში უთხრეს, ხელშეკრულებას თელავში გაგიფორმებენო. ჩამოვიდა თელავში, ყველა ხელშეკრულება თითქმის ერთნაირია და რომ ამობეჭდეს, პირველ ფურცელზე, 10 სექტემბერი ეწერა.

**– დარღვევაა!**

– დარღვევა კი არა, ტექნიკური შეცდომაა, თან ხელშეკრულების ბოლო გვერდზე, ანგარიშის ის ნომერია მითითებული, რომელიც 19 სექტემბერს, დილით, „ლიბერთი ბანკში“ გაიხსნა. გამოძიებამ თქვა, ხელშეკრულების გაფორმება სიბაშვილმა დაავალა, ამით უფლებამოსილებას გადაამეტა და ბრალი უნდა წავუყენოო. იმ „ვიღაც ასლანას“ კი დააწერინა, თითქოს ათი ათასი ლარი მიითვისა. მეტიც, კომპიუტერი გაუხსნა და ჩემზე უთხრა, უნდა თქვა, რომ ფული მიუტანეო. „ვიღაც ასლანამ“, ცხოვრებაში ხელი არ ჩამომირთმევია და როგორ ვთქვა, რომ ფული მივეციო. მაშინ თქვი, თითქოს ფული საგარეჯოს გამგებელს მიუტანე, რომელთანაც სიბაშვილს კარგი ურთიერთობა აქვს და ჩვენ ვიტყვით, რომ ფული საგარეჯოს გამგებელმა მისცაო. ამ „ვიღაც ასლანამ“, თქვენ გიჟები ხომ არ ხართო. გიჟები ვართო და, დააპატიმრეს. მერე კი, გირაოთი გამოუშვეს.

**– ციხეში არც უწამებიათ და არც არაფერი, არა?**

– ოჰ, შეღავათი, თუ ვიღაცამ არ „უბწკინა“.

**– ბატონო გიორგი, ალბათ, დაგავიწყდათ, „ნაციონალები“ ადამიანს, თუ ცრუ ჩვენებას არ მისცემდა, „ვირის აბანოში“ რომ უშვებდით...**

– ასეთი რაღაცები ახლაც ხდება.

**– იმიტომ, რომ საგამოძიებო უწყებებში, როგორც ამბობენ, ისევ „ნაცები“ არიან.**

– მოიცათ, რა... ვაიმე, ვაიმე, ვაიმე...

**– იცით, თქვენზე რას ამბობენ? – სიბაშვილს გაუმართლა, რომ კუბლაშვილის სასამართლომ გაასამართლა, თორემ ციხე არ ასცდებოდაო...**

– სიბაშვილი რომ დაეჭირათ, საქმეში ერთი მტკიცებულება მაინც ხომ უნდა არსებობდეს? სხვათა შორის, „ფეისბუქში“ ვიღაცამ დამიწერა, კვალი არ დატოვე, მაგრამ დიდი ხნის წინ დასაჭერი იყავიო. სახელმწიფო ქონება არ მიმითვისებია და ყოველთვის სახელმწიფოებრივად ვაზროვნებ!

**– რა ამის პასუხია და, მითხრეს, კახეთს კულუარულად დღესაც სიბაშვილი განაგებსო, ანუ თქვენი ხალხი, თურმე, „ოცნებაში“ ჩანერგეთ...**

– იცით, ეს რას ნიშნავს? – ვიღაცას სიბაშვილის ჩრდილის ეშინია თუ როგორაა? „ოცნებაში“ ძალიან ბევრს ვიცნობ და ჯობია, იმაზე ილაპარაკონ, „ოცნებელები“ როგორ გახდნენ...

**– ...ბატონო გიორგი, ვთქვათ, „ნაცებისგან“ დაზარალებული ვარ და მირჩიეს, გიორგი სიბაშვილი მაგარი ადვოკატიაო, მაგრამ „ნაცთან“ როგორ მოვიდე?**

– არავინ გაძალებთ... ისე, ისეთი კლიენტებიც მყავს, ვინც წინა ხელისუფლებას ლანძღავენ.

**– კარგია, როცა ადვოკატს პროფესიონალიზმით ირჩევენ და არა – პოლიტიკური ნიშნით!.. მიშა გენატრებათ?**

– რას ჰქვია, მენატრება? შეიძლება, შვილი მომენატროს... არ გეწყინოთ და, ძალიან ამაზრზენი შეკითხვაა! პოლიტიკაში პიროვნებების მიმართ ფანატიკურ დამოკიდებულებას ვგმობ, თუმცა ზოგიერთ ისეთ საკითხში, რომელიც დღეს ცუდად მიდის, შეიძლება, მიშასნაირი გადაწყვეტილებები ვინატრო!..

2012 წლის პირველ ოქტომბერს, ქართველმა ხალხმა, რომელსაც, სხვებისგან განსხვავებით, პატივს ვცემ, თქვა, ამიტომ და ამიტომ „ნაცმოძრაობა“ არ მინდა და ამიტომ და ამიტომ სხვა მინდაო. დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს რომ ვეუბნებით, ამას და ამას რატომ არ აკეთებთო, გვპასუხობენ, თქვენ რომ ცხრა წელი იყავითო. 9 წელი, 9 წელი, 9 წელი... ამოვიდა, რა, ყელში! იცით, ეს როგორაა? „მთის სურნელში“ მაყვალა მამას რომ ეუბნება, მამი, ნუ ნერვიულობ, ჩემი ბოზობა ციალას ბოზობამ გადაფარაო. დავანებოთ ამ ცხრა წელს თავი...

**– ვერ დავანებებთ, რადგან ამ 9 წელში ხალხს აწამებდნენ, ღირსებას ართმევდნენ...**

– ჰოდა, „ოცნება“ რომ ხარ და მოხვედი, სამართლიანობა აღადგინე!

**– ბატონო გიორგი, როგორც ადვოკატი, რას მეტყვით, დღევანდელი სასამართლო პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალია?**

– ვფიქრობ, თავისუფალია და არც იმის მტკიცებულებები მაქვს, რომ სასამართლო პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი „ნაციონალების“ დროს არ იყო!.. ადვოკატურასთან ოთხწლიანი წყვეტა მქონდა და ახლა სასამართლო პრაქტიკას ვეცნობი. ჰოდა, იმ 9 წლიდან ძალიან ბევრი გამამართლებელი გადაწყვეტილება შემხვდა.

**– კარგი, რა, გამამართლებელი განაჩენები 1 პროცენტს არ აღემატებოდა და „ძალიან ბევრი“ როგორ შეგხვდათ?**

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო შეზღუდული იყო!

**– ემიგრაციაში წასვლაზე არ გიფიქრიათ?**

– გულწრფელად გეტყვით: მიფიქრია, მაგრამ ამ ფიქრს ვებრძვი, რადგან თუ წავალ, აღარ დავბრუნდები.

**– ემიგრაციაში წასვლაზე რატომ ფიქრობთ? რა, პოლიტიკური დევნის მსხვერპლი ხართ?**

– ვარ და ამას ყველა მიხვდება, ვინც ჩემს საქმეში ჩაიხედავს.

18 ნოემბერს სასამართლო მქონდა, წინა დღით, ფინანსურ პოლიციაში კლიენტს მივყევი. მოგვიანებით, გამომძიებელმა დამირეკა, იქნებ, ჩემთან მოხვიდეთ, მაგრამ კლიენტი არ მოიყვანოთო. რამე საპროცესო მოქმედება დაგვრჩა-მეთქი? არაო. მოკლედ, მივედი და გამომძიებელი მეუბნება, უნდა დაგკითხოთო, ანუ ეს მინიშნება იყო, რომ სასამართლოზე შოუ აღარ დამედგა, რა, ეს დევნა არ იყო თუ დევნა მაშინ იქნებოდა, ჯოხით რომ გამომკიდებოდნენ?

**– ...ყოფილი ხელისუფლების გაქცეულ წევრებთან კონტაქტობთ?**

– არა, თუმცა კავშირი სიამოვნებით მექნებოდა. ისე, პარტიაში მივდი-მოვდივარ.

**– ქუჩაში ხალხი როგორ გხვდებათ?**

– თავიდან ალმაცერად მიყურებდა, ახლა – ჩვეულებრივად...

**– ამ ინტერვიუს, როგორ ფიქრობთ, რა რეაქცია მოჰყვება?**

– შეიძლება, ზოგმა გითხრათ, ამასთან ინტერვიუ როგორ ჩაწერეო.

**– დღეს საქართველოში მედია თავისუფალია და არავინ მეუბნება, ინტერვიუ ვისთან ჩავწერო და ვისთან – არა!.. ამბობთ, პოლიტიკური დევნის მსხვერპლი ვარო, მაგრამ თქვენი დაჭერა კონკრეტულად, ვის ინტერესში შედიოდა?**

– ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ძველი ხელისუფლების მიერ ჩადენილი „ცუდი“ საქმეები უნდა წამოეწიათ და რეგიონიდან ჩემზე „უკეთესი“ ვინ იქნებოდა?

**– აბა, რა, თქვენ ხომ კახეთის „რუხი კარდინალი“ იყავით!**

– (პაუზა) დიახ, ვიყავი, თუმცა ეს ცოტა ცუდი ნათქვამია! დღეს რომ უკან მივბრუნდე...

**– ვინ მიგაბრუნებთ!**

– ვიცეგუბერნატორად დაბრუნებაზე არ ვამბობ. ცხოვრებას თავიდან რომ ვიწყებდე, არაფერს შევცვლიდი და ისევ „ნაციონალების“ ხელისუფლებაში წავიდოდი! მეამაყება – გავა წლები და იტყვიან, ეს სიბაშვილის პერიოდში გაკეთდაო. არასოდეს დავმალავ და არც შემრცხვება, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების დროს, კახეთში მაშინ ვმუშაობდი, როცა რეგიონი რეგიონს დაემსგავსა! ეს დიდ ღირსებად მიმაჩნია!..

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩემი საქმე ზუსტად 5 სასამართლო სხდომაში დასრულდებოდა, მაგრამ 50 სხდომა გამართეს. მსოფლიოს სასამართლო სისტემაში მსგავსი პრეცედენტი არ არსებობს – საქმის განხილვა ორწელიწადნახევარი გრძელდებოდა. რომ დავეპატიმრებინე, სასამართლო ვალდებული იყო, საქმის განხილვა 9 თვეში დაემთავრებინა და თუ მართლები იყვნენ, უკვე კარგა ხნის დავიწყებულიც უნდა ვიყო. გამასამართლეთ! – ამის მეტს არაფერს ვითხოვდი და თუ პროკურატურა მართალი იყო, მოსულიყო და თავისი სათქმელი ადრევე ეთქვა, მაგრამ ბორკილები რომ არ დამედო, სასამართლო არ დამთავრდებოდა, თან ხომ იცით, რას ვგეგმავდი.

**– რას?**

– „ტრუბა-კვადრატისგან“ „კლეტკა“ უნდა შემეკრა, რომელსაც თელავის რაიონული სასამართლოს წინ დავდგავდი და შიგ ჩავჯდებოდი.

**– ...ბატონო გიორგი, ჟურნალისტი რომ იყოთ, რას მკითხავდით?**

– პოლიტიკურად თავისუფალი ჟურნალისტი ხათ?

**– ადამიანი ვარ, შესაბამისად, პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები მაქვს!**

– პასუხი მიღებულია...

**– როგორ ფიქრობთ, დამაჯერეთ, რომ „ნაცმოძრაობა“ კარგი ხელისუფლება იყო?**

– მე კატალიზატორი ვერ ვიქნები. საერთოდ, კარგი და ცუდი ხელისუფლება არ არსებობს. არსებობს ხელისუფლება, რომელსაც სწორი მიმართულება აქვს. ის ხელისუფლება სწორი მიმართულებით მიდიოდა, ეს – არასწორი.

**– ეს დემაგოგიაა!**

– (იცინის) დემაგოგია კი არა, ფაქტია!

**– ვისთვის როგორ... წარმატებებს გისურვებთ!**

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

სამართალი

# პატიმარს, რომელმაც ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მისცა, პროვოკაცია მოუწყვეს?



**2006 წელს, ე.წ. ციხის ბუნტის დროს, სასტიკად ნაწამები და დაინვალიდებული პატიმრის, დავით გაიხარაშვილის ვაჟი, დიტო გაიხარაშვილი სასამართლო დარბაზში დააპატიმრეს. როგორც უცხოეთში მყოფი დავით გაიხარაშვილი აცხადებს, შვილის დაპატიმრებით პასუხი ჩვენებისთვის აგებინეს. გახდა თუ არა დიტო გაიხარაშვილი გამიზნული პროვოკაციის მსხვერპლი და რა კავშირშია ამ საქმესთან ბაჩო ახალაია? — ამ კითხვით „ქართულმა სიტყვამ“ ადვოკატ ინგა ბერიკაშვილს მიმართა:**

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი დიტო გაიხარაშვილი სასამართლო დარბაზში დააპატიმრეს და 4 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. უფლებადამცველები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები დიტოს დაჭერას არასამართლიანად მივიჩნევთ. ის პოლიტიკური მძევალია. მართალია, პატიმარ დიტო გაიხარაშვილის ადვოკატი გახლავართ, მაგრამ მინდა, ყურადღება დავით გაიხარაშვილის ამბავზე გავამახვილო, რომელიც დიტოს მამაა და მათი დაპატიმრება ერთმანეთთანაა კავშირში.

დათო გაიხარაშვილი ის პიროვნებაა, რომელმაც თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა და ბაჩო ახალაიას, რევაზ ჭარბაძის, დავით ჭაკუას და სასჯელაღსრულების სხვა დამნაშავე ჩინოვნიკების წინააღმდეგ ჩვენება მისცა — ამ ადამიანების განსჯა სწორედ გაიხარაშვილის ჩვენების საფუძველზე მოხდა, თორემ ხელისუფლებას ჯალათთა ეს ბანდა შეიძლება, ვერც გაესამართლებინა. დავით გაიხარაშვილმა ჩვენება ციხის ე.წ. ბუნტთან დაკავშირებით მისცა. სინამდვილეში, ეს ბუნტი კი არა, გამიზნული პროვოკაცია იყო. სწორედ ამას ამტკიცებს დავით გაიხარაშვილიც, რომელიც სიმართლის თქმამ დააზარალა.

**— დავით გაიხარაშვილი „ციხის ბუნტზე“ კონკრეტულად რას ამბობს?**

— 26 მარტი თენდებოდა, როცა ციხეში ხმაური ატყდა. ციხის საავადმყოფოდან პატიმრების ცემა-ტყეპის ხმა ისმოდა. ამბობდნენ, რომ ბაჩო ახალაია პატიმრებს პირადად სცემდა. ამასობაში, სროლაც გაისმა — სახურავიდან „სნაიპერები“ ისროდნენ. ამის შემხედვარე პატიმრებს შეეშინდათ და ხმაური ატეხეს. უცნობია, როგორ, მაგრამ რამდენიმე კამერის კარი ღია აღმოჩნდა, დავით გაიხარაშვილი პირველ სართულზე იყო და, ტყვიებისგან თავი რომ დაეღწია, ზემო სართულისკენ მირბოდა. ამ დროს სპეცრაზმელები ფეხით შედგნენ, სასტიკად სცემდნენ და „დუბინკებს“ ურტყამდნენ. დათომ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, რის გამოც უარესად გაუსწორდნენ. გონება დაკარგა... მერე, სხვა პატიმრებს უთქვამთ, ბაჩო ახალაია გირტყამდაო... ამის გამო გაიხარაშვილს ჯანმრთელობა მკვეთრად შეერყა — მთელი ერთი ძვალიც აღარ აქვს. მისი „რენდგენის სურათი“, მართლაც, შემზარავი სანახავია. როცა მკურნალობის თანხამ 400 ათასი ევრო შეადგინა, საქართველოს ხელისუფლებამ ამ თანხის გადახდაზე თავდაპირველად უარი უთხრა და, პრაქტიკულად, სასიკვდილოდ გაწირა. მერე, ჯანდაცვის სამინისტრომ და მერიამ დასახმარებლად გარკვეული თანხა გაიღეს. გაიხარაშვილი, ახლობლების დახმარებით, სამკურნალოდ გერმანიაში წავიდა, სადაც პოლიტიკურ დევნილად აღიარეს — ორმა წამყვანმა კლინიკამ მისი წამების ფაქტი დაადასტურა...

დიტო გაიხარაშვილის საქმე, რომელიც დავით გაიხარაშვილის ერთადერთი შვილია, არ შეიძლება, ცალკე განვიხილოთ.

**— რატომ?**

— ეს ოჯახი სოციალურად დაუცველია და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება. დიტოს ე.წ. პლანის მოწევის გამო, პირობითი სასჯელი ჰქონდა. ამით სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებმა ისარგებლეს და პროვოკაცია მოუწყვეს — თანაუბნელი პოლიციელები, მამა-შვილი ბასილაშვილები მიუგზავნეს, რომლებმაც მას შეურაცხყოფა მიაყენეს და გამოიწვიეს. შეხლა-შემოხლა მოხდა და ამის გამო დიტო გაიხარაშვილი პასუხისგებაში თავიდან მიეცა — პირობითი სასჯელი გაუცოცხლეს და რამდენიმე დღის წინ, დააპატიმრეს, 4 წლამდე პატიმრობა მიუსაჯეს. დავით გაიხარაშვილი შვილს პოლიტიკურ მძევლად მიიჩნევს და ამ საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვს. გარდა ამისა, ხელისუფლების წინაშე ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას აყენებს, კერძოდ სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლები დაცულები არ არიან. ამის გამო ბევრი დამნაშავე ყოფილ მაღალჩინოსნებს ველარ დაუპირისპირდება, შესაბამისად, მათი სასამართლო გზით მხილება აღარ მოხდება.

დათო გაიხარაშვილი ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ შეწყვიტოს კოჰაბიტაციის პოლიტიკა და მისი შვილის საქმე ობიექტურად იქნეს გამოძიებული.

**— თქვენ, როგორც დიტოს ადვოკატს, სამართლებრივად რა პრობლემები შეგექმნათ?**

— დიტო გაიხარაშვილის დაპატიმრება ჩვენი ქვეყნისთვის სამარცხვინოა, ვინაიდან ახალგაზრდა კაცი გამიზნული პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ აღნიშნულ საქმეში გვიან ჩავერთე და მტკიცებულებებიც არ მქონდა, რომ დიტო გამემართლებინა, თუმცა ვაღიარებდით ცემის ფაქტს, მაგრამ აქ ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ ე.წ. დაზარალებული შსს-ს თანამშრომელია, რომელიც არასამსახურეობრივი მოვალეობის დროს, უფორმოდ, ნასვამი გამოეცხადა დიმიტრი გაიხარაშვილს და პროვოკაციაზე წამოაგო — ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა. მამის უმძიმესი ცხოვრების გამო, დიტომ მძიმე პერიოდი გამოიარა და განაცხადა კიდეც, ვერ ვაცნობიერებდი, რას ჩავდიოდიო. აღნიშნულთან დაკავშირებით, სასამართლოზე დიტოს სამედიცინო ცნობა წარვადგინე, სადაც პროფესორი გიორგი ნანეიშვილი აცხადებს, რომ დიტო გაიხარაშვილი სტაციონალურ მკურნალობას საჭიროებს — გადატანილი სტრესის გამო, ფსიქიკური აშლილობა აქვს.

**— ამის საფუძველზე შეიძლება, გაათავისუფლონ?**

— მოსამართლემ ჯანმრთელობის ცნობის წარდგენა საჭიროდ არ ჩათვალა. ვიცი, მხოლოდ ეს არაა საკმარისი და ექსპერტიზის ცნობის წარდგენაც საჭიროა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ისაა, რომ პროცესზე ე.წ. დაზარალებული არ გამოცხადდა და დიტოს წინააღმდეგ ჩვენება არ მისცა. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ბრალდების ყველა მოყვანილი ფაქტი მტკიცებულებად ჩათვალა.

**— ქალბატონო ინგა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებთ?**

— საჩივარს გენერალურ ინსპექციაში შევიტან და პოლიციელის იდენტიფიკაციას აუცილებლად მოვითხოვ, რადგან ვეჭვობ, სხვა ამგვარ საქმეებშიც მონაწილეობს. გვჯერა, სიმართლეს აუცილებლად დავადგენთ!

ესაუბრა **ნათია ლეჟავა**

სტოპკადრი

## გოგი თოფაძე: „ნათესაობა არ ნიშნავს ნეპოტიზმს“

უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე მიიჩნევს, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა და სწორედ ამიტომ დაფიქსირდა ნეპოტიზმის რამდენიმე ფაქტი. ამის შესახებ გოგი თოფაძემ ჟურნალისტის იმ შეკითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ქვეყანაში ნეპოტიზმის ფაქტებს უკავშირდება.

„საქართველო პატარა ქვეყანაა და აქ იმაზე აჟიტირება, ვიღაცამ ვიღაცა მოიყვანა, ბიძაშვილი, მამიდაშვილი, ვიღაცის ნათესავი, არ ნიშნავს, რომ ნეპოტიზმია. ფაქტია, რომ რამდენიმე შემთხვევა იყო, რაზეც ხელმძღვანელობამ მიიღო ზომები. ამაზე აჟიტირება არ არის სწორი. საქართველო პატარა ქვეყანაა. ყველას ჰყავს ნათესავი, მეზობელი, მე მიმაჩნია, რომ ყველაფერი გამოსწორებულია და ჩვენი მთავრობა კარგად მუშაობს“, — განაცხადა გოგი თოფაძემ.

„ТВ24.ГЕ“



## რომან გოცირიძე: „ზოგი ფულს ჰკარგავს, ზოგიც — თავს!“

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი რომან გოცირიძე ბოლო პერიოდში მის მიმართ გაჟღერებულ კრიტიკას საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდზე გამოეხმაურა.

„ბოლო პერიოდში ვინც მე გამაკრიტიკა, ზოგმა სარფიანი ექსპერტობა დაირტყა, ზოგმაც — თანამდებობა. შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ეს, მით უმეტეს, კრიტიკის სეზონი გაიხსნა, ოღონდ გაფრთხილებთ: ვინც წინათაც ამას აკეთებდა, მერე ცხოვრება მწარედ სჯიდა. მაგალითებს ცოტა გვიან მოგიყვანთ.

რატომ ხდება ასე? კარგი, გაგანდობთ საიდუმლოს: ნოსტრადამუსის წინასწარმეტყველებაში წერია, იმ ნაწილში, რომელიც კავკასიას და რომგოს რჩევების გაუთვალისწინებლობას და უსაფუძვლო კრიტიკას ეხება. შედეგად, ზოგი ფულს ჰკარგავს, ზოგიც — თავს. რომგო თუ ვინაა, ამის გამოცნობა არ უნდა იყოს ძნელი“.

„ТВ24.ГЕ“

## დავით შავლიაშვილს ნოდარ ჯავახიშვილი შეცვლის

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პოსტზე დავით შავლიაშვილს ნოდარ ჯავახიშვილი შეცვლის, — აღნიშნული ინფორმაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა.

მისივე თქმით, ნოდარ ჯავახიშვილთან დაკავშირებით კონსულტაცია გუნდში უკვე გაიარა.

ნოდარ ჯავახიშვილი შავლიაშვილის მოადგილეა. შავლიაშვილმა კი, გადადგომის შესახებ განცხადებით პრემიერ-მინისტრს ორი დღის წინ მიმართა.

„ინტერპრესნიუსი“



## ბიძინა ივანიშვილი: „თუ სახელმწიფო გვაქვს, ყველანი უნდა დავემორჩილოთ რაღაც თამაშის წესებს!“

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, თუ ჩვენ სახელმწიფო გვაქვს, ყველანი უნდა დავემორჩილოთ რაღაც თამაშის წესებს, მათ შორის — პრეზიდენტიც, — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, როდესაც უპასუხა კითხვას, უნდა გადავიდეს თუ არა პრეზიდენტი ათონელის რეზიდენციაში.

მისივე თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას 10 000 კვ/მ-ის ფართობი უკავია, რაც ჭარბი ფართია.

„რომც არ უჭირდეს სახელმწიფოს, ჭარბი ფართი მაინც არ უნდა გვქონდეს“, — განაცხადა ივანიშვილმა და აქვე აღნიშნა, რომ ჩვენ საკმაოდ გაჭირვებული სახელმწიფო გვაქვს.

„ინტერპრესნიუსი“

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსკანდიდატი

# „იცით, მაგ შენობას რა დაარქვეს? — „ცალკვერცხა ფალოსი“!

**მარჯანიშვილის თეატრის ყოფილი მსახიობი ასმათ ტყაბლაძე, რამდენიმე თვის წინ, „ლეიბორისტული პარტიის“ სახელით, თბილისის მერობისთვის იბრძოდა. მის გამარჯვებაში შალვა ნათელაშვილიც დარწმუნებული იყო, მაგრამ დამარცხდა. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ასმათი უკან დახევას არ აპირებს:**



**„მაინც დიტოს დედად დავრჩები!“ — რას ჰყვება ასმათ ტყაბლაძე კოტე თოლორდავაზე**

— არასამთავრობო ორგანიზაცია „თემიდა“ დავაფუძნე, მაგრამ უსახსრობის გამო ვერ ფუნქციონირებს. სახსრები რომ მოვითხოვო, ისეთ თემებზე უნდა ვილაპარაკო, რაზეც საუბარი არ მსურს. გრანტს კი, მოგეხსენებათ, ტყუილად არაფერში მოგცემენ. ჩემი ტკივილი ქვეყნის აშენება და დედაქალაქის პრობლემების მოგვარებაა, თორემ რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებს ჩემი დაცვა არ სჭირდებათ — ეს საკითხი ჩემს კომპეტენციაში არ შედის.

**— ქალბატონო ასმათ, თვითმმართველობის არჩევნების მერე, პოლიტიკურ სარბიელზე აღარ ჩანხართ. არ გინდათ, პოლიტიკოსი გახდეთ?**

— მაგას დიდი ძალისხმევა სჭირდება, თან პოლიტიკურ აქტიურობას ფული უნდა. პატარა ბიზნესი კი მაქვს, მაგრამ ცუდ მდგომარეობაშია. ძალიან ბევრი არაკანონიერება ხდება... შარდენის ქუჩაზე პატარა ბარი მაქვს - გავალამაზე, მოვაწყვე, მაგრამ რად გინდა? - ხალხს ფული არ აქვს, ვეღარ შემოდის და რაც იქ მაქვს, გადავყარო თუ როგორ მოვიქცე? დასუფთავების ფულს სკამების მიხედვით მართმევენ. ცარიელ სკამს შემოაქვს შემოსავალი თუ როგორაა? რამდენი სკამიც გაქვს, იმდენი 3 ლარი უნდა გადაგვიხადოო, — ასე გვყვლეფენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, წყლისა და გაზის გამორთვით გვემუქრებიან. კაბალური გადასახადებია. 20%-იანი საშემოსავლო რა ამბავია? ადამიანს წვალებით ვასაქმებ და შენ ვინ ხარ, რომ წილი მომთხოვო? შინ უფრო მეტ გაზს ვხარჯავ, ვიდრე — ბარში, მაგრამ ბარში მაინც ორმაგს მახდევინებენ.

**— ანუ, საქართველოში მცირე ბიზნესი წნეხის ქვეშაა?**

— რა თქმა უნდა. ეს კაბალური კანონი სააკაშვილის დროსაა მიღებული და ეს მთავრობა, იმის ნაცვლად, რომ მდგომარეობა გამოესწორებინა და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის ხელი შეეწყო, პირიქით მოქმედებს — „ნაციონალების“ მიერ დამკვიდრებულ პოლიტიკას აგრძელებს!

**— მალე კიდევ ერთი კანონი ამოქმედდება, რომელიც ბარებსა და რესტორნებში ხმაურს, ასე ვთქვათ, დაარეგულირებს...**

— აქამდე მსოფლიოში ერთი კანონი არსებობდა: ღამის 12-დან დილის 8 საათამდე მუსიკოსს ხმამაღლა არ უნდა დაეკრა, რაც სწორი იყო, მაგრამ 11 საათის შემდეგ გაჩერდი, თორემ 500-ლარიანი ჯარიმა არ აგცდებაო, ეს საქმეა? ნახეთ, რამდენი მაღაზია და ბარი იკეტება. ისედაც მძიმე ეკონომიკური პირობებია და სახელმწიფომ მათ დაკეტვას ხელი არ უნდა შეუწყოს, მაგრამ ყველა მთავრობას მხოლოდ საკუთარი თავის კეთილდღეობა უნდა და ხალხზე ზრუნვით თავს არ იწუხებს.

**— რა ამის პასუხია და, თქვენს ყოფილ კონკურენტზე რას იტყვით — დავით ნარმანია როგორი მერია?**

— დავით ნარმანიას ერთი გაჭირვებული ადამიანის დახმარება ვთხოვე და პრობლემა სწრაფად მოუგვარა, რის გამოც მადლობა გადავუხადე. ამ ადამიანს, ეტყობა, კარგი თვისებებიც აქვს და ეს უნდა დავინახოთ. ისე, თბილისში გზები რომ გადათხრილია, ამას პეტრეს ან პავლეს დაძახება რად უნდა? — ორმოები სასწრაფოდ უნდა ამოავსონ, ხალხს ნერვები გაუფუჭდა, მანქანებიც დავამტვრიეთ. ნარმანიას მოვუწოდებ: სასწრაფოდ მიწისქვეშა ავტოსადგომები გააკეთოს.

ქართველებს შეგნება არა აქვთ და ვისაც უნდა, ეწყინოს: ნაგვის პარკს რომ სახლიდან გადმოაგდებ, ან შუა ქუჩაში დააგდებ, ამას რა ჰქვია?

ქალაქის მთავრობას მოვუწოდებდი: უპატრონო ძაღლებს მიხედოს — კი არ მოკლას, არამედ, უპატრონოს.

მთავრობამ პრიორიტეტად სოციალური პროგრამების დაფინანსება რომ გადაწყვიტა, ძალიან კარგია. აი, მაგალითად, საყოველთაო დაზღვევის პროგრამა ამოქმედდა - ამას რა ჯობია?! უკეთესი იქნება, თუ მუნიციპალურ საავადმყოფოებსაც გააკეთებენ, სადაც მკურნალობა სრულიად უფასო იქნება — როცა სახელმწიფო ოპერაციას 10 000 ლარით გიფინანსებს და გეუბნებიან, 3000 კი შენ დაამატეო, ეს ფული საიდან უნდა მოიტანო? ამიტომ მათთვის, ვისაც ფინანსური სახსრები არა აქვთ, მუნიციპალური საავადმყოფოები უნდა გაიხსნას. მერი რომ ვყოფილიყავი, ისეთ ნაბიჯებს გადავდგამდი, დარწმუნებული ვარ, ბევრ მტერს გავიჩენდი!

**— მაგალითად...**

— მიტოვებული ფართები რომაა, გამოშიგნული და მშენებლობა არ სრულდება, ეს ხომ დანაშაულის ტოლფასია? მათ პატრონს მკაცრად გავაფრთხილებდი, ან დაემთავრებინა მშენებლობა, ან დიდ ჯარიმას დავუწესებდი. ამის მერე, ასეთი ტიპის შენობა სახელმწიფოს გადაეცემოდა... რა უბედურებაა, სამშენებლო კომპანიები დაიბევებენ გარკვეულ ტერიტორიას და ელოდებიან, როდის გაძვირდება ადგილი, რომ მეტი ფული ამოიღონ და ეს თანხა ოფშორულ ზონებში გადარიცხონ. თაბუკაშვილის ქუჩაზე რომ 50-სართულიან სასტუმროს აშენებენ, ნეტავ, ვინმე მანახა, ვისაც ეს შენობა



მოეწონება. იცით, მაგ შენობას რა დაარქვეს? — „ცალკვერცხა ფალოსი“! როგორ შეიძლება, ქალაქში ასეთი განუკითხაობა იყოს და ამისთანა სიმახინჯეები შენდებოდეს?

**— მოდით, ორი სიტყვა შალვა ნათელაშვილზეც მითხარით...**

— შალვა ნათელაშვილი, მართლაც, პატრიოტია და მუდამ ხალხის ინტერესების დასაცავად იბრძოდა, საქმე სულ სასამართლოში ჰქონდა. ეს კაცი სულ იბრძვის, აბა, რა ქნას? — მთავრობაში არასოდეს ყოფილა.

**— ისე, შალვას რეიტინგი აღარ აქვს...**

— მათ, ვინც მთავრობასა და პარლამენტში მოხვდა, ამისთვის დიდი თანხა დახარჯეს, ხალხი მოატყუეს და უცხოელი პარტნიორებისგან მხარდაჭერაც მიიღეს. შალვას არავინ მოუტყუებია. მართალი ადამიანი კი, ხშირ შემთხვევაში, იჩაგრება. თუ შალვა ხელისუფლებაში მოვა და არასწორ ნაბიჯს გადადგამს, პირველ რიგში, შეცდომაზე მე მივანიშნებ, რადგან ყოველთვის სიმართლის მხარეს ვარ. სხვა პარტიებთან თანამშრომლობას კი, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ.

**— ქალბატონო ასმათ, ბოლოს, მინდა, კოტე თოლორდავაზე მიამბოთ — ვიცი, რომ კარგად იცნობდით...**



— დიახ... ბავშვობაში ძალიან ცელქი და მოუსვენარი ბიჭი იყო. მაშინ ჩემთან, სოფელში ისვენებდა ხოლმე... თავიდანვე განსაკუთრებით კეთილი იყო — შეეძლო, როლი დუბლიორისთვის დაეთმო. რაც მთავარია, უნიჭიერესი მსახიობი გახლდათ, რაშიც მაყურებელიც დარწმუნდა. ძალიან ბევრი მიწვევა ჰქონდა... მის ცხოვრებაში ბევრი საინტერესო ამბავი უნდა მომხდარიყო, მაგრამ საუბედუროდ, არ დასცალდა. მისი გარდაცვალების გარემოებაზე ლაპარაკი, რატომ და როგორ მოხდა, არ მინდა. ფაქტია: კოტე ჩვენთან აღარაა. ყველაზე მეტად იმაზე ვჯავრობ, რომ დარჩა კრედიტით აღებული ბინა და მცირეწლოვანი შვილები. მთავრობას, ან ისეთ ბიზნესმენს, ვისაც საშუალება აქვს, მოვუწოდებ, კოტეს შვილებს ბინა შეუნარჩუნოს!

**— „ჩემი ცოლის დაქალებში“ დედა-შვილის როლს ანსახიერებდით. როგორი „შვილი“ იყოს?**

— ჩვენი დედა-შვილობის არაჩვეულებრივი ტანდემი შედგა - როცა „ქორწილში“ მივედი და „რძალს“ შევურიგდი, ძალიან გაუხარდა, გულში ჩამიკრა და მაკოცა. ჩემს აზრს მუდამ პატივს სცემდა. მეგონა, სერიალში ისევ გამოვჩნდებოდით, რადგან დიტოს გაუჩინარებას წერტილი საბოლოოდ დასმული არ ჰქონდა — სცენარისტები მაყურებელს სიურპრიზს ჰპირდებოდნენ. მინდოდა, ჩვენი დედაშვილობა კვლავ გაგრძელებულიყო... ესეც ჩაგვეშალა...

კოტეს რეპეტიციაზე დაგვიანების ჩვევა ჰქონდა. გვერდზე გავიყვანდი, დავტუქსავდი, ბოდიშს მომიხდიდა, მაკოცებდა და ვაგრძელებდით მუშაობას. სამწუხაროდ, ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ მაინც დიტოს დედად დავრჩები...

**ესაუბრა ნათია ლეჟავაძე**

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ექსკლუზივი

# გენერალ-მაიორი: „რუსული სპეცსამსახურის თანამშრომელი ვიყავი!“

**საქართველოს სამხედრო პოლიციის უფროსი, აფხაზეთის ომის მონაწილე, საქართველოს ასირიელთა კონგრესის ყოფილი თავმჯდომარე, შემდეგში, მოსკოვის გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსანი ბორის ივანოვი 2006 წელს თბილისში, მამისეულ სახლში, სოდ-ის სპეცდანიშნულების რაზმმა დააპატიმრა. იარაღისა და ნარკოტიკების ბრალდებით დაკავებული ბორია ივანოვი ჯერ გირაოთი გაათავისუფლეს, მერე, ძებნილად გამოაცხადეს, დაუსწრებლად გაასამართლეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მუხლს, რომლითაც გაასამართლეს, ამნისტია შეეხო. ივანოვის თქმით, სიმართლეს სასამართლოსა და ჟურნალისტების დახმარებით მიაღწია... როგორია დღევანდელი სასამართლო, რა პრინციპით მუშაობენ სპეცსამსახურები, ვინ არიან ქილერები და რას სთავაზობდა გენინსპექციის ყოფილ უფროს ზვიად ჯანყარაშვილს გენერალ-მაიორი ბორის ივანოვი? — „ქართული სიტყვა“ ბორის ივანოვს ესაუბრა.**

— პირველი მოსამართლე, ვინც საქმეს განიხილავდა, ლელა შკუბულიანი გახლდათ. პროცესებზე მისი საცოდაობით ვიწვოდი — სულ პროკურორს შეჰყურებდა და იმას აკეთებდა, რასაც ანიშნებდა. მოსამართლის მანტიაში გამოხვეული ახალგაზრდა ქალის უმწეობამ ჩემი გასაჭირი დამავიწყა... შსს-დან პროკურატურაში გადასულ თანამშრომლებს ავალებდნენ, ჩემს წინააღმდეგ ემოქმედათ — ამ უწყებაში კარგა ხანს ვიმუშავე, ამიტომ ჩემს ფსიქოტიპს იცნობდნენ, ცდილობდნენ წონასწორობიდან გამოყვანას, გაბრაზებას, პროვოკაციის მოწყობას. რომ არა ახალი ხელისუფლება და დღევანდელი სასამართლო, გამამართლებელ განაჩენს ვერ მივიღებდი. ჩემს საქმეს ბევრი მოსამართლე გაეცნო და მინდა, მადლობა ვუთხრა მოსამართლეებს — გერონტი კახეთელიძეს, მაია ივანიძეს, მაია ოშხერელს, პაატა სილაგაძეს, გიორგი ჩავლეიშვილს, თამარ ონიანს...

**— როგორც ვიცი, ევროსასამართლოსთვის არ მიგიმართავთ...**

— ქვეყნის გარეთ, ევროსასამართლოში საჩივრებით სირბილს არასოდეს დავიწყებდი.

**— რატომ?**

— ჩემს საჩივარს ასეთი სათაური ექნებოდა: „ივანოვი საქართველოს წინააღმდეგ“, არა? — ასეთ რამეს ვერ გავაკეთებდი. ნაგვის გარეთ გატანა არ მიყვარს.

**— საქართველო გიყვართ?**

— 1996 წლიდან, მოსკოვში ვცხოვრობ, ყოველ ღამე სიზმარში ვნახულობ, ალბათ, გავგიჟდებოდი, კიდევ ერთი წელი რომ არ ჩამოვსულიყავი.

**— მიუხედავად იმისა, რაც გადაიტანეთ? ამბობთ, სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავიო.**

— დიახ, მიმაჩნია, რომ სააკაშვილის პირადი პატიმარი ვიყავი. დიდი დრო დამჭირდა, მაგრამ ჩემი სიმართლე დავამტკიცე. რასაკვირველია, ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ამნისტია დამეხმარა. ორმოცი წელი სამართალდამცავ სისტემაში ვიმუშავე, მთელი ჩემი გამოცდილება და ბერკეტი გამოვიყენე, რომ გამემარჯვა. ეს მარტივი არ იყო, ვინაიდან სასამართლოსა და პროკურატურაში დღესაც პრობლემებია.

**— რას გულისხმობთ?**

— სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი ოდიოზური ფიგურა, გენერალური პროკურორი ზურა ადეიშვილი ქვეყნიდან გაიქცა. ასეთი ცვლილებების დროს, უწყება თვისობრივად ახალი კადრებით უნდა დაკომპლექტებულიყო, მაგრამ ახლადდანიშნულმა არჩილ კბილაშვილმა გვერდით ადეიშვილის მარჯვენა ხელი, ჩხატარაშვილი დაიყენა ნაცვლიშვილთან ერთად. ბესო თხელიძე „ნაციონალების“ დროს დეპარტამენტის უფროსი გახლდათ, ახალმა ხელმძღვანელობამ კი, საგამოძიებო ნაწილის უფროსობა ჩააბარა. ასე შეიკრიბა ისევ ის ჯგუფი, რომელიც თავის დროზე უკანონობას ჩადიოდა.

**— კბილაშვილის მერე სხვა გენპროკურორი გვყავდა, რომელსაც საზოგადოებამ ნდობა არ გამოუცხადა.**

— ოთარ ფარცხალაძე შსს-ს საფინანსო გამოძიების უფროსი იყო, „ნაციონალების“ მიერ დაჯილდოებული მუშაკი, თავისი საქმის მცოდნე... გენპროკურორად დაინიშნა თუ არა, მაშინვე ჩხატარაშვილს მიწვდა, ამას მიყვებოდა ნაცვლიშვილი და სხვები.

**— ოთარ ფარცხალაძე გერმანიაში ბოტასების ქურდობისთვის გაასამართლეს.**

— მოდით, ერთ ამბავს მოგიყვებით: მოსკოვში, გენპროკურატურაში რომ ვმუშაობდი, აფხაზეთიდან დევნილი, მოსკოვში მცხოვრები ქალბატონი მოვიდა, გვარად ხოფერია და გერმანიის საპატიმროში მყოფი შვილიშვილის რუსეთში ექსტრადირებაში დახმარება მთხოვა. შეულამაზებლად მიამბო შვილიშვილის ისტორია: ლუდის დღესასწაულზე ახალგაზრდები ბარში ისხდნენ, ნაცნობი ქართველები შევიდნენ, ბიჭმა სუფრაზე მიიწვია. ამ დროს მიმტანმა გამოიარა, რომელსაც ლანგარზე ლუდის კათხები ელაგა. ხოფერიამ მიმტანს ლანგარზე ათი მარკა დაუდო და ორი კათხა გამოართვა. მიმტანმა ლანგარი შემკვეთთან მიიტანა, რომელსაც ორი კათხა აკლდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ეს ახალგაზრდა ლუდის ძარცვის ბრალდებით დააკავეს და ხუთ წელიწადნახევარი მიუსაჯეს, რაც განზრახ გააკეთეს: გერმანიაში ბევრს ახსოვს სტალინი და ბერია, ყველა ქართველი კი, მათი შთამომავალი ჰგონიათ. ხოფერიას ექსტრადირება მოხდა, ბიჭი „ბუტირკაში“ მოვინახულე, საშინლად ნაწამები იყო, 50 წლისას ჰგავდა. ყველაფერი გავაკეთე და, ჯანმრთელობის საფუძველზე, ორი თვის მერე გავათავისუფლებინე.

**— ეს ამბავი ფარცხალაძესთან რა კავშირშია?**

— უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ფარცხალაძის ბოტასების ქურდობაც ლუდის მოპარვას ჰგავს. ვინმემ გაარკვია, რაზე იყო დაჭერილი? ეს ბოტასი უფრო ადრე რატომ არ გამოჩნდა, როცა მაგარ საქმეებს აკეთებდა? „ფინთი გოიმებივით“ მოექცნენ. ოთარ ფარცხალაძე პროფესიონალია, მთავარი პროკურორის თანამდებობაზე ბევრს გააკეთებდა.

**— ...დანაშაულის არარსებობის გამო გაგათავისუფლეს. მოდით, გაიხსენეთ, ყველაფერი როგორ დაიწყო...**

— 2006 წელს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოვედი, ბილეთი აღებული მქონდა და მალე უკან უნდა დავბრუნებულიყავი. იმ ავადსახსენებელ დღეს, 25 ივნისს, სტუმრები მყავდა — ტელევიზორს უყურებდნენ, კოდორის ხეობაში მიმდინარე მოვლენებს გადმოსცემდნენ. რეპორტაჟიდან ვერ გავარკვიეთ, ემზარ კვიციანს რა დაემართა. ერთმა სტუმართაგანმა თქვა, ახლავე მის ძმას დავურეკავო. არ მესიამოვნა, ვიცოდი, ბორია ივანოვის ტელეფონი მოსმენაზე იქნებოდა, მაგრამ მომერიდა და არაფერი ვუთხარი. დარეკა, არავინ უპასუხა, მაგრამ ზარი ხომ დაფიქსირდა?!

**— ემზარ კვიციანს იცნობდით?**

— არა, მხოლოდ ერთხელ მყავდა ნანახი: როცა აფხაზეთს ვტოვებდით, დათო ზეიკიძე და მე, მეომრებთან ერთად, ერთად ვბრუნდებოდით და მაშინ ვნახე ხეობაში. ვიდრე ემზარი იქ იყო, კოდორი ჩვენი იყო. ემზარი გააგდეს, ხეობას „ზემო აფხაზეთი“ დააწერეს და აფხაზებმაც წაგვართვეს.




## რა მასალები უნდა გადაეცა ბორის ივანოვს ზვიად ჯანყარაშვილისთვის

**— უშიშროება ამ ზარით რატომ დაინტერესდა?**

— მოსკოვში, იგორ გიორგაძემ პრესკონფერენციაზე მიმიწვია, აქ კი, კვიციანის ძმასთან ჩემი სახლის ტელეფონიდან დაირეკა, რაც მიხეილ სააკაშვილისთვის საკმარისი მიზეზი გახდა, რომ ჩემი დაპატიმრების ბრძანება გაეცა. როცა თავის კაბინეტში ბრძანებას გასცემდა, მასთან ამირან მესხელი, ვანო მერაბიშვილი, ზურა ადეიშვილი, გიგა ბოკერია და გივი თარგამაძე ისხდნენ. ადეიშვილს უთქვამს, ივანოვი მოსკოვის გენპროკურატურაში მუშაობს და მის დაპატიმრებაზე ამბავი ატყდებაო. „დაიჭირეთ, მაგის დედაცო!“ — გაიმეორა სააკაშვილმა... შევატყვე, ჩემი სახლის ახლოს წრიალი უცხო ხალხმა დაიწყო. მეგობრებმა მირჩიეს ქვეყნიდან წავსულიყავი, მაგრამ სააკაშვილს თავში რა ჰქონდა, არ ვიცოდი, დას დაიჭერდა, დისშვილებს, ახლობლებს გააწამებდა... მაინც დასაბრუნებელი ვიქნებოდი. ამიტომაც ყველას ვთხოვე, გვერდით დამიდექით-მეთქი და დარჩენა გადავწყვიტე. მთელი უბანი ჩემს სახლთან იყო თავშეყრილი. სახლი დავკეტე, გასაღები მეზობლის გოგონას მივეცი და გავაფრთხილე, კარი უჩემოდ არავისთვის გაეღო. დილიდან ველოდებოდი, როგორც იქნა, საღამოს, შვიდ საათზე მოვიდნენ. სახეზე ერთიც არ მიცნობდა, ამიტომ, აგენტი იურა ცირეკიძე მოიყოლეს, რომელმაც ჩემზე მიუთითა.

**— იურა ცირეკიძეს იცნობდით?**

— ძალიან კარგად — წლების წინ, პატარა ბიჭის გაუპატიურების გამო იჭერდნენ და გადავარჩინე. მამამისი ჩემი ახლობელი იყო, ამიტომ სიცოცხლე შევუნარჩუნე, არადა, „დასაბრედი“ იყო. ქამრიანი შარვალი გავიხადე და „სპორტულები“ ჩავიცვი, რომ იარაღი არ ჩაედოთ. იმას როგორ ვიფიქრებდი, მე, ბორია ივანოვს, ნარკოტიკს ჩამიდებდნენ.

**— რატომ ვერ იფიქრებდით?**

— მეგონა, არ იკადრებდნენ, ყველამ იცოდა, რომ ნარკოტიკი და ნარკომანი ჭირივით მეჯავრებოდა. აფხაზეთის პოლიციის უფროსი სერჟანტი სოსო ახალაია, წამლის გამო, სამსახურიდან დავითხოვე — უჯრაში „პრომიდოლი“ ედო და როგორც მითხრეს, დღეში რამდენიმეჯერ იკეთებდა.

სახლში არც შესულან, შევთავაზე, დაკავებისთვის საბაბს ახლავე მოგცემთ, თუნდაც წვრილმან ხულიგნობას ჩავიდენ და აქაურობა გაჩხრიკეთ-მეთქი.

ნაძირალა გამომძიებელმა მომატყუა, დავამთავრეთ ყველაფერი, ხელები ზურგს უკან უნდა შეგიკრათო. ამ ჭიდაობაში ხელებზე კანი გამისკდა, მკლავებზე კი ძარღვები დამაწყვიტეს. ჯიბე არც მაისურს ჰქონდა, მაგრამ საიდანღაც ცხრა გრამი ნარკოტიკი „ამოიღეს“. ამდენი ხალხის წინაშე დამაკავეს და ორთაჭალის ციხეში გადამიყვანეს, კამერაში „ჟუჩოკების“ წინ ვდგებოდი და სააკაშვილს ვაგინებდი. ბევრი ყვება, რომ ციხეში სცემდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ, რა ვიცი, ჩემთან არავინ მოსულა. „ნასედკას“ თავიდანვე ვუთხარი, მოსახსენებლად რომ წახვალ, უკან აღარ დაბრუნდები-მეთქი. ერთი კვირის შემდეგ, საპროცესოზე ალაპარაკდნენ, მაგრამ დანაშაულის აღიარებაზე უარი ვთქვი, ათი წელი რომ დამჭირდეს, თავს მაინც გავიმართლებ-მეთქი. ამასობაში, გამომძიებელი ყიფიანი, რომელიც დასაპატიმრებლად სახლში გამომეცხადა, თავად დააპატიმრეს.

**— რისთვის?**

— სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, ჩხრეკის დროს, ბინიდან რაღაცეები მოუპარავს. მოკლედ, ჩემი საქმე აქეთ-იქით აბურთავეს, სამი თვის მერე, ნაკლებად მძიმე დაზიანების საექსპერტო ცნობა მომცეს. სამხილები, მტკიცებულებები ვერ მომიძებნეს და მითხრეს, გირაოთი გადიო. ხუთასი ათას ლარს მთხოვდნენ, მაგრამ 100 ათასზე ჩამოვიყვანე. სასამართლოზე ნაწილობრივ აღიარებას ითხოვდნენ, მაგრამ აღიარებაზე არ წავსულვარ. თანხის ნახევარი გადავიხადე, სასამართლოს ელექტრონულ ჩანაწერში დავაფიქსირე, რომ მოსკოვში მივდიოდი და თანხის მეორე ნახევარს იქიდან ჩავრიცხავდი. გარდა ამისა, სამკურნალოდ დავრჩებოდი გარკვეული დროით. გამათავისუფლეს და ციხიდან მშვიდად გავედი. გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი ბესო თხელიძე წასვლას მაჩქარებდა, თურმე, ჩანაფიქრი ჰქონდათ, ჩემზე ძებნა გამოეცხადებინათ. მოსკოვიდან ფული გადმოვაგზავნე და საავადმყოფოში დავწექი. ყველა წესი დავიცავი, ფაქსით მისამართი და დიაგნოზი ვაცნობე. პროფესორმა ჩემი დაზიანებები სერიოზულ ტრავმად შეაფასა და ხანგრძლივი მკურნალობის საჭიროება დააფიქსირა. მაინც ვაპირებდი უკან დაბრუნებას, მაგრამ ჩემმა ადვოკატმა მაცნობა, შენზე ძებნა გამოცხადდა. გამასამართლეს და რვა წლით თავისუფლება დაუსწრებლად აღმიკვეთეს.

**— შინ „გეკო“-ს ტყვიები გიპოვეს და ეს სამხილი არ იყო?**

— მეზობელი მეთევზე მყავდა, გვარად შონია, რომელმაც მამაჩემს თოფი და „გეკო“-ს ტყვიები უბანში მომრავლებული ვირთხების დასახოცად მოუტანა. მაშინდელი „გეკო“-ს დაჟანგებული ტყვიები ნახეს.

**— ისე, ქართული სპეცსამსახურების მუშაობას როგორ აფასებთ?**

— კავკასია რთული, წინააღმდეგობრივი და მრავალფეროვანი რეგიონია, ტრადიციულად, კომუნისტებიდან მოყოლებული, საქართველოს ყველაზე ძლიერი სპეციალისტები ჰყავდა. სამწუხაროდ, დღეს ოპერატიული მუშაობა, ჩემი გადასახედიდან, უმდაბლეს დონეზეა. ოპერატიული სამსახური ის კი არაა, ფარული კამერით კადრები გადაიღო, მერე მიხვიდე და ვიღაცას ხელები გადაუმტვრიო, წამალი ჩაუდო და დაპატიმრებულს სხვა დანაშაულებიც აღიარებინო. ოპერმუშაკს აგენტურა უნდა ჰყავდეს, ლოგიკური აზროვნება შეეძლოს, დამნაშავის ფსიქოლოგია ესმოდეს.

ალექსანდრე ჭიკაიძის მინისტრად დანიშვნა როგორ შეიძლებოდა?! უნდა დაფიქრდე, ვიდრე დანიშნავ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ხომ აერთიანებს უშიშროების სამსახურს, საზღვრის დაცვას, საგანგებო სიტუაციების სამსახურებს. ეს უზარმაზარი მონსტრია.

დანაშაულის ძიების საკითხზე ლაპარა-

გაგრძელება მე-15 გვ.

## ექსკლუზივი

მე-14 გვერდიდან

კის უფლება არავის აქვს. ბევრი ადვოკატი ყოფილი თანამშრომელია. კანონით, ყველა ქვეყანაში აკრძალულია, რომ დამნაშავეს მიმართულება ადვოკატმა მისცეს.

**— ეგ რას ნიშნავს?**

— ადვოკატი თავისი გამოსვლით ხშირად ვიღაცას რაღაცას ანიშნებს. არადა, ადვოკატის ფუნქციაა, თავისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესები დაიცვას და დანაშაულის დაფარვისკენ არ მიუთითოს. ტელევიზიებმა სენსაცია სხვა რამეზე გააკეთონ.

**— კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციის მონაწილე თერთმეტი სპეცრაზმელი დაკავებულია და სასამართლოს განაჩენს ელოდება. შს მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა განაცხადა, ვინაიდან სპეცსამსახურელები სხვის დავალებას ასრულებდნენ, მათი სასჯელი მსუბუქი უნდა იყოსო.**

— ამის თქმის უფლება არავის აქვს, ვიდრე ჯერ გამოძიება, მერე პროკურატურა შედეგებს არ დადებს და სასამართლო არ გაასამართლებს. თუ მინისტრის სიტყვა ვინმეს გასაგონადაა ნათქვამი, მაშინ სხვა რამეა. მინისტრი შეიძლება, საქმის კურსში იყოს, მაგრამ უფლება არ აქვს, მიუთითოს, როგორ დაისაჯოს დამნაშავე.

**— ამბობენ, ბოლოდროინდელი შეკვეთილი მკვლელობების კვალი უკრაინაში დაბანაკებულ ,,ნაცმოძრაობის" წევრებთან მიდისო.**

— ქვეყნის შიგნით და გარეთ ,,ნაციონალური" მთავრობის ძველ სახეებს დიდი ხანია, არეულობის მოწყობა სურთ. ,,ბესპრედელით", რასაც ოქრუაშვილი ჩადიოდა, როგორც პროკურორი და შემდეგ, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი, დღეს რატომღაც არავინ ინტერესდება. სამარცხვინოა, რომ კიდევ გუბერნატორობაზე ფიქრობდა ახალი ხელისუფლების პირობებში. სამარცხვინო იყო ქვემო ქართლის გუბერნატორი მიშა ქარელიც, პროფესიით მძღოლი... ,,ნაციონალები" იჭერდნენ, აპატიმრებდნენ, ფულს ,,აწერდნენ", ბიუჯეტში მცირედი თანხები შეჰქონდათ, დანარჩენს სხვა გზას გაუყენებდნენ ხოლმე. მილიონები წაიღეს საქართველოდან, მაგრამ დანაშაული ვერავის დაუმტკიცეს. არადა, რა უნდა იმის გამორკვევას, საიდან იშოვნა კონკრეტულმა პიროვნებამ ქონება? დიღმის საავადმყოფოების ტერიტორია გაყიდულია, პატრონები ესპანეთში სხედან და ფული შესდით. ამ დროს მთელი საქართველო ბანკებშია ჩადებული. აქ ნაშოვნი ფული ქვეყნის გარეთ ძებნილი ,,ნაციონალებისკენ" მიედინება. ვაზაგაშვილი დაადუმეს, ხარძიანი დაადუმეს. როგორც სტალინი იტყოდა, არ არის ადამიანი, არ არის პრობლემა. არეულ ქვეყანაში კი, ძალაუფლების ხელში ჩაგდება რთული არაა.

მთელ საქართველოს ბიძინა ივანიშვილის იმედი აქვს — მისი პატივისცემით მივიღეთ ის შედეგი, რაც საპარლამენტო, საპრეზიდენტო და თვითმმართველობის არჩევნებში დადგა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ქუჩურ ანგარიშსწორებას, ლინჩის წესით გასამართლებას მივიღებთ.

სააკაშვილის ჩამოყვანა და გასამართლება, ან ამირან მესხელის დაკავება, რომელმაც აქედან უამრავი ფული წაიღო, ძნელი სულაც არაა. ვანო მერაბიშვილი ციხიდან გამოსვლას ცდილობს, მაგრამ არ მგონია, გარეთ გამოსვლა უნდოდეს, დამიჯერეთ, არ გამოვა! სააკაშვილმა, ერთხელ, ხმამაღლა განაცხადა ახალაიას მიერ ჩადენილ ერთ-ერთ უკანონობაზე, დავალება მე მივეციო. ვინ უნდა აგოს პასუხი აფრასიძეების განადგურებაზე? დაუწერელი კანონია: დამნაშავეს უნდა აჯობო, დააკავო და გაასამართლო. ეს ოპერმუშაკის სამსახურია. აფრასიძეების დაკავებით შესაძლოა, ბევრი ძველი და ახალი საქმე გახსნილიყო.

**— არსებობდა ვარაუდი, რომ ყარაფილაში, შვილის საფლავზე აფეთქებული ვაზაგაშვილის მკვლელობის კვალი შესაძლოა, რუსულ სპეცსამსახურებთან მისულიყო... არეულობის მოწყობა რუსეთის ინტერესშია??**

— გამორიცხულია, ყველაფერი აქ, საქართველოში დაიგეგმა. ვაზაგაშვილის საქმე მუნდირის ღირსებას რომ იტყვიან, ისაა. გამოძიება სწორ კვალზე მიდის. ბიზნესმენ ბესო ხარძიანის მკვლელობა აშკარად შეკვეთილია, აქ ოპერატიულმა სამსახურმა უნდა იმარჯვოს, ვფიქრობ, მალე გაიხსნება. ერთ რამეს მიაქციეთ ყურადღება: დღეს მედიასივრცე გახსნილია, რეპორტიორები უმეტესად შემთხვევის ადგილზე მომენტალურად ჩნდებიან. ისმის თვითმხილველების მიმართ ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვა: ,,რა უთხარით პოლიციას?" მკვლელი მარტო არ არის, მას დამხმარეები ჰყავს, რომლებიც ყველაფერს, მათ შორის, მედიასივრცესაც აკონტროლებენ, სწავლობენ საზოგადოებრივ აზრს და ალიბს ამის მიხედვით ამუშავებენ, წარმართავენ პროცესებს, რომ სამართალდამცავებისთვის საქმის გახსნა გაძნელდეს. მივეჩვიეთ წინასწარ ლაპარაკს ისეთი ადამიანებისგანაც, რომელთაც საქმის გამოძიებასთან ხელი არ აქვთ. როგორ შეიძლება, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვინმემ განაცხადოს, რომ ესა თუ ის პიროვნება დამნაშავეა? ზოგჯერ, საქმეს სულ მცირე ინფორმაციის გაჟღერებაც გააფუჭებს.

**— იცით, მკვლელობები როგორ იგეგმება?**

— მკვლელობა ხშირად შეკვეთილია, იშვიათად, ისეთი სიტუაცია იქმნება, რომ მკვლელობა ხდება. დღეს უამრავი ტექნიკური საშუალებაა, რაც საქმის გახსნას შველის. მკვლელობისთვის მზადება ასეთი მიმდევრობით წინასწარ მიდის: როცა ქილერს დავალებას აძლევენ, ჯერ მსხვერპლის სურათს აჩვენებენ. თუკი მასთან რაიმე ტიპის ნაცნობობა აქვს, ან სულაც, მის უბანში ცხოვრობს, ამ შემთხვევაში, საქმე რთულდება — ადვილად ამოიცნობენ. შეთანხმების მერე, ქილერი იმ ტერიტორიას სწავლობს, სადაც მსხვერპლი უნდა გამოჩნდეს, არკვევს, არის თუ არა ვიდეოკამერები, ან სხვა სათვალთვალო პუნქტი, როგორ დაიცვას თავი ჩავარდნის შემთხვევაში, როგორ ავარდეს, ვთქვათ, სადარბაზოში, როგორ აიყვანოს მძევალი, რა პირობები წამოაყენოს, ან როგორ გაიქცეს შემთხვევის ადგილიდან. ისიც უნდა გათვალოს, დამკვეთს როგორ გაექცეს, ხშირად ქილერს დაუთქვამენ ადგილს, სადაც ოპერაციის დამთავრების მერე უნდა მივიდეს გასამრჯელოს ასაღებად. ესეც ხიფათია — ზოგჯერ მახეა დაგებული, მოწმეს თავიდან იშორებენ და შემკვეთები ქილერს კლავენ. ამიტომ მან სხვა გზაც უნდა დაამუშაოს, რომ სიტუაციას გაეცალოს. გასარკვევია, ცხონებული ბესო ხარძიანი ვინმემ ,,გაყიდა" თუ ცნობილი გრაფიკით მოძრაობდა?! ამოსაღებია წინა თვეების ვიდეომასალა, სადაც აუცილებლად ჩანს, მკვლელი მიდამოს როგორ ზვერავს შეცვლილი გარეგნობით. ხარძიანის შემთხვევა კარგად მიცემული საქმეა, მაგრამ მკვლელი კვალს აუცილებლად დატოვებს.

**— დღეს ქილერის „მომსახურება" რა ღირს?**

— სხვადასხვა ფასია, გააჩნია, შეკვეთა რა ტიპისაა და ვინ არის ,,დასაბრედი". ზოგჯერ, ეს თანხა ნახევარი მილიონია, ზოგჯერ — 100-150 ათასი დოლარი.

**— ვინ არიან ის ადამიანები, ვინც „ქილერები" ხდებიან?**

— საქართველოში პოტენციურად ბევრი ადამიანია, ვინც ქილერობას დათანხმდება, ამ ადამიანებს ,,სისხლის სუნი" უკვე შეგრძნებული აქვთ, იციან იარაღის ხმარება, გამოცდილება ,,ცხელ წერტილებში" ყოფნისას მიიღეს. ომის ვეტერანებს ქვეყანა განსაკუთრებულად უნდა მოუფრთხილდეს, ამავე დროს, მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს, ზოგს კანტუზია აქვს, ზოგი მკურნალობას საჭიროებს, ზოგს საცხოვრებელი პირობები არ აქვს. მათ სახელმწიფოსგან სათანადო დაფასება და პატივი სჭირდებათ, მათ ოჯახებს — ხელის შეწყობა, რომ უსახსრობის, გამო ვინმემ ხელი ქილერობას არ მიჰყოს. ამიტომაც მგონია, რომ უცხოეთიდან მკვლელის ჩამოყვანის საჭიროება არაა.

## სტოპკადრი

**— გამოდის, რომ საქართველოში ქილერები არიან და პროფესიონალი ოპერები — არა?**

— კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლაში უდიდეს როლს გამოცდილება, ინფორმაციის ბაზა თამაშობს.

**— ბევრ რეზონანსულ საქმეზე დასკვნა არა და არ იდება... დასკვნების დადება პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული?**

— რა, დანაშაული პოლიტიკოსმა ჩაიდინა? ყველა საქმის გახსნა და სასამართლომდე მიტანა შეიძლება. საქართველოში ბოლო ხანს მომხდარი მკვლელობები აშკარად ორგანიზებულია, კარგა ხანია, ერთი ჯგუფი მუშაობს დაკვეთებზე. ჩემს საქმეში ლევან გულვერდაშვილის, დავით მძლურის, ვლადიმერ გეთიაშვილის სახელები ფიგურირებდა. უნდა გენახათ, სასამართლო პროცესებზე როგორები მოდიოდნენ: უკანასკნელ მოდაზე ჩაცმულები, ორ-ორი მანქანით, სამი-ოთხი გაფორმებული იარაღით. მოკლედ, ფულიანი ხალხია. დავალებებს ასრულებდნენ და უხდიდნენ კიდეც. ესენი იყვნენ ე.წ. მუხროვანის ამბოხის მონაწილე გია კრიალაშვილის მკვლელები, მაგრამ რა? — ყველა მათგანი დღესაც შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურებში მუშაობს, ზოგი დაწინაურებულია კიდეც — ლევან გულვერდაშვილი ქალაქის კრიმინალური სამსახურის უფროსობიდან სამმართველოს უფროსი გახდა, ახლა განყოფილების უფროსის პოსტს იკავებს. წესიერი გამოძიება რომ დაიწყოს, ყველა მათგანი ციხეში აღმოჩნდება. ეს იყო ჯგუფი, რომელსაც ხან აქეთ გადაისვრიდნენ, ხან — იქით, ნებისმიერ საქმეს აკეთებინებდნენ. მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იქნებოდა ქვეყნის პრეზიდენტი, მთავრობის ხელმძღვანელი. მჯერა, საქართველოში სამართლიანობის აღდგენის პროცესი დაიწყება და ყველა დაისჯება, თუმცა ძალიან ძნელია საქმის კეთება, როცა პროფესიონალები არ გყავს. ხშირად გაჰყვირიან, პროკურორები საქმეს არ ხსნიანო. ვინ ეკითხება პროკურორს საქმის გახსნას? აქ მთავარი ოპერმუშაკია.

**— შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომია გამეფებული?**

— არა, უბრალოდ, მუშაობა არ იციან. სტრუქტურებში ისევ ის ხალხი მუშაობს, ვინც თავად ჩადიოდა დანაშაულს და ვინც საქმის კურსში იყო, რომ დანაშაული ხდებოდა. დანაშაულებრივი ბრძანება კი, მაღალი დონიდან გაიცემოდა.

**— ბოლო დროს, პოლიციაზე თავდასხმის ფაქტები დაფიქსირდა. ბევრი ამბობს, რომ ქვეყანაში პოლიციის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს...**

— ერთ რამეს ვიტყვი: პოლიციელს დამცველი უნდა ჰყავდეს.

**— ბატონო ბორის, სააკაშვილი რუსული პროექტია?**

— ეჭვი მაქვს, რომ ასეა, თორემ მის დაჭერას რა უნდა? არ აჭერინებენ, სააკაშვილის მეშვეობით, უკრაინის დანგრევას ელოდებიან. ეჭვი ხომ არ გეპარებათ, რომ უკრაინას დაანგრევენ?

**— როგორ?**

— მეგობრებთან ერთად, იარაღს შეიტანს და უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებით დიდ ფულს გააკეთებს. ხანდახან მიფიქრია, ,,ნაციონალების" ბევრ ლიდერზე რუსეთში საქმეა აღძრული და ალბათ, რუსებსაც აწყობთ ,,ნაციონალების" იქ ყოფნა, თორემ რომ მოინდომონ, რუსეთში ჩაიყვანენ და გაასამართლებენ-მეთქი.

**— რაღაც აკლია თქვენს ამბავს... სააკაშვილს, სინამდვილეში, თქვენგან რა უნდოდა?**

— ზუსტად ვიცი, რაც მოხდა. მიხეილ სააკაშვილის საკრებულოს დეპუტატობის დროს, ქალაქის პოლიციის სამმართველოს პირველი მოადგილე ვიყავი, დამირეკეს, რომ ჩემთან მისი წარმომადგენელი მოვიდოდა. საქმე ეხებოდა ნაძალადევის პოლიციის სამმართველოდან, პოლიციის მიერ დაკავებული ნარკომანის და ნარკოგამსაღებლის გათავისუფლებას, რომელზეც სანქცია უკვე გაცემული იყო. როცა საქმე ნარკოტიკებსა და გაუპატიურებას ეხება, კომპრომისზე არ მივდივარ. სააკაშვილის მოგზავნილს უარი ვუთხარი, სანქცია გაცემულია, აწი, პროკურატურას სთხოვეთ-მეთქი. ეს ბოღმა სააკაშვილს გულში ედო. ციხეში ,,კლიუჩნიკი" პატიმარი მომიგზავნეს, რომელსაც ჩემი მოწამვლა ჰქონდა დავალებული, მაგრამ გადავრჩი.

**— კი, მაგრამ იგორ გიორგაძესთან პრესკონფერენციაზე მისვლა კომპრომატი არ იყო?**

— საქართველოდან ჩამოსულ ყველა ადამიანთან ვურთიერთობდი. სააკაშვილს უთქვამს, ეს ივანოვი მოსკოვსა და თბილისს შორის მიდი-მოდის, ჩვენი მტერია, დააკავეთო.

**— ფიქრობთ, რომ სააკაშვილის მხრიდან პირადი ანგარიშსწორება იყო?**

— ყველაფერი ერთად, გაახსენდა, რომ იგორ გიორგაძესთან, რომელსაც პრეზიდენტობა უნდოდა, პრესკონფერენციას დავესწარი. ქვეყნის ,,მოღალატე" ემზარ კვიციანთან, უფრო სწორად, მის ძმასთან ჩემი სახლიდან ზარი განხორციელდა. ამ არგუმენტებით გადაწყდა ჩემი დაპატიმრება.

**— მართალია, ნარკოტიკების შენახვის ბრალდებით დაგაკავეს, მაგრამ სინამდვილეში, დაკავების სარჩული თქვენი რუსულ სპეცსამსახურებთან გაიგივება იყო, არა?**

— რა დაბრალება უნდოდათ, რუსული სპეცსამსახურის თანამშრომელი ვიყავი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს საზიანოდ რამეს ჩავდიოდი. ჩემს სამშობლოს პატიოსნად ვემსახურე!

რუსეთიდან რომ დავბრუნდი, მასალები გავამზადე საქართველოში მოქმედ დანაშაულებრივ ჯგუფზე, რომელიც ჩემს საქმეში ფიგურირებდა, რადგან გამოძიების დროს არ ჩანდნენ არც ხელმძღვანელები, არც — შემსრულებლები. ერთ ძველ მეგობარს ვთხოვე, გენერალურ ინსპექციაში მიმყოლოდა, ან ჩემთან ერთად ემუშავა მასალებზე, რომ შემდეგ რეაგირებისთვის პროკურატურისთვის გადაგვეცა. იმ კაცმა მორიდებით მითხრა, ცოტა რთულიაო. უკან მაინც არ დავიხიე, გენერალური ინსპექციის მაშინდელ უფროსთან, ზვიად ჯანყარაშვილთან მისვლა გადავწყვიტე.

**— რისთვის?**

— იმ ხალხის მხილება მინდოდა, ვინც ,,ნაციონალების" დროს დამსჯელ რაზმებში მუშაობდა, ხელს და ჯიბეებს ითბობდა, ხალხს ამწარებდა. ყველაფერი მზად მქონდა — სამხილები, ფოტოები, მონაცემები. კარგა ხანს ვიარე ამ საბუთებით, ჯანყარაშვილის მოადგილესთან, თვაურთან, რომელიც გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. ყოფილი ,,გაიშნიკი" ჯანყარაშვილი კი მე, გენერალ-მაიორ ბორის ივანოვს მემალებოდა. ერთ-ერთი მიღების მერე, თვაურმა გამომაცილა და საერთო მისაღებიდან ,,მივლინებაში წასული" გენინსპექციის უფროსის ზვიად ჯანყარაშვილის ჩრდილი შევნიშნე. მას მერე აღარ მივსულვარ.



**ესაუბრა ნათია გოგიტიძე**

№ 16 (280)
22-28 აპრილი 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა.
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

# თბილისის საშიში და მისტიკური სახლები

**თბილისში არაერთი ადამიანია, რომელიც ამტკიცებს, რომ სახლი, სადაც ცხოვრობს, მისტიკური და საშიშია. ამასთან, ცნობილია: 10 შენობა ისეა განლაგებული, რომ პენტოგრამას ქმნის (პენტოგრამა სატანიზმის მთავარი ნიშანია). შეიძლება, უბრალო დამთხვევაა, მაგრამ ამ ათივე სახლის ნომერში 6-იანი დომინირებს. თითოეულ სახლს, შესაძლოა, გვირაბიც აქვს, რომელიც კონკრეტულ ადგილს უკავშირდება...**




„ეშმაკის სახლის“ ძიებაში, ფურცელაძის ქუჩაზე აღმოვჩნდი, სადაც დამწვარ სახლს წავაწყდი, თუმცა ხანძრის მიუხედავად, საყოფაცხოვრებო ნივთები - საწოლი, ტელევიზორი, კარადა აღმოვაჩინე. აქაურობა კატების საცხოვრებლადაა ქცეული და მისტიკურ არსებებს ჩემი სტუმრობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ.

„სახლი თავდაპირველად ფრენბურთის ფედერაციას ეკუთვნოდა, შემდეგ, ერთი კაცი შესახლდა, ლოთი იყო და აქაურობა ლოთების თავშესაყარად აქცია. ერთ ღამეს ხანძარი გაჩნდა, თუმცა ხანძრის მიზეზი არ დაუდგენიათ. ის კაცი დაიწვა... სხვა უცნაური არაფერი შეგვინიშნავს... ამჟამად სახლს ახალი პატრონი ჰყავს“, — მეუბნება დამწვარი სახლის მეზობლად მცხოვრები ციცო ერისთავი, რომელსაც კვერს სხვა მეზობლებიც უკრავენ...

ხალხს სიტყვა პენტოგრამაზე ჩამოვუგდე. ინგოროყვას ქუჩის გაგონებაზე ერთ-ერთმა თანამოსაუბრე მამაკაცმა სახე შეიჭმუხნა, ეგ სახლი უცნაური ისტორიებით ცნობილიაო.

„ჩემი ბიძაშვილი გოგიტა, რომელიც გორის რაიონში, ჭალის უბანში ცხოვრობს და ეს სახლი არასოდეს უნახავს, 11 დღე კომაში იყო და თბილისში მდებარე „ეშმაკის სახლს“ ხედავდა. არადა, სინამდვილეში, ეს სახლი არასოდეს უნახავს. კომიდან რომ გამოვიდა, ყველაფერი დეტალურად აღწერა. მერე, ნათესავი გარდაგვეცვალა, რომელიც ინგოროყვაზე, ამ სახლთან ახლოს ცხოვრობდა. გასვენებაში რომ ჩამოვიდა, გოგიტამ კომაში ნანახი „ეშმაკის სახლი“ იცნო“, — მიყვება უცნობი მამაკაცი.

სახლი, რომელიც ინგოროყვას ქუჩაზე დგას, მართლაც შემზარავია: გარე ფასადს იდაყვებზე დაყრდნობილი რქიანი და დიდყურება ფიგურა „ამშვენებს“, რომელსაც მრისხანე გამომეტყველება აქვს... სახლზე კიდევ რამდენიმე პატარა უცნაური არსების თავია გამოსახული.

ამ სახლის ერთ-ერთი იდუმალი ადგილი სხვენია, სადაც გადმოცემით, მრავალი წლის წინ, სომეხ გოგონას თავი ჩამოუხრჩვია.

გაგრძელება მე-17 გვ.

სპორტი

# „ცხოვრება და კარიერა ერთი ტრავმით დამენგრა!“



## ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის სევდიანი ამბავი

**ფეხბურთი უდიდესი დრამაა, რომელსაც შეუძლია, წარმატების მწვერვალზე აგიყვანოს და სწორედ ამ დროს უნდა ილოცო, რომ ტრავმა არ მიიღო, რადგან, როგორც უნდა მოშუშდეს, თავს ყოველთვის შეგახსენებს... დაჩი მიხეილიძე ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, მაგრამ დიდ ფეხბურთს სწორედ ტრავმამ ჩამოაცილა...**

**დაჩი მიხეილიძე:** — ...6 წლის ვიყავი, მშობლებმა ჩემი ცურვაზე შეყვანა რომ გადაწყვიტეს, ფიქრობდნენ, ჯანსაღი გაიზრდება, გაკაჟდებაო. მართალია, წყალში ყოფნა მიყვარდა, მაგრამ ცურვა არ მინდოდა, თუმცა სიზარმაცის მიუხედავად, წარმატებას მაინც მივაღწიე — 2 წელში ოლიმპიურ ჯგუფში გადამიყვანეს, რომელსაც ნანი ჭუმბურიძე ხელმძღვანელობდა. საქართველოს ჩემპიონატზე 10-ჯერ ვიასპარეზე და 9-ჯერ პირველზე გავედი.

**— აუზიდან მინდორზე როგორ მოხვდი?**

— როცა აუზიდან გამოვდიოდი, იქვე საფეხბურთო ბაზა იყო და ვარჯიშსა თუ თამაშს ვუყურებდი. ამასობაში, ე.წ. ცხვირით სუნთქვაზე პრობლემა შემექმნა და ექიმმა მითხრა, რომ ქლორიან წყალს არ უნდა გავკარებოდი... მოკლედ, მშობლებმა თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიაში შემიყვანეს. მწვრთნელს მოვეწონე და „თვალი დამადგა“.

**— მწვრთნელი ვინ იყო?**

— გელა გელაშვილი... ერთხელ, ჩვენივე მოედანზე თამაში გვქონდა, რომელსაც დაქის თითქმის ყველა შეტევა, რათა საქმე დაცვამდე არ მისულიყო.

**— მოედანზე მსოფლიოში რომელიმე ცნობილმა ფეხბურთელმა თუ გნახა?**

— ჰექტორ ბელერინმა, რომელიც დღეს ინგლისის პრემიერლიგაში თამაშობს — ლონდონის „არსენალის“ მარჯვენა მცველია. 20 წლისაა და, მართლაც, უნიკალური ფეხბურთელია..

**— კარიერის უცხოეთში გაგრძელებაზე არ ფიქრობდი?**

— ვფიქრობდი. იტალიაში, ემპოლიში 2-კვირიან სინჯებზე ვიყავი. ემპოლს იტალიაში, ახალგაზრდული გუნდებიდან, ერთ-ერთი საუკეთესო აკადემია აქვს. მოვეწონე და გადაწყვიტეს, რომ დავეტოვებინე, მაგრამ საქართველო ევროკავშირის წევრი არაა, მოქალაქეობისა და რაღაც სხვა საკითხები რომ მომეგვარებინა, 25 000 ევრო უნდა გადამეხადა. შეეძლო, იტალიის მთავრობასაც დავეფინანსებინე, მაგრამ ვერ გარისკა...

**— შენ რატომ არ გარისკე? — ხელფასი, მინიმუმ, 2 000 ევრო გექნებოდა და, ბოლოს** მკვირვებლები, ანუ „სკაუტები“ ესწრებოდნენ. გელამ მათთან რეკომენდაცია გამიწია და... ნაკრებში, სინჯებზე დამიბარეს.

**— სინჯებმა როგორ ჩაიარა?**

— ყველაფერი კარგად გავაკეთე და ერთ კვირაში კონტრაქტი შემომთავაზეს.

**— რა იგრძენი, როცა მოედანზე საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმომადგენლის სტატუსით პირველად გახვედი?**

— ჯერ სანაკრებო შეკრების ვარჯიშები გვქონდა და სხვადასხვა ქართულ გუნდთან შიდა თამაშები გვქონდა. „ზბორების“ დრო მოვიდა და გვითხრეს, რომ ესპანეთში მივდიოდით.... ეს რომ გავიგეთ, მთელი გუნდი შოკში ვიყავით. სწორედ ესპანეთში შედგა ჩემი სრულფასოვანი დებიუტი საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. სხვათა შორის, მაშინ საქართველოს ნაკრები ბრაზილიის ნაკრებს პირველად შეხვდა, თუმცა 1-0 წავაგეთ.

**— რა პოზიციაზე იდექი?**

— საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი და ყველაზე, ასე ვთქვათ, ჭუჭყიანი საქმე ჩემი გასაკეთებელი იყო — უნდა ჩამეშალა მეტო-**და ბოლოს, საქართველოში სესხი აგეღო...**

— ხელფასი მაგდენი მექნებოდა, მაგრამ ბინის ქირა ხომ უნდა გადამეხადა და სესხის დასაფარად აღარაფერი დამრჩებოდა.

**— დაჩი, 2013 წელს ევროპის 19 წლამდელების ჩემპიონატზე რატომ ვერ წახვედი?**

— ყველაფერი ცუდი მაქედან დაიწყო... შეკრება გვქონდა — ტურნირისთვის ვემზადებოდით, „სპარინგის“ დროს ფეხი ცუდად დავდგი და ჯვარედინი მყესი გავიწყვიტე. ექიმმა რომ გამსინჯა, ყველაფერი წესრიგშია, ითამაშეო, მაგრამ თამაშს ვერ ვახერხებდი... ტრავმატოლოგთან წავედი, სურათი გადამიღო და მაჯახა, მყესები გაქვს გაწყვეტილი და თამაშიც საეჭვო იქნებაო. ეს რომ მითხრეს, თავში ყველაფერი დამიტრიალდა... ნაკრები ევროპაში ჩემს გარეშე გაემგზავრა. სულ მყესებზე ვფიქრობდი...

**— ოპერაცია არ გაიკეთე?**

— მითხრეს, თუ ოპერაციას აქ გაიკეთებ, გარანტია არ გექნება, რომ იგივე არ დაგემართოსო. მირჩიეს, გერმანიაში წავსულიყავი, სადაც ოპერაცია 15 000 ევრო ჯდება, მაგრამ 100%-იან გარანტიას ვერც იქ იძლევიან, თან ამდენი ფულიც არ იყო...

ამასობაში გუნდთან კონტრაქტი ამომეწურა და... ერთ დროს პერსპექტიული ახალგაზრდა ფიტნესის ამარა დავრჩი.

**— როგორ ფიქრობ, ეროვნულ ნაკრებს აკლიხარ?**

— ჩემი აზრით, დღეს გუნდი სწორედ საყრდენ პოზიციაზე მოიკოჭლებს. თამაშებს რომ ვუყურებ, ვფიქრობ ხოლმე, ამ ადგილს ძალიან კარგად შევავსებდი-მეთქი, მაგრამ ამას რომ ვამბობ, ამპარტავანი არ გეგონო. უბრალოდ, ფიზიკურად ძლიერი ვარ და, უამრავი ზეწოლის მიუხედავად, თამაშიც შემეძლო.

**— ვარჯიშის გამო, სკოლას თავი დაანებე. ახლა რას აკეთებ?**

— რადგან ტრავმამ დაღი დამასვა და მთელი ცხოვრების გეგმები გამინიავა, საატესტატო გამოცდები ჩავაბარე — ათასი განცხადება დავწერე, რომ სკოლაში, გამოცდებზე დავეშვი და ბოლოს, გამოცდები ერთ-ერთი რაიონის სკოლაში ჩავაბარე და ეგზომ სანაქებო ატესტატიც ავიღე

**— ეროვნულ გამოცდებზეც გახვედი?**

— შარშან საქართველოს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე.

**— იურისტობა გინდა?**

— ის, რაც მინდოდა და მაინტერესებდა, ჩემგან უკვე ძალიან შორსაა. ამიტომ, რაც მირჩიეს, ის გავაკეთე.

**— ფეხბურთი გენატრება?**

— ძალიან! ერთი ტრავმით აწყობილი ცხოვრება, უფრო ზუსტად, კარიერა დამენგრა, მაგრამ ყველაფერს აუცილებლად გამოვასწორებ და იმ სფეროში, სადაც ახლა ვარ დიდ წარმატებას მივაღწევ!

**ესაუბრა გიორგი ნემსიწვერიძე**



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

მე-16 გვერდიდან

## სადღაც იქ, ჭეშმარიტებაა

ლეგენდის თანახმად, სახლი მე-19 საუკუნეში, კერძოდ, 1888 წელს, სომეხმა ვაჭარმა იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილ არქიტექტორს, ალექსანდრე შიმკევიჩს ააშენებინა. შიმკევიჩსვე ეკუთვნის თბილისის ყველაზე ლამაზი შენობები: ისლამური სახლი (1885 წ.), კავკასიის აბრეშუმის სახლი (1892 წ.), საქართველოს უზენაესი სასამართლო (1894 წ.), კონსერვატორია (1904 წ.), ანდრიოლეტის სახლი (1901 წ.), ფუნიკულიორის შენობა (არქიტექტორ ბლუშემთან ერთად; 1905 წ.)... ბათუმის გიმნაზია (1897 წ.).

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრიც, არქიტექტორ ტატიშჩევთან ერთად, შიმკევიჩის, ასე ვთქვათ, ნახელავია. სხვათა შორის, ერთხელ, კონცერტის დროს, თეატრში დავიკარგე - მეგობართან ერთად, სარდაფის მსგავს ადგილას აღმოვჩნდი. იქაურობა სარკოფაგს ჰგავდა - ჰაერს მოლურჯო-შავი ფერი ჰქონდა. შემეშინდა... მოგვიანებით ითქვა, რომ რუსთაველის თეატრში მოჩვენება გამოჩნდა...

შიმკევიჩი მასშტაბურ პროექტებზე მუშაობდა და არა - კერძო სახლებზე. საინტერესოა, სომეხ ვაჭარს, რომელიც შესაძლოა, სატანიზმის მიმდევარი იყო, ზემოხსენებული სახლის აშენებაზე რატომ დასთანხმდა? გოგონა, რომელმაც სხვენზე თავი ჩამოიხრჩო, ერთი ვერსიით, ვაჭრის ცოლი იყო, მეორე ვერსიით კი, — ქალიშვილი.

სახლს სარდაფი და საიდუმლო გვირაბიც აქვს, რომელსაც სარიტუალო დარბაზში მივყავართ. ზოგი ამბობს, რომ სახლს მთლიანად ეშმაკის ფორმა აქვს, რომლის ფეხებიც სარდაფია, თავი კი - სხვენი, თუმცა სიმართლე გითხრათ, სახლის არქიტექტურა ეშმაკს ნამდვილად ვერ მივამსგავსე... სხვათა შორის, სახლში ბუხრის მსგავსი „ნივთია“, რომელზეც ბავშვის ფიგურაა გამოსახული. გავრცელებული ვერსიით, სწორედ ეს უნდა იყოს საიდუმლო გვირაბში ჩასასვლელი კარი.

კითხვა-კითხვით მეზობელ სახლში მცხოვრებ 68 წლის ბატონ ავთოსთან მივედი. რომ ვუთხარი, „ეშმაკის სახლზე“ უნდა გესაუბროთ-მეთქი, ღიმილით მომიგო, რომელ ეშმაკებზე უნდა მკითხოთ, ამჟამად მთავრობის სათავეში რომ დგანან, თუ ადრე რომ იდგნენო.

ბატონი ავთოს თქმით, უცნაური არაფერი შეუნიშნავს, გარდა იმისა, რომ სახლზე მძრომიალე გოგო-ბიჭები დაბლა „პანტა პუნტით“ ენარცხებიან.

„ისე, გიორგი მარგველაშვილი, როცა 6 წლის იყო, ამ ქუჩაზე ცხოვრობდა და მამამისმა იწინასწარმეტყველა, ჩემი ბიჭი პრეზიდენტი გახდებაო“, - ამბობს ბატონი ავთო.

ამბობენ, რომ ამ სახლის ისტორიით ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა, რომელიც უკვალოდ გაქრა. იმასაც ამბობენ, რომ „ეშმაკის სახლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სატელეფონო კავშირი წყდება, ითიშება ვიდეო და აუდიო აპარატურა... შეიძლება, დამთხვევაა და მეტი არაფერი, მაგრამ ამ სახლთან საღამოს კიდევ გავიარე და იისფერი კალამი ვიპოვე. მოგვიანებით კი, აღმოვაჩინე, რომ ყველა რესპონდენტის აუდიოჩანაწერი მეხსიერების ბარათიდან წაიშალა, თუმცა ნაწილის აღდგენა მოვახერხე.

**მართლა არსებობს თუ არა თბილისში „სატანური არქიტექტურა“? - „ქართული სიტყვა“ თეოლოგს, დეკანოზ თეიმურაზ თათარაშვილს ესაუბრა.**

**— მამა თეიმურაზ, რას იტყვით თბილისში არსებულ პენტოგრამაზე?**

— საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თბილისში, გარკვეული სახლები, ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ამ კავშირში შეიძლება, ე.წ. პენტოგრამაცაა. ეს შენობები ქრისტიანული არაა, თუმცა ეკლესიას გადაჭრით არ შეუძლია, თქვას, თბილისში პენტოგრამა მართლა არსებობს თუ არა, მაგრამ ეკლესია, რა თქმა უნდა, არ უარყოფს, რომ თბილისში გარკვეული სატანური დაჯგუფებები არსებობდა და დღემდე არსებობს, სადაც გარკვეული ძალები შავ-ბნელ მსახურებას ეწეოდნენ...

**— თუკი დავუშვებთ, რომ ესა თუ ის სახლი სატანურია, ეს ამ სახლში მცხოვრებლებზე რა გავლენას მოახდენს?**

— თუ ადამიანი ისეთ სახლში ცხოვრობს, რომელიც მაგიურია და ჯადოქრული მიზნით შეიქმნა, მასზე, რა თქმა უნდა, გარკვეული ნეგატიური ზეგავლენა მოხდება, მაგრამ თუ ადამიანი მართლმადიდებელია, ეკლესიურად ცხოვრობს და სახლიც ორგზისაა ნაკურთხი, შეუძლებელია, ყველაფერმა ამან მასზე ზეგავლენა მოახდინოს. ნამდვილი ქრისტიანული რწმენა ყოველგვარ შიშს და უარყოფით აურას განდევნის.



**— ამბობენ, რომ ასეთ სახლებში ადამიანები გაურკვეველი მიზეზით დაიღუპნენ...**

— არსებობს ცნობა, რომ თვითმკვლელობით სიცოცხლე ძალიან ბევრმა დაამთავრა. არსებობს ვარაუდი, რომ ბავშვების მსხვერპლშეწირვაც ხდებოდა. ამ ლეგენდებზე სერიალიც კი გადაიღეს... ისე, მათ, ვისაც მსგავსი საკითხები აინტერესებს, ვურჩევ, რელიგიური თემებით დაკავდნენ...

**მოამზადა ლიკა ალაფიშვილმა**









ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი

### მწერალი გიუნტერ გრასი გარდაიცვალა

ცნობილი გერმანელი მწერალი და ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი გიუნტერ გრასი გარდაიცვალა. ის 87 წლის გახლდათ.

ბოლო წლებში მწერალი ჯანმრთელობას უჩიოდა, შარშან, იანვარში კი, განაცხადა, რომ წერას თავს ანებებდა და თავისუფალ დროს ხატვას დაუთმობდა.

გრასის ბოლო რომანი — „გრიმების სიტყვა“ 2010 წელს გამოვიდა, 2012 წელს კი, ლექსი გამოაქვეყნა და ამით ირანის მიმართ ისრაელის პოლიტიკა მკაცრად გააკრიტიკა.

შეგახსენებთ: გიუნტერ გრასი 1927 წელს, პოლონურ ქალაქ გდანსკში დაიბადა. პირველი რომანი, რომელსაც „თუნუქის დოლი“ ჰქვია, 1959 წელს გამოსცა, 1999 წელს კი, ნობელის პრემია გადასცეს.

### ქეით მიდლტონი ფასდაკლებით იმშობიარებს

ამ დღეებში, კემბრიჯის ჰერცოგინია მეორე შვილს ელოდება. არსებული ინფორმაციით, ბავშვი ლონდონის წმინდა მარიას ჰოსპიტლის კერძო სამშობიაროში დაიბადება, სადაც ქეით მიდლტონს 10-პროცენტიანი ფასდაკლების ბარათი აჩუქეს.

2013 წელს, ქეითმა პირველი შვილიც, პრინცი ჯორჯი სწორედ წმინდა მარიას სამშობიაროში გააჩინა.

ბრიტანული ტაბლოიდები წერენ, რომ აღნიშნულ კლინიკაში ოროთახიანი პალატა 9 700 დოლარი ღირს, თუმცა ფასდაკლების გამო, სამეფო ოჯახს მხოლოდ 8 600 დოლარის გადახდა მოუწევს.

### ჰოლივუდელები, რომლებიც გახდაზე უარს არასოდეს ამბობენ

მსოფლიო კინომექაში, ანუ ჰოლივუდში დაუწერელი კანონია, რომ თუკი ვარსკვლავობა გინდა, ერთხელ მაინც უნდა გაშიშვლდე, თუმცა ისეთებიც არიან, რომლებსაც უნდათ, რომ მათი შიშველი სხეული მთელმა პლანეტამ იხილოს.

ამ მხრივ აღსანიშნავია მუსიკალური ჰიტ-პარადების მუდმივი მონაწილე და თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ეპატაჟური „სელებრითი“, კაშკაშა კოსტიუმებისა და უცხოპლანეტელის მსგავსი იმიჯის მქონე პოპ-მომღერალი ლედი გაგა, რომელიც სცენაზე ხშირად ისე გამომწვევი კოსტიუმებით გამოდის, რომ გაგიჭირდებათ, მიხვდეთ, ჩაცმულია თუ შიშველი.

თავის დროზე, ანუ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, მსოფლიოს ყურადღება მადონამაც გაშიშვლებით მიიპყრო. ჟან-პოლ გოტიეს ცნობილმა კორსეტმა კი, კიდევ უფრო სექსუალური გახადა.

მეგან ფოქსი თანამედროვე ჰოლივუდის სექსსიმბოლოა — მონაწილეობა „ემპორიო არმანის“ თამამ ფოტოსესიაში მიიღო. სხვათა შორის, მეგანის ფანებმა შეამჩნიეს, რომ ვარსკვლავის მკერდმა ტრანსფორმაცია განიცადა და მნიშვნელოვნად გადიდდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მსახიობი თავისი სხეულის ყველაზე ინტიმური ადგილების საჯარო ჩვენებაზე უარს არც მომავალში იტყვის.

ევა მენდესმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, ყველაფრის კეთება, მათ შორის, ბაღის მოვლაც, შიშველს მიყვარსო.

ლათინოამერიკელი ლამაზმანი ხშირად შიშვლდება, თუმცა ამას ფინანსური მოგების კი არა, ქველმოქმედების გამო აკეთებს — წლებია, ევა ცხოველთა უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია „პეტას“ სახეა. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი მიმართულება კი, ცხოველების ბეწვისგან ქურქების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლაა, რასაც მენდესი მხარს გაშიშვლებით უჭერს.




### 45 წლის ჯენიფერ ლოპესმა მსოფლიო ისევ აალაპარა

45 წლის მომღერალი ჯენიფერ ლოპესი L'Oreal Paris-ის ახალი სარეკლამო კამპანიის გმირი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მონაწილეობა ბრენდის შავ-თეთრ ვიდეორგოლში მიიღო.

მომღერალი ვიდეოში ბრწყინავს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამასთან, ჯეი ლო სექსუალურ მოძრაობებს ჯერ ქალი მოცეკვავეების, შემდეგ კი, დაკუნთული შავკანიანი მამაკაცების გარემოცვაში ასრულებს.

## ნინა რიჩის მემკვიდრე დააპატიმრეს

სამოდელო სახლ Nina Ricci-ის მემკვიდრეს სასამართლომ ერთწლიანი პატიმრობა მიუსაჯა — 73 წლის არლეტ რიჩი დამნაშავედ გადასახადებისთვის თავის არიდებასა და ფულის გათეთრებაში სცნეს.

პატიმრობის გარდა, რიჩი ვალდებულია, ჯარიმის სახით, ერთი მილიონი ევროც გადაიხადოს. ამასთან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, არლეტს იმ უძრავ ქონებასაც ჩამოართმევენ, რომელიც 4 მილიონ ევროდაა შეფასებული.

არლეტ რიჩის ადვოკატს სასჯელი ზედმეტად მკაცრად მიაჩნია და ამბობს, რომ ბრალდებულის ცნობადობა სასამართლომ სხვა თაღლითების გასაფრთხილებლად გამოიყენა. მისივე თქმით, სააპელაციო საჩივარს დაწერს და პატიმრობის უფრო მსუბუქი სასჯელით, მაგალითად, ელექტრონული სამაჯურით შეცვლას მოითხოვს.

ცნობისთვის: გამოძიება არლეტ რიჩის გადასახადებით მას შემდეგ დაინტერესდა, როცა ერთ-ერთი ბანკის შვეიცარიული ფილიალიდან ინფორმაციამ გაჟონა.

## პოლონეთში მე-18 საუკუნის სექს-სათამაშო აღმოაჩინეს

პოლონეთში, კერძოდ, ქალაქ გდანსკში არქეოლოგებმა მე-18 საუკუნის სექს-სათამაშო აღმოაჩინეს. ყოველ შემთხვევაში, ნივთს, რომელიც ყოფილი საპირფარეშოს ადგილას იპოვეს, ფალოსის ფორმა აქვს.

პოლონეთის ძეგლთა დაცვის რეგიონალური სამმართველოს პრეს-მდივნის მარჩინ ტუმინსკის თქმით, სექს-სათამაშო ტყავისგანაა დამზადებული და ხის წვერი აქვს.

სხვათა შორის, ამავე ადგილას არქეოლოგებმა ფაიფურის ნივთები, საიუველირო ნაკეთობები და ხის ხმლების ფრაგმენტებიც იპოვეს.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ამ ადგილას ფარიკაობის სკოლა მდებარეობდა.

საერთოდ, სექსუალური სათამაშოები არქეოლოგებს ხშირად ხვდებათ. ასე, მაგალითად, იანვარში, გერმანიაში ფალოსი აღმოაჩინეს, რომელიც დანალექი ქანების, ანუ ალევროლითების 14 ფრაგმენტისგანაა დამზადებული და, დაახლოებით, 28 ათას წელს ითვლის. ეს ერთ-ერთ ყველაზე უძველეს სექს-სათამაშოდაა მიჩნეული.

## მაჩვენეთ თქვენი თითები და გეტყვით, როგორი ხასიათი გაქვთ

როგორც კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერები ამტკიცებენ, ადამიანის ხასიათის გამოცნობა ძალიან მარტივად, ანუ ხელებზე დახედვით შეიძლება:

თუ საჩვენებელი თითი არათითზე მოკლეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ძალიან მომხიბვლელი, სასიამოვნო და ქარიზმატულია. გადაწყვეტილებას ადვილად იღებს და უარს არც სარისკო ქმედებებზე ამბობს. ამასთან, ძალიან ჭკვიანიცაა. ისე, ადამიანები, რომლებსაც არათითი შედარებით გრძელი აქვთ, დანარჩენებზე გაცილებით მეტს გამოიმუშავებენ.

ისინი, რომელთაც საჩვენებელი თითი არათითზე გრძელი აქვთ, ხშირად ამპარტავნები და თვითკმაყოფილები არიან — საკუთარი თავით ტკბებიან და არ უყვართ, როცა „სისულელეებზე“ აწუხებენ. ეს ადამიანები არასოდეს არაფერს თმობენ, აფასებენ ყურადღებას და თუ შეაქებთ, მადლიერებასაც გამოხატავენ.

თუ საჩვენებელი თითის და არათითის სიგრძე ტოლია, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი მშვიდობისმოყვარე, გულკეთილი და ორგანიზებულია...

## არა-ჩვეულებრივი გვერდი




## 70 წლის მაიკლ დუგლასს ცოლი სიგიჟემდე უყვარს

ჰოლივუდში თითქმის ყველა დარწმუნებული იყო, რომ მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი ერთმანეთს დაშორდებოდნენ. განშორების მიზეზი კი, შეიძლება, ასაკობრივი სხვაობა გამხდარიყო — მაიკლი კეტრინზე 25 წლით უფროსია. ამასთან, ვარსკვლავურ წყვილს ურთიერთობაში ხელს გადაღებები და გასტროლებიც უშლის, თუმცა ავი წინათგრძნობა არ გამართლდა — მაიკლი და კეტრინი თანაცხოვრების 15 წლის აღსანიშნავად ემზადებიან.

„თუ ორივე გულწრფელად ცდილობთ გამოასწოროთ სიტუაცია, მაშინ აუცილებლად გამოგივათ. ვფიქრობ, ნებისმიერ წყვილს აქვს ცხოვრებაში რთული სიტუაცია, მაგრამ ჩვენი სიტუაცია კიდევ უფრო რთულდება, რადგანაც სახალხო პერსონები ვართ. ამის გამო ჩვენი ცხოვრება, საზოგადოების მუდმივი ყურადღების ქვეშ ექცევა, მაგრამ ცოლი სიგიჟემდე მიყვარს. ისევ ერთად ვართ და უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ოდესმე, — აცხადებს 70 წლის დუგლასი.

### ველოსიპედი

გულში სევდა მომეკიდა,
მსურდა, მევლო იმედით,
გადააგდეთ მოედნიდან
მიშას ველოსიპედი.

### ამნისტია

„იმისტია“? „ამისტია“?
ვინც კვლავ იწყებს დანის ტრიალს,
ყველას მივცეთ ამნისტია,
მასშტაბური ამნისტია.

### სიკვდილი

მარად ვუმზერ ეშხით მოდგმას,
თუმც ქვეყანა შეშლილია,
სიცოცხლის არ მეშინოდა,
არც სიკვდილის მეშინია.

### „ბეკოვიზია“

ისე წავიდა ამ ქვეყნიდან ბეკო ბიძია,
რომ არ იცოდა, რას ნიშნავდა
„ეკოვიზია“,
ჰოდა, ევროპა არცოდნისთვის სანამ
გამთიშავს,
არც მე არ ვიცი და მითხარით, მართლა
რას ნიშნავს?

### ქართველო!

შენ უამრავი შვილი გყავდა
შეუდარები,
გამაგებინე, აი, ახლა
რას შეგვთავაზებ?
ქართველო, თვალი გაახილე,
გემუდარები
და დაინახავ,
რომ აღარ ვართ ამ ქვეყანაზე!

### „ნაცო“!

ტუტუცი ხარ, რის კაცობა,
ანდა, რისი მორალიზმი,
ინსტიტუციონალიზმი
არის შენი ონანიზმი.

### რუსის – არა

წარამარა, წარამარა,
სულ ვგოდებთ და
სულ ვტირით,
რუსის – არა, რუსის – არა.
დედა მოვ...ნ პუტინის!



### ლეტიცია კასტას ინტიმური სცენები... ლიფტში

ლეტიცია კასტა ერთ-ერთი სუნამოს სარეკლამო კლიპში გადაიღეს. ერთწუთიანი კლიპი ერთობ სკანდალურია და აი, რატომ: სიუჟეტის მიხედვით, 36 წლის ფრანგი მოდელი ლიფტში მამაკაცთან ერთად აღმოჩნდება და... მასთან სექსზე იწყებს ფიქრს: ეალერსება, კოცნის... ამასობაში, ლიფტის კარი იღება და ლეტიციას გმირი იძულებულია, რეალობას დაუბრუნდეს...




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე.

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ.
რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით